

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სამუშაო
ჯგუფის მივლინება მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე „გელათის მონასტერი“

16-19 ივნისი, 2020წ



საველე დათვალიერებისა და ჩატარებული სამუშაოების ანგარიში

საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY FOR
CULTURAL HERITAGE
PRESERVATION OF GEORGIA

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა

სსიპ - კულტურული მემკვირეობის დაცვის ეროვნული სააგენტო:

- **თამარ მელივა** - UNESCO-სა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;
- **მარიამ საღარაძე** - ძეგლთა რეაბილიტაციის სამსახური;
- **ივანე ყენია** - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
- **დავით ქურხული** - უზრუნველყოფისა და პროტოკოლის სამსახური;
- **ლაშა ჭიჭვიშვილი** - უზრუნველყოფისა და პროტოკოლის სამსახური.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი:

გიორგი ლალუაშვილი;

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია:

გვანცა (ტასო) ფოცხიშვილი

წინაპირობა

2020 წლის ზამთარში, გელათის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის გადახურვა, კერძოდ კი თეთრი კერამიკით დამზადებული მოჭიქული კრამიტი, დაზიანდა. გარდა დაზიანებული გადახურვისა, ტაძარში, კონკრეტულად კი დასავლეთ მკლავში დაფიქსირდა წყალთან დაკავშირებული პრობლემა, რამაც სავარაუდოდ გამოიწვია კედლის მხატვრობის დაზიანება. ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ გამოვლენილი ხარვეზების შეფასების მიზნით, 2020 წლის 11 მარტს, მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე ეროვნული სააგენტოს სამუშაო ჯგუფის გასვლითი მისია მოეწყო. ეროვნული სააგენტოს სამუშაო ჯგუფთან ერთად, შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს ადრექრისტიანული და შუასაუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სექციის წევრებმა, პროექტის საავტორო ჯგუფმა, შემსრულებელი კომპანიისა და მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლებმა.

საველე დათვალიერებისას გამოვლინდა გადახურვების სხვადასხვა სახის დაზიანება და ხარვეზი, რომელიც დაბალი ხარისხის მასალასა და არასათანადოდ შესრულებულ სამუშაოებთან არის დაკავშირებული. აღნიშნული ხარვეზების შესახებ და მათი გამოსასწორებელი ღონისძიებებისათვის ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციები შემდგომი რეაგირებისათვის 2020 წ. 19 მარტის N 19/1123 წერილით გადაეცა შემსრულებელს.

მარტში განხორციელებული საველე მისიის შემდეგ ეროვნულმა სააგენტო დარგის შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით, კედლის მხატვრობის არსებული მდგომარეობის, დაზიანების გამომწვევი მიზეზების კვლევის მიზნით, ეტაპობრივად ახორციელებს მონიტორინგს. შესაბამისად, მდგომარეობის დეტალური შეფასებისა და ანალიზის მიზნით, მიმდინარე წლის 16-19 ივნისს განხორციელდა მორიგი - ეროვნული სააგენტოს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ერთობლივი სამუშაო ჯგუფის საველე გასვლა გელათის მონასტერში.

11 მარტის, 30 აპრილის, 22 მაისისა და 16-19 ივნისის მონიტორინგის მისიების ფარგლებში:

- ჩატარდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში, წმ. გიორგის სახელობის ტაძარში და სამხრეთ კარიბჭეში არსებული კედლის მხატვრობების მდგომარეობის ანალიზი; განისაზღვრა ისტორიულად დაზიანებული და აქტიური დაზიანების მქონე არეები; აღინუსხა დაზიანების ტიპები და განისაზღვრა დაზიანების აქტივიზაციის პროცესი;
- შესწავლილ იქნა ფასადებისა და ინტერიერის მდგომარეობა და დადგინდა მათ შორის ურთიერთკავშირი;
- გამოვლინდა 2013-2019 წლებში განხორციელებული რეაბილიტაციის შედეგად მოწყობილ გადახურვებზე 2020 წელს დაფიქსირებული ხარვეზების შედეგად კედლის მხატვრობის დაზიანებული მონაკვეთები;
- მიმდინარეობს დაზიანებული ფრაგმენტის მდგომარეობის მონიტორინგი, მათ შორის გამომარჩილებულ მონაკვეთებზე მარილის ნაწილობრივი მოხსნა.

მისიის მიზანები:

- გელათის სამონასტრო კომპლექსის შემდეგ სივრცეებში:
 1. ღვთისმშობლის ტაძრის ცენტრალური სივრცე
 2. ღვთისმშობლის ტაძრის ჩრდილოეთი და სამხრეთი ეკვდერები
 3. ღვთისმშობლის ტაძრის ნართექსი
 4. წმ გიორგის ტაძარი
 5. დავითის კარიბჭე
 - ✓ **კედლის მხატვრობის** მდგომარეობის შესწავლა, კერძოდ, 2020 წლის 22 მაისის შედარებითი ანალიზის დროს დაფიქსირებული დაზიანებათა გადამოწმება, აქამდე უცნობი დაზიანებათა სახეობების, მათი ადგილმდებარეობის გამოვლენა და დაზიანებათა აქტივიზაციის ხარისხის დადგენა
 - ✓ **ფასადებისა და გადახურვის მდგომარეობის შესწავლა**, კერძოდ, პრობლემური ადგილების გამოვლენა, რომელთაც ინტერიერის მხრიდან მხატვრობა ან მოზაიკა აქვს, დაზიანებათა დათარიღება და დაზიანების აქტიურობის ხარისხის დადგენა
 - ✓ **კედლის მხატვრობასა და ფასადებზე/გადახურვაზე** გამოვლენილი **დაზიანებებს შორის** შესაძლო **ურთიერთკავშირის დადგენა**, ასევე სავარაუდო **დაზიანების წყაროსა და აქტივიზაციის მექანიზმის** გამოვლენა.
 - ✓ **დოკუმენტაცია**
- ღვთისმშობლის ტაძრის დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედლის ზედა რეგისტრის
 - ✓ **კედლის მხატვრობისა და ფასადის** მდგომარეობის **მონიტორინგი**
 - ✓ კედლის მხატვრობიდან **მარილის ნაწილობრივი მოხსნა**
 - ✓ ზედაპირზე გამოკრისტალებული ხსნადი **მარილის იონების დადგენა**

კვლევითი და სამონიტორინგე სამუშაოთა მეთოდოლოგია:

კედლის მხატვრობის, ფასადებისა და გადახურვის შესწავლა მოხდა

- ✓ ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე
 - დაზიანების სახეობების გამოვლენა
 - დაზიანებათა ადგილდებარეობების/მასშტაბის დადგენა
- ✓ საარქივო და სამონიტორინგე ფოტომასალის შედარებითი ანალიზით
 - დაზიანებათა დათარიღება
 - დაზიანებათა აქტივიზაციის ხარისხის განსაზღვრა
- ✓ ინფრაწითელი თერმოგრაფიის გამოყენებით
 - დაზიანებათა სახეობისა და ადგილდებარეობის/მასშტაბის დაზუსტება (წმ. გიორგისა და ღვთისმშობლის ტაძრებში)
- ✓ ფოტოდოკუმენტაციით
 - დრონის გამოყენებით წმინდა გიორგისა და ღვთისმშობლის ექსტერიერის სრული ფოტოფიქსაცია
 - ციფრული ფოტოაპარატის გამოყენებით (გვერდითი და პირაპირი განათებით) ინტერიერისა და ექსტერიერის დეტალური ფოტოფიქსაცია.
- ✓ წერილობითი დოკუმენტაციით

კედლის მხატვრობის, ფასადებისა და გადახურვის შესწავლაში პრიორიტეტი მიენიჭა ისეთი მნიშვნელოვანი დაზიანებების გამოვლენას, როგორცაა:

ფასადი:

- **გამომარილება**
- **შავი ლაქები (ბიოაქტივობა)**
- **ქვის ფერის სახეცვლა/ შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა)**
- **შეკეთებების (ქვის საკონსერვაციო ხსნარის) ფერის სახეცვლა/ შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა); განშრევა;**

მოჭიქული კრამიტის გადახურვა:

- **კრამიტი:** 1. დანაკარგი; 2. ბზარები; 3. განშრევა; 4. გამომარილება
- **ჭიქურის ფენა:** 1. დანაკარგი 2. მიკრობზარები; 3. გამომარილება
- **კრამიტებს შორის შევსებები:** 1. დანაკარგი; 2. ბზარი. 3. კრამიტთან მორღვეული კავშირი; 4. გამომარილება

კედლის მხატვრობა:

საფუძვლის, შელესილობისა და ფერის ფენა:

- **გამომარილება** (მარილის კრისტალების ზედაპირზე გამოსვლა)
- **დანაკარგი**
- **ფერის სახეცვლა/ შემუქება** (სავარაუდო ტენის შემცველობა)

შელესილობის ფენა:

- **განშრევა** (ადჰიზიური კავშირის დაკარგვა საფუძველსა და/ან შელესილობებს შორის)
- **გაფხვიერება** (ნაწილაკთა შორის კოჰიზიური კავშირის დაკარგვა)

ფერის ფენა:

- აქერცვლა (ადჰიზიური კავშირის დაკარგვა საფუძველთან)
- გაფხვიერება (ნაწილაკთა შორის კოჰიზიური კავშირის დაკარგვა)

ისტორიული შეკეთებები:

- გამომარილება (მარილის კრისტალების ზედაპირზე გამოსვლა)
- დანაკარგი
- განშრეება

16-19 ივნისის მისიით განსაზღვრული სამუშაოების შედეგები წარმოდგენილია შემდეგ ანგარიშებში:

N1. გელათის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მთავარი სივრცის გადახურვის, ფასადებისა და კედლის მხატვრობის მდგომარეობის შედარებითი ანალიზი

N2. გელათის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის დასავლეთ მკლავის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგი და მარილების ნაწილობრივი მოხსნა

N3. გელათის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ჩრდილოეთი ეკვდერების გადახურვის, ფასადებისა და კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეფასება

N4. გელათის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის წმ მარინეს ეკვდერის გადახურვის, ფასადებისა და კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეფასება

N5. გელათის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ნარინის სახელობის ეკვდერის გადახურვის, ფასადებისა და კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეფასება

N6. გელათის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის სამხრეთი კარიბჭის გადახურვის, ფასადებისა და კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეფასება

N7. გელათის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ნართექსის გადახურვის, ფასადებისა და კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეფასება

N8. გელათის წმ გიორგის სახელობის ტაძრის გადახურვის, ფასადებისა და კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეფასება

N9. გელათის დავითის კარიბჭის კედლის მხატვრობის მდგომარეობის შედარებითი ანალიზი

დანართის სახით ანგარიშს თან ერთვის:

1. 2020 წლის 11 მარტის ანგარიში
2. 2020 წლის 30 აპრილის ანგარიში



22 მაისისა და 16-19 ივნისის
მისიების საერთო ანგარიში

ანგარიში N1

გელათის ღვთისმშობლის
შობის სახელობის ტაძარი

გადახურვის, ფასადებისა და
კედლის მხატვრობის
მდგომარეობის შედარებითი
ანალიზი

(მთავარი სივრცე)

საპარტოვო კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY FOR
CULTURAL HERITAGE
PRESERVATION OF GEORGIA

1. N1 ანგარიში - მიზანი - გვ. 3
2. N1 ანგარიშის შინაარსი და მონაწილე სპეციალისტები - გვ. 4
3. კონტექსტი - გვ. 5
4. N1 ანგარიშის შეჯამება - გვ. 6
5. აღმოსავლეთი მკლავი - გვ. 13
6. ჩრდილოეთი მკლავი - გვ. 28
7. სამხრეთი მკლავი - გვ. 47
8. დასავლეთი მკლავი - გვ. 58
9. აფრები - გვ. 717
10. დამატებითი მასალა - გვ. 86

2020 წლის 22 მაისს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მივლინების ერთ-ერთი მთავარი მიზანი გელათის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მთავარი სივრცის ინტერიერის კედლის მხატვრობის მდგომარეობის ზოგადი შეფასება იყო. მივლინება ითვალისწინებდა 2017 წლის დეკემბერში დოკუმენტირებული კედლის მხატვრობის ფოტო მასალისა და 22 მაისის მდგომარეობის შედარებას, ცვლილებათა სახეობებისა და ადგილმდებარეობების იდენტიფიცირებას.

22 მაისის მისიის საფუძველზე დაიგეგმა **2020 წლის 16-19 ივნისის მისია**, რომელიც მიზნად ისახავდა რიგი სამუშაოების განხორციელებას, მათგან გელათის ღვთისმშობლის სახელობის მთავარ სივრცეში:

1. 2020 წლის 22 მაისის შედარებითი ანალიზის დროს დაფიქსირებულ დაზიანებათა გადამოწმებას, აქამდე უცნობი დაზიანებების სახეობების, მათი ლოკაციების გამოვლენას და დაზიანებათა აქტივიზაციის ხარისხის დადგენას.

მისიის სპეციფიკიდან გამომდინარე მდგომარეობის შესწავლაში პრიორიტეტი მიენიჭა ისეთი მნიშვნელოვანი დაზიანებების გამოვლენას, როგორცაა გამომაროლება, ბიოაქტივობა, შელესილობისა და/ან ფერწერული ფენის განშრევა, გაფხვიერება, დანაკარგი; ფერის სახეცვლა/შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა).

2. ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მთავარი სივრცის ფასადებისა და გადახურვის მდგომარეობის შესწავლას: დაზიანებების სახეობებისა და მათი ლოკაციების გამოვლენას, ასევე დაზიანებათა აქტივიზაციის ხარისხის დადგენას საარქივო მასალის შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

მისიის სპეციფიკიდან გამომდინარე ფასადების მდგომარეობის შესწავლაში პრიორიტეტი მიენიჭა ისეთი მნიშვნელოვანი დაზიანებების გამოვლენას, როგორცაა:

- გამომაროლება
- ბიოაქტივობა
- ქვის ფერის სახეცვლა/ შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა)
- შეკეთებების (ქვის საკონსერვაციო ხსნარის) ფერის სახეცვლა/ შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა); განშრევა;
- კრამიტის 1. დანაკარგი; 2. ბზარები; 3. მიკრობზარები; 4. განშრევა;
- კრამიტებს შორის შევსებების 1. დანაკარგი; 2. ბზარი. 3. კრამიტთან მორღვეული კავშირი;

ასევე, გადახურვებზე გამოყენებული მეთოდოლოგიის (მეთოდებისა და მასალების) იდენტიფიცირების მიზნით, მისიის ფარგლებში გადახურვების რეაბილიტაციაზე მომუშავე ტექნიკურ პერსონალთან ჩატარდა ინტერვიუ. რის შედეგადაც ჩანს, რომ გადახურვები განსხვავებული მეთოდებითა და მასალითაა შესრულებული.

გელათის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მთავარი სივრცის გადახურვების, ფასადებისა და ინტერიერის მდგომარეობის შესწავლის მიზანი მათ შორის ურთიერთკავშირის დადგენა და დამაზიანებელი ფაქტორების (წყაროსა და აქტივიზაციის მექანიზმის) უკეთ განსაზღვრაა.

N1 ანგარიშის შინაარსი და მონაწილე სპეციალისტები

მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია:

- მთავარი ტაძრის ცენტრალური სივრცის კედლის მხატვრობის ოთხივე მკლავის მდგომარეობის შედარებითი ანალიზი (ფოტომასალის შედარებისას გამოყენებულია 2017 წლის დეკემბერში, 2020 წლის 22 მაისსა და 2020 წლის 16-19 ივნისში გადაღებული ფოტოები);
- მთავარი ტაძრის ცენტრალური სივრცის ფასადებისა და გადახურვის მდგომარეობის შედარებითი ანალიზი;
- ინტერიერში, ფასადებსა და გადახურვებზე გამოვლენილი დაზიანებების ურთიერთკავშირის დადგენა. დაზიანებათა ლოკაციების ფასადზე და/ან ინტერიერში შესატყვისი არეების წარდგენით;
- გამოვლენილი დაზიანებების დეტალური დოკუმენტაცია (ფოტო, ტექსტუალური).

მთავარ ტექსტში მოცემულია 2017 წლის შემდგომ გამოვლენილი დაზიანებები, ხოლო დამატებით მასალად მოცემულია დოკუმენტაცია, რომლის ვიზუალური დაკვირვებით თვალთ ხილური განსხვავება ვერ ფიქსირდება.

ღვთისმშობლის ტაძრის სამუშაოები განხორციელდა შემდეგი სპეციალისტების მიერ:

თამარ მელივა - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობის სამსახური (არქიტექტურის კონსერვაციის სპეციალისტი)

მარიამ სალარაძე - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, ძეგლთა რეაბილიტაციის სამსახური (კედლის მხატვრობის კონსერვაციის სპეციალისტი)

ივანე ყენია - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

გვანცა (ტასო) ფოცხიშვილი - კედლის მხატვრობის კონსერვაციის მოწვეული სპეციალისტი

კონტექსტი

გელათის სამონასტრო კომპლექსში მოღვაწე სასულიერო პირების ცნობით 2018 წლიდან მიმდინარეობს სხვადასხვა ნაწილაკების კედლებიდან ცვენა. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ჩამოცვენილი ნაწილაკები/მცირე ფრაგმენტები წარმოადგენენ კედლის მხატვრობას, თეთრ კრისტალურ მასალასა (მარილის) და დაფერილ წინა საკონსერვაციო პერიოდის შეკეთებებს.

მხატვრობიდან მასალის ცვენა მთავარი ტაძრის შემდეგ სივრცეებში ფიქსირდება:

- საკურთხეველში საფეხურებზე განთავსებულ ხატებზე;
- ჩრდილოეთი მკლავის ქვეშ;
- ჩრდილო-დასავლეთი აფრის ქვეშ;
- სამხრეთ-დასავლეთი აფრის ქვეშ;
- დასავლეთი მკლავის კამარის ქვეშ;
- დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედლის ქვეშ;


როგორც უკვე აღინიშნა, ინტერიერის ზოგადი მდგომარეობის იატაკის დონიდან შესწავლა (გარდა დასავლეთი მკლავის სამხრეთ ნაწილში აღმართული ხარაჩოსა) 22 მაისს მოხდა.

2020 წლის 16-19 ივნისს მოხდა:

1. მონასტერში მოღვაწე პერსონალის მიერ იატაკზე ჩამოცვენილი ნაწილაკების ადილმდებარეობების გადამოწმება და მათ მალა არსებული სცენების დეტალური დათვალიერება;
2. 22 მაისის შედარებითი ანალიზის დროს დაფიქსირებული დაზიანებათა გადამოწმება, აქამდე უცნობი დაზიანებების სახეობების გამოვლენა, მათი ლოკაციების დადგენა და დაზიანებათა აქტივიზაციის ხარისხის განსაზღვრა.

ამისათვის ტაძარში მოძრავი ხარაჩო სამხრეთ და ჩრდილოეთ მკლავებში აიგო, რამაც საშუალება მოგვცა დაკვირვება უფრო ახლო დისტანციიდან გვეწარმოებინა.

სამწუხაროდ, საკურთხეველში დროებითი ხარაჩო ვერ მოეწყო, შესაბამისად, ამ სივრცის ახლოდან ნახვა ვერ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, ფოტოფიქსაცია დისტანციიდან მაინც განხორციელდა.



ღვთისმშობლის ტაძრის მთავარი სივრცის გეგმა; წითელი ჩარჩოებით აღნიშნულია ჩამოცვენილი ფრაგმენტებისა და მარილის კრისტალების ლოკაციები

N1 ანგარიშის შეჯამება

აღმოსავლეთ მხარეს, ზემისა და აფსიდის კრამიტის გადახურვასა და კარნიზებზე ფიქსირდება დაზიანებები: კრამიტის დანაკარგი და განშრევა, ქვის ფერის სახეცვლა (სავარაუდო ტენის შემცველობა), გამომარილება და შავი ლაქები (ბიოაქტივობა). შესწავლამ დაადგინა, რომ კარნიზებთან არსებული სავარაუდო ტენის შემცველი არეები გაჩნდა, მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთი მკლავი გადაიხურა თეთრი კერამიკისგან დამზადებული მოჭიქული კრამიტით (2018 წელი). მიუხედავად ფასადზე გამოვლენილი დაიზანებისა, ინტერიერში კედლის მხატვრობის მდგომარეობის შემოწმებისას, თვალთვლით ხილული გაუარესება ვერ შეინიშნა (შედარდა 2017 წლისა და 2020 წლის მაისი-ივნისის კედლის მხატვრობის მდგომარეობები). თუმცა აღსანიშნავია, რომ საკურთხევლის აფსიდში 2020 წლის მაისში სასულიერო პირებმა მარილის ჩამოცვენილი მცირე ნაწილაკები შენიშნეს. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით საჭიროა აღმოსავლეთი ფასადის მონიტორინგი, რათა უკეთ დადგინდეს დაზიანების აქტივიზაციის ხარისხი. ასევე, აუცილებელია ინტერიერში საკურთხევლის ახლოდან შესწავლა, რათა განისაზღვროს ახლად დაზიანებული/აქტიური არეები, საიდანაც მოხდა მარილის ცვენა.

ცენტრალური აფსიდის გადახურვა მოწყობილია შემდეგნაირად:

- თუნუქის გადახურვის მოხსნის შემდეგ, მის ქვეშ არსებული სივრცე გასუფთავდა სამშენებლო ნაგვისგან;
- კონქის გარე გარსი, რომელიც ნაშენია მომცრო ზომის ქვებით, დამუშავდა - გადაილესა კირის დუღაბით;
- კონქის გარე გარსზე, გადახურვის სიცარიელის შევსების მიზნით, 10-15 სმ ინტერვალთაგან ამოშენებულია აგურის „კედლების“ რიგები;
- აგურის „კედლებზე“ მოწყობილია კირის 6-7 სანტიმეტრის სისქის ფენა (არმირების გარეშე);
- კირის პირველი ფენის ზემოდან მოწყობილია 12-13 სანტიმეტრის სისქის არმირებული (მინაბოჭკოვანი არმატურა) კირის ფენა;
- არმირებული კირის ფენის ზემოდან, მოწყობილია **თეთრი კერამიკისგან დამზადებული** კრამიტის ბურული ასევე კირის დუღაბით; კრამიტები შევსებულია დუღაბით და დამატებით ჩამაგრებულია სამსჭვალელებით;
- ვენტილაციის მიზნით, კარნიზებზე მოწყობილია საჰაეროები (დაახლ. 15-20 მმ დიამეტრის ნახვრეტები);

გადახურვაზე იზოლაცია არ არის გამოყენებული;

პასტოფორიუმების გადახურვა მოწყობილია შემდეგნაირად:

- თუნუქის გადახურვის მოხსნის შემდეგ, მის ქვეშ არსებული სივრცე გასუფთავდა სამშენებლო ნაგვისგან;
- კონქის გარე გარსი დამუშავდა - გადაილესა კირის დუღაბით;
- კონქის გარე გარსზე, გადახურვის სიცარიელის შევსების მიზნით, 10-15 სმ ინტერვალთაგან ამოშენებულია აგურის „კედლების“ რიგები;
- აგურის „კედლებზე“ მოწყობილია კირის 6-7 სანტიმეტრის სისქის ფენა (არმირების გარეშე);
- კირის პირველი ფენის ზემოდან მოწყობილია თხევადი იზოლაციის ფენა;
- იზოლაციის ფენის ზემოდან მოწყობილია 12-13 სანტიმეტრის სისქის არმირებული კირის ფენა;
- არმირებული კირის ფენის ზემოდან მოწყობილია თხევადი იზოლაციის ფენა;
- იზოლაციის ფენის ზემოდან მოწყობილია კრამიტის ბურული ასევე კირის დუღაბით; კრამიტები შევსებულია დუღაბით და დამატებით ჩამაგრებულია სამსჭვალელებით;

ზემის გადახურვა მოწყობილია შემდეგნაირად:

- თუნუქის გადახურვის მოხსნის შემდეგ, მის ქვეშ არსებული სივრცე გასუფთავდა სამშენებლო ნაგვისგან;
- კამარის გარე გარსზე არსებული ბზარები შეივსო კირის დუღაბით;
- კამარის გარე გარსზე, გადახურვის სიცარიელე შევსებულია 10-40 სმ სისქის **ქაფ-ბეტონის(!)** ფენით;
- ქაფბეტონის ფენაზე მოწყობილია კირის 6-7 სანტიმეტრის სისქის ფენა (არმირების გარეშე);
- კირის პირველი ფენის ზემოდან მოწყობილია თხევადი იზოლაციის ფენა;
- იზოლაციის ფენის ზემოდან მოწყობილია 12-13 სანტიმეტრის სისქის არმირებული (მინაბოჭკოვანი არმატურა) კირის ფენა;
- არმირებული კირის ფენის ზემოდან მოწყობილია თხევადი იზოლაციის ფენა;
- იზოლაციის ფენის ზემოდან მოწყობილია კრამიტის ბურული ასევე კირის დუღაბით; კრამიტები მხოლოდ თავებია შევსებული დუღაბით და დამატებით ჩამაგრებულია სამსჭვალელებით;

N1 ანგარიშის შეჯამება

ჩრდილოეთი მკლავის კრამიტის გადახურვაზე თვალთ ხილული დაზიანებები არ შეიმჩნევა. ფასადებზე კი გვხვდება მნიშვნელოვანი დაზიანებები: გამომარილება, ქვისა და შეკეთებების ფერის სახეცვლა (ტენის შემცველობა), შავი ლაქები (ბიოაქტივობა). შესწავლისა და მონიტორინგის საფუძველზე დადგინდა, რომ ფასადის დაზიანება მოხდა ჩრდილოეთ მკლავის გადახურვის მოწყობისას (2017 წელი). მონიტორინგის მიხედვით ფასადზე, ტენის შემცველ არეებში არსებული მარილის ნადების კრისტალიზაციის ციკლი (დაშლა-გამყარების) ჯერ კიდევ მიმდინარეობს, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ დაზიანება ფასადის მხრიდან კვლავ მცირედით აქტიურია. ფასადის დაზიანებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ინტერიერში არსებულ კედლის მხატვრობაზე. შედარებითი ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ 2017 წლის დეკემბრის (გადახურვამდე) მდგომარეობასთან შედარებით 2019-20 წლებში კედლის მხატვრობა მკვეთრად გაუარესებულია. მხატვრობის ყველა ფენაში მნიშვნელოვანი დაზიანებს ვხვდებით: დანაკარგი, გამომარილება, განშრევა, გაფხვიერება, ფერის სახეცვლა.

2019 წლისა და 2020 წლის ინტერიერის ფოტოების შედარებამ გამოკვეთა არეები, რომელშიც დაფიქსირებულია მარილის სქელი კრისტალური მასა. ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთ კედლის მხატვრობაზე მარილის კრისტალიზაციის პროცესი მიმდინარეა.

არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით საჭიროა გაგრძელდეს ჩრდილოეთ მკლავის ფასადების, გადახურვისა და ინტერიერის მონიტორინგი, რათა უკეთ დადგინდეს დაზიანების აქტივიზაციის ხარისხი.

შენიშვნა: თავდაპირველად, ჩრდილოეთ მკლავის დასავლეთ ფერდზე, გადახურვის სივრცეში შეივსო ქაფ-ბეტონის ფენით, თუმცა 2018 წელს წყლის ინფილტრაციისა და შედეგად ინტენსიური გამომარილების პროცესის შემდეგ, ფერდის ცენტრალური ნაწილი გაიხსნა და შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად ამოიწმინდა ქაფ-ბეტონი და მხოლოდ ამის შემდეგ მოეწყო ქვემოხსენებული აგურის „კედლები“.

ჩრდილოეთ მკლავის გადახურვის ფერდები განსხვავებულადაა მოწყობილი:

დასავლეთი ფერდი:

- თუნუქის გადახურვის მოხსნის შემდეგ, მის ქვეშ არსებული სივრცე გასუფთავდა სამშენებლო ნაგვისგან;
- კამარის გარე გარსზე არსებული ბზარები შეივსო კირის დულაბით;
- კამარის გარე გარსზე, გადახურვის სივრცის შევსების მიზნით, 10-15 სმ ინტერვალით ამოშენებულია აგურის „კედლების“ რიგები;
- აგურის „კედლებზე“ მოწყობილია კირის 10-12 სანტიმეტრის სისქის ფენა (არმირების გარეშე);
- კირის ფენის ზემოდან, მოწყობილია კრამიტის ბურული ასევე კირის დულაბით; კრამიტები შევსებულია დულაბით და დამატებით ჩამაგრებულია სამსჭვალეებით;
- ვენტილაციის მიზნით, კარნიზებზე მოწყობილია საჰაეროები (დაახლ 15-20 მმ დიამეტრის ნახვრეტები);

გადახურვაზე იზოლაცია არ არის გამოყენებული;

აღმოსავლეთი ფერდი:

- თუნუქის გადახურვის მოხსნის შემდეგ, მის ქვეშ არსებული სივრცე გასუფთავდა სამშენებლო ნაგვისგან;
- კამარის გარე გარსზე არსებული ბზარები შეივსო კირის დულაბით;
- კამარის გარე გარსზე, გადახურვის სივრცეში შევსებულია 10-40 სმ სისქის პემზის ფენით;
- პემზის ფენაზე მოწყობილია კირის 6-7 სანტიმეტრის სისქის ფენა (არმირების გარეშე);
- კირის პირველი ფენის ზემოდან მოწყობილია თხევადი იზოლაციის ფენა;
- იზოლაციის ფენის ზემოდან მოწყობილია 12-13 სანტიმეტრის სისქის არმირებული (მინაბოჭკოვანი არმატურა) კირის ფენა;
- არმირებული კირის ფენის ზემოდან მოწყობილია თხევადი იზოლაციის ფენა;
- კირის ფენის ზემოდან, მოწყობილია კრამიტის ბურული ასევე კირის დულაბით; კრამიტები შევსებულია დულაბით და დამატებით ჩამაგრებულია სამსჭვალეებით;

N1 ანგარიშის შეჯამება

სამხრეთი მკლავის კრამიტის გადახურვაზე თვალთ ხილული დაზიანებები არ შეიმჩნევა. ფასადებზე კი ვხვდებით ფრაგმენტულ დაზიანებებს: გამომაროლება, ქვისა და შეკეთებების ფერის სახეცვლა (ტენის შემცველობა), შავი ლაქები (ბიოაქტივობა). დაზიანებები უმეტესწილად კარნიზებზეა. აღსანიშნავია სამხრეთ-დასავლეთი ლილვებსშორისი სიბრტყის (კარნიზის ჩამოყოლებაზე) ქვის ფერის სახეცვლა (ტენის შემცველობა). შესწავლისა და მონიტორინგის საფუძველზე დადგინდა, რომ ფასადის დაზიანება სამხრეთი მკლავის გადახურვის მოწყობის (2017 წელი) თანმდევად მოხდა. მონიტორინგის მიხედვით ფასადზე, ტენის შემცველ არეებში არსებული მარილის ნადები სტაბილურად ფიქსირდება ზედაპირზე. თუმცა კარნიზის ქვედა სივრცეში არსებულ ქვის წყობაში ტენის შემცველობის დაფარვის არე ზრდადია თუ არა რთული გასარჩევია. სავარაუდოდ, გადახურვებთან დაკავშირებულმა პრობლემებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ინტერიერში არსებულ კედლის მხატვრობაზე. შედარებითი ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ 2017 წლის დეკემბრის (უკვე გადახურულია სახურავი) მდგომარეობასთან შედარებით 2020 წლებში კედლის მხატვრობა მკვეთრად გაუარესებულია. მხატვრობის ყველა ფენაში მნიშვნელოვან დაზიანებს ვხვდებით: დანაკარგი, გამომაროლება, განშრევა, ფერის სახეცვლა.

2017 წლისა და 2020 წლის 22 მაისის ფოტოშედარებამ გამოკვეთა არეები, რომელშიც დაზიანება ფიქსირდება. 2020 წლის 22 მაისისა და 16-19 ივნისის ფოტომასალის შედარებამ აჩვენა, რომ მდგომარეობა არ შეცვლილა/სტაბილურია, დაზიანება აქტიური არ არის.

არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით საჭიროა გაგრძელდეს სამხრეთი მკლავის ფასადებისა და ინტერიერის მონიტორინგი, რათა გადამოწმდეს დაზიანება ნამდვილად დასტაბილურდა თუ არა.

სამხრეთი მკლავის გადახურვა მოწყობილია შემდეგნაირად:

- თუნუქის გადახურვის მოხსნის შემდეგ, მის ქვეშ არსებული სივრცე გასუფთავდა სამშენებლო ნაგვისგან;
- კამარის გარე გარსზე არსებული ბზარები შეივსო კირის დულაბით;
- კამარის გარე გარსზე, გადახურვის სივრცეში შევსებულია 10-40 სმ სისქის პემზის ფენით;
- პემზის ფენაზე მოწყობილია კირის 6-7 სანტიმეტრის სისქის ფენა (არმირების გარეშე);
- კირის პირველი ფენის ზემოდან მოწყობილია თხევადი იზოლაციის ფენა;
- იზოლაციის ფენის ზემოდან მოწყობილია 12-13 სანტიმეტრის სისქის არმირებული (მინაბოჭკოვანი არმატურა) კირის ფენა;
- არმირებული კირის ფენის ზემოდან მოწყობილია თხევადი იზოლაციის ფენა;
- კირის ფენის ზემოდან, მოწყობილია კრამიტის ბურული ასევე კირის დულაბით; კრამიტები შევსებულია დულაბით და დამატებით ჩამაგრებულია სამსჭვალეებით;

N1 ანგარიშის შეჯამება

დასავლეთი მკლავის კრამიტის გადახურვაზე თვალთ ხილული დაზიანებები არ შეიმჩნევა, თუმცა სამხრეთ ფასადზე ვხვდებით მნიშვნელოვან დაზიანებებს. სამხრეთი კედლის დიდ მონაკვეთზე არსებულ სისველეს, რომელიც გამოვლენილია ქვისა და შეკეთებების ფერის სახეცვლით ჯერ კიდევ 2016 წლის დეკემბერში, როდესაც სახურავი უკვე კრამიტით იყო გადახურული. სველ არეებს ფრაგმენტულად თან ახლავს გამომარილებები და შავი ლაქები (ბიოაქტივობა). საარქივო ფოტოდოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ფასადზე შემუქებული არე (შედარებით მცირე ზომის) ჯერ კიდევ დასავლეთ მკლავის გადახურვის მოწყობისას ფიქსირდება. მონიტორინგის მიხედვით ფასადზე, ტენის შემცველ არეებში არსებული მარილის ნადების კრისტალიზაციის ციკლი (დაშლა-გამყარების) ჯერ კიდევ მიმდინარეობს, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ დაზიანება ფასადის მხრიდან კვლავ აქტიურია. მეტიც, იზრდება ტენის შემცველი ლაქის დაფარვის არეალი. ანალოგიური სიტუაციაა დასავლეთი მკლავის დასავლეთ კედელზე, კუთხეში, რომლის ტენის შემცველი ლაქაც ზრდადია. დასავლეთ მკლავზე დაზიანების წყარო კვლავ აქტიურია. გადახურვების დაზიანებამ, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც ფასადების მდგომარეობაზე, ასევე ინტერიერში არსებულ კედლის მხატვრობაზე. შედარებითი ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ 2017 წლის დეკემბრის (გადახურვის მოწყობის შემდეგ) მდგომარეობასთან შედარებით 2020 წელს კედლის მხატვრობა მკვეთრად გაუარესებულია. მხატვრობის ყველა ფენაში მნიშვნელოვან დაზიანებას ვხვდებით: დანაკარგი, გამომარილება, განშრევა, გაფხვიერება, ფერის სახეცვლა/ შემუქება (ტენის შემცველობა).

შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ ფასადის მდგომარეობა სარკისებურად ისახება ინტერიერში. ტენის ზრდა ფიქსირდება მხატვრობაზეც, ისევე როგორც ფასადზე. **აქტიურია მხატვრობის ორიგინალი და შეკეთებების ფენების ცვენა.** არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით საჭიროა გაგრძელდეს დასავლეთ მკლავის ფასადებისა და ინტერიერის მონიტორინგი, რათა დადგინდეს სტრუქტურის შრობა/დასველების ციკლები, რაც იწვევს მხატვრობის აქტიურ დაზიანებას.

დასავლეთი მკლავის გადახურვა მოწყობილია შემდეგნაირად:

- თუნუქის გადახურვის მოხსნის შემდეგ, მის ქვეშ არსებული სივრცე გასუფთავდა სამშენებლო ნაგვისგან;
- კამარის გარე გარსზე არსებული ბზარები შეივსო კირის დულაბით;
- კამარის გარე გარსზე, გადახურვის სიცარიელე შევსებულია 10-40 სმ სისქის პემზის ფენით;
- პემზის ფენაზე მოწყობილია კირის 10-12 სანტიმეტრის სისქის ფენა (არმირების გარეშე);
- კირის ფენის ზემოდან, მოწყობილია კრამიტის ბურული ასევე კირის დულაბით; კრამიტები შევსებულია დულაბით და დამატებით ჩამაგრებულია სამსჭვალეებით;

გადახურვაზე იზოლაცია არ არის გამოყენებული;

2016-17 წელს ხარვეზები გამოვლინდა გადახურვებზე, რაც ლოკალურად შეკეთდა.

N1 ანგარიშის შეჯამება

გუმბათზე გადახურვა მოწყობილია შემდეგნაირად:

- თუნუქის გადახურვის მოხსნის შემდეგ, მის ქვეშ არსებული სივრცე გასუფთავდა სამშენებლო ნაგვისგან;
- გუმბათის ნახევარსფეროს ძირის ნიშნულზე, გარედან, მოეწყო კირის ბეტონისა და უჟანგავი ლითონისგან დამზადებული სარტყელი;
- თუნუქის ქვეშ არსებული ხის (მუხის) ისტორიული კოჭები შენარჩუნდა - სარტყელის მოწყობის საჭიროებიდან გამომდინარე დამოკლდა მისი სიგრძე;
- ხის კოჭები შეიფიცრა, 3 სმ სისქის მუხის მასალით;
- შეფიცვრაზე მოეწყო ფურცლოვანი ჰიდროსაიზოლაციო ფენა (ბიკროსტი);
- ზემოდან მოეწყო კრამიტის ბურული - კრამიტები ჩამაგრებულია უჟანგავი ლითონის სამსჭვალელებით;

გუმბათის ნახევარსფეროს გარე გარსსა და ხის კოჭებს შორის სიცარიელეა, რაც ჰაერის იზოლაციის შრეს ქმნის.

აფრების გადახურვა მოწყობილია შემდეგნაირად:

- თუნუქის გადახურვის მოხსნის შემდეგ, მის ქვეშ არსებული სივრცე გასუფთავდა სამშენებლო ნაგვისგან;
- კამარის გარე გარსზე არსებული ბზარები შეივსო კირის დულაბით;
- კამარის გარე გარსზე, გადახურვის სიცარიელე შევსებულია პემზის ფენით;
- პემზის ფენაზე მოწყობილია კირის 10-12 სანტიმეტრის სისქის ფენა (არმირების გარეშე);
- კირის ფენის ზემოდან, მოწყობილია კრამიტის ბურული ასევე კირის დულაბით; კრამიტები შევსებულია დულაბით და დამატებით ჩამაგრებულია სამსჭვალელებით;

გადახურვაზე იზოლაცია არ არის გამოყენებული;

2016-17 წელს ხარვეზები გამოვლინდა სამხრეთ-დასავლეთი აფრის დასავლეთ მხარის გადახურვაზე, რაც ლოკალურად შეკეთდა.

N1 ანგარიშის შეჯამება

სამხრეთ-დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი მკლავთაშორისი სივრცეების გადახურვა მოწყობილია შემდეგნაირად:

- თუნუქის გადახურვის მოხსნის შემდეგ, მის ქვეშ არსებული სივრცე გასუფთავდა სამშენებლო ნაგვისგან;
- კამარის გარე გარსზე არსებული ბზარები შეივსო კირის დულაბით;
- კამარის გარე გარსზე, გადახურვის სივრცეზე შევსებულია 10-40 სმ სისქის პემზის ფენით;
- პემზის ფენაზე მოწყობილია კირის 6-7 სანტიმეტრის სისქის ფენა (არმირების გარეშე);
- კირის პირველი ფენის ზემოდან მოწყობილია თხევადი იზოლაციის ფენა;
- იზოლაციის ფენის ზემოდან მოწყობილია 12-13 სანტიმეტრის სისქის არმირებული (მინაბოჭკოვანი არმატურა) კირის ფენა;
- არმირებული კირის ფენის ზემოდან მოწყობილია თხევადი იზოლაციის ფენა;
- იზოლაციის ფენის ზემოდან მოწყობილია კრამიტის ბურული ასევე კირის დულაბით; კრამიტები მხოლოდ თავებია შევსებული დულაბით და დამატებით ჩამაგრებულია სამსკვალეებით;

სამხრეთ-აღმოსავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი მკლავთაშორისი სივრცეების გადახურვა მოწყობილია შემდეგნაირად:

- თუნუქის გადახურვის მოხსნის შემდეგ, მის ქვეშ არსებული სივრცე გასუფთავდა სამშენებლო ნაგვისგან;
- კამარის გარე გარსზე არსებული ბზარები შეივსო კირის დულაბით;
- კამარის გარე გარსზე, გადახურვის სივრცეზე შევსებულია 10-40 სმ სისქის ჩრდილოეთ მხარეს- პემზით, **სამხრეთ მხარეს-ქაფ-ბეტონის(!)** ფენით;
- ზ.ა.ფენაზე მოწყობილია კირის 6-7 სანტიმეტრის სისქის ფენა (არმირების გარეშე);
- კირის პირველი ფენის ზემოდან მოწყობილია თხევადი იზოლაციის ფენა;
- იზოლაციის ფენის ზემოდან მოწყობილია 12-13 სანტიმეტრის სისქის არმირებული (მინაბოჭკოვანი არმატურა) კირის ფენა;
- არმირებული კირის ფენის ზემოდან მოწყობილია თხევადი იზოლაციის ფენა;
- იზოლაციის ფენის ზემოდან მოწყობილია **თეთრი კერამიკისაგან დამზადებული** კრამიტის ბურული ასევე კირის დულაბით; კრამიტები მხოლოდ თავებია შევსებული დულაბით და დამატებით ჩამაგრებულია სამსკვალეებით;

N1 ანგარიშის შეჯამება

დაზიანებათა ლოკაციების კატეგორიზაცია აქტიურობის ხარისხის მიხედვით

კედლის მხატვრობა		
დაზიანების დასასტურებულად აქტიური მონაკვეთი:	დაზიანების სავარაუდოდ აქტიური მონაკვეთი:	დაზიანების ამ ეტაპისთვის სტაბილური მონაკვეთი:
დასავლეთ მკლავის კამარის სამხრეთი კედლის სცენები (ზედა რეგისტრი)	აღმოსავლეთი მკლავი, კონქი	დასავლეთ მკლავის ჩრდილოეთი კედელი
დასავლეთ მკლავის კამარის სამხრეთ დასავლეთი კუთხე (ზედა რეგისტრი)		სამხრეთი მკლავი
დასავლეთ მკლავის კამარა/ჭერი		ჩრდილოეთ მკლავის ჭერი და აღმოსავლეთი კედელი
ჩრდილოეთ მკლავის დასავლეთი სცენა (ზედა რეგისტრი)		ბემა

ფასადი		
დაზიანების დასასტურებულად აქტიური მონაკვეთი:	დაზიანების სავარაუდოდ აქტიური მონაკვეთი:	დაზიანების ამ ეტაპისთვის სტაბილური მონაკვეთი:
დასავლეთი მკლავის დასავლეთი და სამხრეთი კედლები	დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთ კედელი	სამხრეთი მკლავის ფასადები
ჩრდილოეთ მკლავის ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლები	აღმოსავლეთი მკლავის აფსიდი (კარნიზებთან)	

ადმოსავლეთი მკლავი

აღმოსავლეთი მკლავი - ფიზიკური ისტორია

თარიღი	მოვლენა/დაზიანებათა აღწერა	წყარო
2016	ფასადზე ფიქსირდება შავი ლაქები (ბიოაქტივობა)	ფოტოდოკუმენტაცია
2017	ფასადი ჩასმულია ხარაჩოში	ფოტოდოკუმენტაცია - დრონი
2018 წლის მარტამდე	კონქისა, სამხრეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთი მკლავთაშორისი სივრცეებს აქვთ თუნუქის გადახურვა; კარნიზები დაზიანებულია	ფოტოდოკუმენტაცია გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები სამუშაოთა შუალედური ანგარიში 2017 წლის 30 დეკემბერი - 2018 წლის 20 ივლისი
2018 წლის მარტი-ივლისი	კონქისა, სამხრეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთი მკლავთაშორისი სივრცეების კარნიზების აღდგენა, მოჭიქული კრამიტით სახურავის მოწყობა, ქვის კონსერვაცია	ფოტოდოკუმენტაცია ვიზუალური დაკვირვება გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები სამუშაოთა შუალედური ანგარიში 2017 წლის 30 დეკემბერი - 2018 წლის 20 ივლისი
2019	1. 2018 წლამდე დაფიქსირებული ბიოაქტივობა აღარ შეინიშნება (სავარაუდოდ, ქვის კონსერვაციის დროს შეიწამლა). 2. ფრაგმენტულად ფიქსირდება ახლადგამოვლენილი დაზიანება - ქვის ფერის სახეცვლა/შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა).	ფოტოდოკუმენტაციის შედარებითი ანალიზი
2020 წლის აპრილი და ივნისი	1. 2019 წელს აღნიშნული ბიოდაზიანება გააქტიურებულია 2. 2019 წელს დაფიქსირებული ქვისა და შეკეთების ფერის სახეცვლა/ ტენის შემცველობა კარნიზებთან კვლავ შესამჩნევია, თუმცა ფორმა შეცვლილია და გამომარჩილებაც თან ახლავს.	ფოტოდოკუმენტაციის შედარებითი ანალიზი
2020 წლის ივნისი	კრამიტისა და ჭიქურის ფრაგმენტული დანაკარგი	ფოტოდოკუმენტაცია (16-19 ივნისის მისია - დრონი)

აღმოსავლეთი მკლავი, ექსტერიერი - ფიზიკური ისტორია

ხელმისაწვდომ ფოტოდოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოვლინდა შემდეგი:

2016 წელი:

1. კონქისა და ბემის თუნუქის გადახურვა
2. კარნიზები დაზიანებულია
3. შავი ლაქები (ბიოდაზიანება)
4. ქვის ფერის სახეცვლა/შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა)

2017 წელი:

1. კონქისა და ბემის თუნუქის გადახურვა
2. აღმოსავლეთ ფასადზე განთავსებულია ხარაჩო

2018 წელი:

1. კონქი გადახურულია თუნუქით
2. აღმოსავლეთ ფასადზე განთავსებულია ხარაჩო
3. ბემა გადახურულია კრამიტით

2019 წელი:

1. კონქი და ბემა გადახურულია კრამიტით
2. ფასადზე ხარაჩო ფრაგმენტულადაა.
3. შავი ლაქები (ბიოდაზიანება კონსერვაციის შემდგომ) აღარ შეიმჩნევა.
4. მსგავსად 2016 წლისა ქვის ფერის სახეცვლა/შემუქება კარნიზებთან გვხვდება. თუმცა ფორმა- ტენის დისტრიბუცია - შეცვლილია.


2020 წელი:

1. კონქი და ბემა გადახურულია კრამიტით
2. ხარაჩო სრულად მოხსნილია
3. შეიმჩნევა ბიოდაზიანების აქტივობა
4. შენარჩუნებულია ქვის ფერის სახეცვლა/შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა).


2016 წელი



2017 წელი




2018 წელი



2019 წელი



2020 წელი



აღმოსავლეთი მკლავი, ექსტერიერი - ფიზიკური ისტორია

კონქი და ბემა - გადახურვამდე (2016 წელი) და გადახურვის შემდგომ (2019 წელი) გამოვლენილი დაზიანებები :

1. შავი ლაქები - ბიოდაზიანება (მონიშნულია წითელი ჩარჩოში)
2. ქვისა და შეკეთებების ფერის სახეცვლა/შემუქებები (ტენის შემცველობა) (მონიშნულია ყვითელ ჩარჩოში)

2016 წელთან შედარებით:




- 2019 წელს ბიოაქტივობა ნაკლებ ფიქსირდება
- 2019 წელს შემუქებული/ტენიანი ადგილები მრავლად გვხვდება

2019 წლის აპრილისთვის წითელ ჩარჩოში მონიშნული ბიოდაზიანება ნაკლებ შეიმჩნევა (ქვის კონერვაციის დროს შეიწამლა).

2016 წელისგან განსხვავებით ქვის ფერის სახეცვლა/ ტენის შემცველობა ბევრგან ფიქსირდება (ყვითელ ჩარჩოში)

2019 წლის აპრილისთვის წითელ ჩარჩოში მონიშნული ბიოდაზიანება ნაკლებ შეიმჩნევა (ქვის კონერვაციის დროს შეიწამლა).

2016 წელისგან განსხვავებით ქვის ფერის სახეცვლა/ ტენის შემცველობა კარნიზებთან კვლავ შესამჩნევია, თუმცა ფორმა შეცვლილია (ცისფერ ჩარჩოში.)



აღმოსავლეთი მკლავი, ექსტერიერი - მდგომარეობის აღწერა

2020 წლის 30 აპრილსა და 17 ივნისს მდგომარეობები:

ფასადი:

1) დაზიანება: შავი ლაქები - ბიოდაზიანება (მონიშნულია წითელი ჩარჩოში)

აქტივიზაციის ხარისხი:

თვალთ ხილული პროგრესი არ შეინიშნება

2) დაზიანება: ქვისა და შეკეთებების ფერის სახეცვლა/შემუქებები (ტენის შემცველობა) (მონიშნულია ყვითელი ჩარჩოში)

აქტივიზაციის ხარისხი:

თვალთ ხილული პროგრესი არ შეინიშნება

30 აპრილი 2020



17 ივნისი 2020




17 ივნისი 2020



17 ივნისი 2020

17 ივნისი 2020







აღმოსავლეთი მკლავი, ექსტერიერი - მდგომარეობის აღწერა

2020 წლის 17 ივნისის
მდგომარეობა:

ფასადის დაზიანების ტიპი:

ქვა და შეკეთებები: 1. ფერის
სახეცვლა/შემუქება (ტენის
შემხველობა) 2. შავი ლაქები
(ბიოაქტივობა) 3.
გამომარილება

დაზიანების ლოკაცია:
კარნიზები



აღმოსავლეთ მკლავის სამხრეთი
ფასადი.
კარნიზის ქვებსა და შეკეთებებზე 1.
ფერის სახეცვლა/შემუქება (ტენის
შემხველობა) 2. ბიოაქტივობა 3.
გამომარილება

აღმოსავლეთი მკლავი, გადახურვა - მდგომარეობის აღწერა



2020 წლის 17 ივნისის მდგომარეობა:

კრამიტის მთლიანი გადახურვის დაზიანების ტიპები:

1. დანაკარგი;
2. ჭიქურის აქერცვლა.
3. გამომარილება

კრამიტებს შორის შევსებებზე დაზიანების გარჩევა დისტანციიდან რთულია, მით უფრო რომ შევსებები საკმაოდ უხეშად არის შესრულებული.

აღმოსავლეთი, ბემა, ჩრდილოეთი ფერდი.
მოჭიქული კრამიტის დანაკარგი



საკუთხეველის კონქის გადახურვა. მოჭიქული კრამიტის დაზიანება: ჭიქურისა და კრამიტის დანაკარგი

აღმოსავლეთი მკლავი, გადახურვა - მდგომარეობის აღწერა

2020 წლის 17 ივნისის მდგომარეობა:

კრამიტის მთლიანი გადახურვის დაზიანების ტიპები:


1. დანაკარგი;
2. ჭიქურის აქერცვლა.
3. გამომარილება

კრამიტებს შორის შევსებებზე დაზიანების გარჩევა დისტანციიდან რთულია, მით უფრო რომ შევსებები საკმაოდ უხეშად არის შესრულებული.

აღმოსავლეთი, ბემა, ჩრდილოეთი ფერდი.
მოჭიქული კრამიტის დანაკარგი

დაზიანებული კრამიტის
ლოკაციები მითითებულია
ისრით.

2020 წლის 17 ივნისი



აღმოსავლეთი მკლავი, გადახურვა - მდგომარეობის აღწერა

2020 წლის 17 ივნისის მდგომარეობა:


ლოკაცია:

კრამიტსა და ტრომპების კედლებს შორის შეპრაპირების ადგილები:

დაზიანების ტიპი:

შევსებებზე შეინიშნება ბზარები.
(იხ წითელი ჩარჩოები).

კრამიტებს შორის შევსებებზე დაზიანების გარჩევა დისტანციიდან რთულია, მით უფრო რომ შევსებები საკმაოდ უხეშად არის შესრულებული.




დაზიანებული კრამიტის
ლოკაციები მითითებულია
ისრით.

აღმოსავლეთი მკლავი - ინტერიერისა და ექსტერიერის მდგომარეობის შედარება

მიუხედავად ფასადზე არსებული მიმდინარე დაზიანებისა ინტერიერში მდგომარეობის ცვლილება არ შეინიშნება

17 ივნისი 2020



ექსტერიერი



ინტერიერი

აღმოსავლეთი მკლავი, ინტერიერი - ფიზიკური ისტორია

კონქი

გელათის სამონასტრო კომპლექსში მოღვაწე სასულიერო პირების ცნობით 2020 წლის მაისის თვეში საკურთხეველის აფსიდში საფეხურებზე განთავსებულ ხატებზე თეთრი ფერის დეპოზიტები დაფიქსირდა. თეთრი ფერის დეპოზიტები მარილის კრისტალებს ჰგავს.

2017 წლისა და 2020 წლის ფოტომასალის ვიზუალური დაკვირვებით თვალით ხილული განსხვავება არ შეინიშნება. შესაბამისად, უცნობია თუ საიდან ჩამოცვივდა ხატებზე განთავსებული მარილის კრისტალები.

2017 და 2020 წლის მდგომარეობის ვიზუალური დაკვირვებით თვალით ხილული განსხვავება არ შეინიშნება



2017-18 წლის მიჯნა



22 მაისი 2020



16-19 ივნისი 2020



საკურთხეველი ვარიანტი 1_DSC_0095_c_RGB

აღმოსავლეთი მკლავი, ინტერიერი - მდგომარეობის აღწერა

კონქი

მარილის კრისტალების ჩამოცვენის ადგილების განსასაზღვრად შეირჩა პოტენციური ადგილები, რომელთა დეტალური ფოტოფიქსაცია განხარციელდა.


პოტენციური ადგილები შეირჩა მარილის დეპოზიტების ლოკაციიდან და ისტორიული დაზიანების ადგილებიდან გამომდინარე.

საკურთხევლის კონქის შემთხვევაში მოზაიკის ქვევით მხატვრობის ფენაზე შეიმჩნევა ისტორიული დაზიანება.

ამ მონაკვეთების დეტალურმა ფოტო ფიქსაციამ ვერ გამოავლინა ახალი ტიპის დაზიანება.

ვინაიდან ჩამოცვენილი მარილის კრისტალები იატაკის დონეზე ფიქსირდება **საჭიროა აღნიშნული ლოკაციების მხატვრობის ახლოდან შესწავლა.**

16-19 ივნისი 2020



16-19 ივნისი 2020



საკურთხეველი, კონქი, მარჯვენა ანგელოზი. ფოტოებზე აქტიური დაზიანების კვალი არ შეიმჩნევა.




აღმოსავლეთი მკლავი, ინტერიერი - მდგომარეობის აღწერა

კონქი

საკურთხევლის მოზაიკაზე არაისტორიული დაზიანების აქტიურობა ვერ დაფიქსირდა, თუმცა საინტერესოა თეთრი ღრუბლისებრი ფორმის ლაქები, რომლებიც ღვთისმშობლის მარჯვენა და მარცხენა მხარეს ოქროსფერ ფონზე ფიქსირდება. თეთრი ფერის შევსებისმაგვარი მონაკვეთები ფიქსირდება მარჯვენა ანგელოზის მარჯვენა ფრთაზე.

ფოტოს ახლოდან დაკვირვებისას რთულია გარჩევა მოზაიკის ისტორიული შევსებაა თუ რაიმე მასთან დაკავშირებული დაზიანების ფორმაა.

საკურთხევლის ახლოდან დაკვირვების შემთხვევაში რეკომენდირებულია ამ ადგილების უკეთ შესწავლა.



16-19 ივნისი 2020



16-19 ივნისი 2020

ღვთისმშობლის ფეხების ფრაგმენტი. 2017 წლის მერე გამოვლენილი დაზიანება არ შეიმჩნევა.



16-19 ივნისი 2020

მარჯვენა ანგელოზის ფრთა. მოზაიკაზე შეიმჩნევა თეთრი ფერის ლაქები



ღვთისმშობლის მარცხენა და მარჯვენა მხარეს ოქროსფერ ფონზე შეიმჩნევა თეთრი ღრუბლისებრი ლაქები.

აღმოსავლეთი მკლავი, ინტერიერი - ფიზიკური ისტორია

გემა

ვიზუალური დაკვირვებით 2017 წლის დეკემბრის, 2020 წლის 22 მაისისა და 18 ივნისის მდგომარეობით თვალით ხილული განსხვავება არ შეინიშნება

2017-18 წლის მიჯნა




ჭერის გეგმა 11_DSC_0308 - Copy (2) - Copy_c_RGB

22 მაისი 2020



გეგმა




აღმოსავლეთი მკლავი, ინტერიერი - ფიზიკური ისტორია

ბემა

ვიზუალური დაკვირვებით 2017 წლის დეკემბრის, 2020 წლის 22 მაისისა და 18 ივნისის მდგომარეობით თვალით ხილული განსხვავება არ შეინიშნება




2017-18 წლის მიჯნა



22 მაისი 2020



16-19 ივნისი 2020



ჭერის გეგმა 11(2)2_bcdxvdfgd_c_RGB

ჩრდილოეთი მკლავი

ჩრდილოეთი მკლავი - ფიზიკური ისტორია

თარიღი	მოვლენა/დაზიანებათა აღწერა	წყარო
2007-2016	<ol style="list-style-type: none"> 1. თუნუქის გადახურვა 2. ფრაგმენტულად შავი ლაქები (ბიოდაზიანება) 3. დამტვრეული/ნაკლული კარნიზის ფრაგმენტები 	ფოტოდოკუმენტაცია
2016 დეკემბერი	<ol style="list-style-type: none"> 1. თუნუქის გადახურვა 2. ფასადი ჩასმულია ხარაჩოში 3. ფრაგმენტულად შეიმჩნევა ფასადის ქვის ფერის სახეცვლა/შემუქებები (სავარაუდოდ ტენის შემცველობა), რომელიც სავარაუდოდ, გამოწვეულია წყლის აქტიური ზემოქმედებით შემდეგ არეებში: <ul style="list-style-type: none"> • ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთ კედელზე • დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთ კედელზე • ჩრდილოეთის მკლავთაშორისი სივრცის სამხრეთ კედელზე • სამხრეთ-დასავლეთი ტრომპის ორივე კედელზე 	ფოტოდოკუმენტაცია
2017 წლის მაისი	<ol style="list-style-type: none"> 1. კრამიტის გადახურვა 2. ფასადი ჩასმულია ხარაჩოში. 3. 2016 წელს შემჩნეული ქვის ფერის სახეცვლა/შემუქება კვლავ ფიქსირდება: <ul style="list-style-type: none"> • სამხრეთ-დასავლეთი ტრომპის ორივე კედელსა და დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთ კედელზე. 	ფოტოდოკუმენტაცია
2018 წლის თებერვალი და აგვისტო	<p>დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედელზე ფიქსირდება მარილის ნადები. კრისტალიზაციის პროცესი მიუთითებს იმაზე, რომ წყლის ზემოქმედებით აქტივირებული მარილის იონები თებერვალში კედლის შრობის დროს მყარ ფორმაში გადავიდნენ და ზედაპირზე გამოკრისტალდნენ.</p> <p><i>სისველე აღარ შეინიშნება 2016 წლის დეკემბერში დაფიქსირებულ ადგილებზე.</i></p>	ფოტოდოკუმენტაცია
2019 აპრილი	<p>ჩრდილოეთი მკლავის ჩრდილოეთ კედელზე მარილის გამოკრისტალეების პროცესი კვლავ ფიქსირდება. ჩრდილო-დასავლეთი ტრომპის ორივე კედელზე შეინიშნება ქვისა და შევსებების ფერის სახეცვლა/შემუქება (სავარაუდოდ ტენის შემცველობა).</p>	ფოტოდოკუმენტაცია
2019 ნოემბერი	<p>ჩრდილოეთ მკლავის დასავლეთი მხარე, ინტერიერის ზედა რეგისტრები ძლიერ დაზიანდა. კედლის მხატვრობის დაზიანება ძირითადად მოიცავდა ფერისა და ნალესობის ფენების დანაკარგს, განშრევაბასა და გამომარილებას. აღნიშნულ ადგილებში განხორციელდა გადაუდებელი კედლის მხატვრობის საკონსერვაციო პირდაპირი ჩარევები.</p>	ფოტოდოკუმენტაცია, GACC ანგარიში.
2020 წელი	<p>მონიტორინგისას დაზიანების აქტივიზაციის ხარისხი განისაზღვრა:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ქვისა და შეკეთებების ფერის სახეცვლა/შემუქება (ტენის შემცველობა) შენარჩუნებულია (არ იცვლება ფორმა). 2. მარილის კრისტალიზაცია-გახსნის პროცესი აქტიურია. 	ფოტოდოკუმენტაცია

ჩრდილოეთი მკლავი, ექსტერიერი - ფიზიკური ისტორია

გადახურვა და ფასადი

2007-08 წელი



2010 წელი



2012-13



2015



- 2007 წლიდან 2016 წლის ჩათვლით თუნუქის გადახურვა
- 2016 წლის დეკემბერი - ხარაჩო
- 2016 წლის დეკემბერში შეინიშნება ფასადის ქვის ფერის სახეცვლა/შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა)
- 2017 წელს ხარაჩო კვლავ აღმართულია. მოწყობილია კრამიტის გადახურვა.
- 2017 წლის მაისში ფიქსირდება 2016 წელს შემჩნეული ფასადის ქვის ფერის სახეცვლა/შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა)
- 2018 წელს მკლავი კვლავ ხარაჩოშია


2016 წელი



2017 წელი



2018 წელი



ჩრდილოეთი მკლავი, ექსტერიერი - ფიზიკური ისტორია

ჩრდილოეთი კედელი

1. 2018 წლის თებერვალში ჩრდილოეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელის კუთხეში სისვლე (შეკეთებებისა და ქვის ფერის სახეცვლა/შემუქება) და გამომარილება დაფიქსირდა.
2. 2018 წლის აგვისტოში კვლავ შეინიშნება შეკეთებებისა და ქვის ფერის სახეცვლა/შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა)

2018 თებერვალი



2018 თებერვალი



წყარო: ნანა კუპრაშვილი

2018 აგვისტო



წყარო: თამარ მელივა


ჩრდილოეთი მკლავი, ექსტერიერი - ფიზიკური ისტორია

- 2019 წლის აპრილში ჩრდილოეთი მკლავის ჩრდილოეთი კედლის კუთხეში ფიქსირდება თეთრი ლაქები - სავარაუდოდ გამოკრისტალებული მარილი.
- 2019 წლის აპრილში ჩრდილო-დასავლეთი ტრომპის ორივე კედელზე შეინიშნება მუქი ლაქები - სავარაუდოდ სისველე.

2019 აპრილი



2019 აპრილი



წყარო: თამარ მელიჯა

ჩრდილოეთი მკლავი, ექსტერიერი - მდგომარეობის აღწერა

ჩრდილოეთი კედელი

- 2020 წლის 11 მარტი - 2019 წლის აპრილთან შედარებით მეტი გამომარილება
- 2020 წლის 30 აპრილი - 2020 წლის 11 მარტთან შედარებით შეინიშნება მარილის ზრდა
- 2020 წლის 22 მაისი - 30 აპრილთან შედარებით მარილის ნადების მკვეთრი შემცირება
- 2020 წლის 16 ივნისი - 22 მაისთან შედარებით მარილის ნადების მცირედი შემცირება

მონიტორინგის მიხედვით მარილის კრისტალიზაციის პროცესი აქტიურია.



2020 წლის 11 მარტი



2020 წლის 30 აპრილი



2020 წლის 22 მაისი



2020 წლის 16 ივნისი



მარილის გამოკრისტალების პროცესი აქტიურია;
შეინიშნება ნადების **ზრდა**.



შეინიშნება მარილის კრისტალური
ნადების **მკვეთრი შემცირება**.




შეინიშნება მარილის კრისტალური
ნადების **მცირედი შემცირება**.

ჩრდილოეთი მკლავი, ექსტერიერი - მდგომარეობის აღწერა


ჩრდილოეთის მკლავის დასავლეთი კედელი, დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელი და ჩრდილო-დასავლეთი ტრომპი

- 2020 წლის 11 მარტი - ქვისა და შეკეთებების ფერის სახეცვლა (ტენის შემცველობა), გამომარილება
- 2020 წლის 30 აპრილი - 2020 წლის 11 მარტთან შედარებით ცვლილება არ შეინიშნება
- 2020 წლის 22 მაისი - 30 აპრილთან შედარებით მარილის ნადების მკვეთრი შემცირება
- 2020 წლის 16 ივნისი - 22 მაისთან შედარებით მარილის ნადების მცირედი შემცირება


მონიტორინგის მიხედვით მარილის კრისტალიზაციის პროცესი აქტიურია.




2020 წლის 11 მარტი



2020 წლის 30 აპრილი



2020 წლის 22 მაისი



2020 წლის 16 ივნისი



ცვლილება ვერ შეინიშნა



შეინიშნება მარილის კრისტალური ნადების მკვეთრი შემცირება.



შეინიშნება მარილის კრისტალური ნადების მცირედი შემცირება, უმეტესწილად იგივე მდგომარეობა.

ჩრდილოეთი მკლავი, გადახურვა - მდგომარეობის აღწერა

2020 წლის 17 ივნისის მდგომარეობა:

ლოკაცია:

კრამიტსა და ტრომპების კედლებს შორის შეპრაპირების ადგილები (ჩრდილო-დასავლეთი ფერდი):

დაზიანების ტიპი:

შევსებებზე შეინიშნება ბზარები. (იხ წითელი ჩარჩო).

კრამიტებს შორის შევსებებზე დაზიანების გარჩევა დისტანციიდან რთულია, მით უფრო რომ შევსებები საკმაოდ უხეშად არის შესრულებული.

კრამიტის დაზიანება დისტანციიდან არ შეინიშნება.

2020 წლის 17 ივნისი



2020 წლის 17 ივნისი




ჩრდილოეთი მკლავი - ინტერიერისა და ექსტერიერის მდგომარეობის შედარება

ჩრდილოეთი კედელი, ზედა რეგისტრი



- ფასადზე ჩრდილოეთი მკლავის ჩრდილოეთი კედლის კუთხეში 2018 წლის თებერვალში სისვლე და გამომაროლება დაფიქსირდა.
- გადახურვებისა და ფასადის დაზიანებამ ინტერიერის კედლის მხატვრობის მდგომარეობაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა.
- 2019 წელს, ინტერიერში დაფიქსირდა მხატვრობის ახალი დანაკარგი, რომელიც ფასადის მხრიდან არსებული დაზიანების ლოკაციას ემთხვევა.
- 2019-20 წლებში დაფიქსირებული კედლის მხატვრობის დაზიანებები არ ვლინდება 2017 წლის დეკემბრის ფოტოზე, მაშინ როდესაც სახურავი უკვე 7 თვეზე მეტი ჭიქური კრამიტით იყო გადახურული.

ჩრდილოეთ ფასადი ხარაჩოშია



ინტერიერის ფოტოები სარკისებურად არის შებრუნებული

ჩრდილოეთის ფასადი დაზიანებული ჩრდილოეთის კედელი ფასადისა და ინტერიერის მხრიდან



ჩრდილოეთი მკლავი, ინტერიერი - მდგომარეობის შედარება

ჩრდილოეთი კედელი, ზედა რეგისტრი

2018-2019 წლებში ჩრდილოეთი მკლავის ჩრდილოეთი კედლის დასავლეთი კუთხე მნიშვნელოვნად დაზიანდა.

დაზიანების ტიპი: ფერის და ნალესობის დანაკარგი, ფენებს შორის ადჰიზიური კავშირის მორღვევა, გამომარილება


2020 წლის 16 ივნისის მდგომარეობით დაზიანების აქტივიზაცია: არ ფიქსირდება

2017-18 წლის მიჯნა



N7_DSC_0463_c_RGB

22 მაისი 2020



ჩრდ. ჭრილი

მხატვრობისა და შელესილობის ფენების დანაკარგი, ადჰიზიური კავშირის მორღვევა, გამომარილება

ჩრდილოეთი მკლავი, ინტერიერი - მდგომარეობის შედარება

ჩრდილოეთი კედელი, ზედა რეგისტრი

დაზიანების ტიპი: ფერის და ნალესობის დანაკარგი, განშრევა, გამომარილება
2020 წლის 16 ივნისის მდგომარეობით დაზიანების აქტივიზაცია: არ ფიქსირდება

2019 წლის ნოემბერში გადაუდებელი საკონსერვაციო ჩარევა განხორციელდა. 2020 წლის 16-19 ივნისის მისიის დროს განხორციელებული დაკვირვებით მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება ვერ ფიქსირდება.

ნოემბერი 2019
გადაუდებელ
გამაგრებამდე



ნოემბერი 2019
გადაუდებელი
გამაგრების შემდგომ




ჩრდ. კრილი

ჩრდილოეთი მკლავი, ინტერიერი - ფიზიკური ისტორია

კამარის ცენტრალური ნაწილი

დაზიანების ტიპი: ფერის დანაკარგი, გამომარილება, სახეცვლა
2020 წლის 16 ივნისის მდგომარეობით დაზიანების აქტივიზაცია: არ ფიქსირდება



გეგმა



მნიშვნელოვნად გაუარესებულია მდგომარეობა
აღინიშნება ფერის ფენის დანაკარი და გამომარილება

გაუარესება არ შეინიშნება

ჩრდილოეთი მკლავი - ინტერიერისა და ექსტერიერის მდგომარეობის შედარება

ფასადის მხრიდან არსებული დაზიანების ლოკაცია ინტერიერში არსებულ დაზიანების არეებს ემთხვევა



ფასადი - ჩრდილოეთი მკლავის აღმოსავლეთი კედელი:
დაზიანების ტიპი:
 ქვა და შეკეთებები: 1. ფერის სახეცვლა/შემუქება (ტენის შემხველობა)
 2. შავი ლაქები (ბიოაქტივობა)
დაზიანების ლოკაცია:
 კარნიზი

ინტერიერი - ჩრდილოეთი მკლავის აღმოსავლეთი კედელი:
კედლის მხატვრობა და შეკეთებები:
დაზიანების ტიპი:
 ფერის დანაკარგი, გამომარილება

გადახურვა:
 კრამიტისა და გადაბმის ადგილებზე დაზიანებები ვიზუალურად არ განირჩევა.
 კრამიტებს შორის შევსებებზე დაზიანების გარჩევა დისტანციიდან რთულია, მით უფრო რომ შევსებები საკმაოდ უხესად არის შესრულებული.

ფასადი - ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთი კედელი:
დაზიანების ტიპი:
 ქვა და შეკეთებები: 1. ფერის სახეცვლა/შემუქება (ტენის შემხველობა)
 2. შავი ლაქები (ბიოაქტივობა)
 3. გამომარილება
დაზიანების ლოკაცია: კარნიზი და კედელი

ინტერიერი - ჩრდილოეთი მკლავის აღმოსავლეთი კედელი:
კედლის მხატვრობა და შეკეთებები:
დაზიანების ტიპი:
 გამომარილება, დანაკარგი, განშრევა, გაფხვიერება



ჩრდილოეთი მკლავი, ინტერიერი - ფიზიკური ისტორია



კამარის აღმოსავლეთი მხარე

დაზიანების ტიპი: ფერის დანაკარგი, გამომარილება

2020 წლის 16 ივნისის მდგომარეობით დაზიანების აქტივიზაცია: არ ფიქსირდება

შენიშვნა: დაზიანება ჩრდილოეთი მკლავის კედლის მხატვრობაზე 2019 წელს გამოვლინდა

2017 წელსა და 2020 წლის მაისის მდგომარეობის ვიზუალური დაკვირვებით თვალით ხილული ძლიერი განსხვავება შეიმჩნევა (გამომარილება), თუმცა 22 მაისის მერე მდგომარეობის ცვლილება არ აღინიშნება. 2020 წლის 18 ივნისის მდგომარეობით დაზიანება სტაბილურია.



ჩრდილოეთი მკლავი, ინტერიერი - მდგომარეობის შედარება

კამარის აღმოსავლეთი მხარე

18 ივნისი 2020

დაზიანების ტიპი:
გამომარილება

2020 წლის 18 ივნისის
მდგომარეობით
დაზიანების აქტივიზაცია:
არ ფიქსირდება

ვიზუალური
დაკვირვებით 22
მაისისა და 18 ივნისის
მდგომარეობით
თვალთ ხილული
განსხვავება არ
შეინიშნება



ჩრდილოეთი მკლავი, ინტერიერი - მდგომარეობის შედარება


კამარის დასავლეთი მხარე

დაზიანების ტიპი: ფერისა და შელესილობის დანაკარგი, ფენებს შორის ადჰიზიური კავშირის მორღვევა, გამომარილება

2020 წლის 16 ივნისის მდგომარეობით დაზიანების აქტივიზაცია: ფიქსირდება


შენიშვნა: დაზიანება ჩრდილოეთი მკლავის კედლის მხატვრობაზე 2019 წელს გამოვლინდა

2017 წელსა და 2020 წლის მაისის მდგომარეობის ვიზუალური დაკვირვებით თვალით ხილული ძლიერი განსხვავება შეიმჩნევა (გამომარილება). 22 მაისის მერე მდგომარეობის მცირედი ცვლილება აღინიშნება. 2020 წლის 18 ივნისის მდგომარეობით დაზიანება, კერძოდ მარილის კრისტალიზაციის პროცესი მიმდინარეა.




დას. ჭრილი


2017-18 წლის მიჯნა



22 მაისი 2020



16-19 ივნისი 2020



DSC_0498_c_RGB

ჩრდილოეთი მკლავი, ინტერიერი - მდგომარეობის შედარება

კამარის დასავლეთი მხარე


დაზიანების ტიპი: ფერის ფენის დანაკარგი, გამომარილება

2020 წლის 16 ივნისის მდგომარეობით დაზიანების აქტივიზაცია: ფიქსირდება (მარილის გამოკრისტალდება)


ნოემბერი 2019 გადაუღებელი საკონსერვაციო ჩარევამდე

ნოემბერი 2019 გადაუღებელი საკონსერვაციო ჩარევამდე

მნიშვნელოვნად გაუარესებულია მდგომარეობა აღინიშნება ფერის ფენის დანაკარი, გამომარილება



დას. ჭრილი



ჩრდილოეთი მკლავი, ინტერიერი - მდგომარეობის შედარება

კამარის დასავლეთი მხარე

დაზიანების ტიპი:

გამომარილება, ფერის ფენის დანაკარგი



2020 წლის 16 ივნისის მდგომარეობით დაზიანების აქტივიზაცია: ერთგან ფიქსირდება (მარილის გამოკრისტალემა), ხოლო მეორეგან სტაბილურია



ნოემბერი 2019 გადაუდებელი საკონსერვაციო ჩარევის შემდგომ



2019 წლის საკონსერვაციო ჩარევამდე არსებულ ფოტოში მარილის ფენა. არ ფიქსირდება 2020 წლის ივნისის მდგომარეობით მონიშნულ ადგილებზე ვაწყდებით გამომარილებას.





2019 წლის საკონსერვაციო ჩარევის დროს მოიხსნა მარილის ფენა. 2020 წლის ივნისის მდგომარეობით ახალი გამომარილება არ ფიქსირდება.

ჩრდილოეთი მკლავი, ინტერიერი - მდგომარეობის შედარება

დასავლეთი კედელი

დაზიანების ტიპი: გამომარილება, ფერის ფენისა და შელესილობის დანაკარგი, მასალაში კოჰიზიური კავშირის დარღვევა, ფენებს შორის ადჰიზიური კავშირის მორღვევა

2017 წელსა და 2020 წლის მაისის მდგომარეობის ვიზუალური დაკვირვებით თვალისათვის ხილული ძლიერი განსხვავება შეიმჩნევა. 22 მაისის მერე მდგომარეობის მკვეთრი ცვლილება არ აღინიშნება. 2020 წლის 18 ივნისის მდგომარეობით დაზიანება სტაბილურია.





სამხრეთი მკლავი

სამხრეთი მკლავი - ფიზიკური ისტორია

თარიღი	მოვლენა/დაზიანებათა აღწერა	წყარო
2007-2016	<ol style="list-style-type: none"> 1. თუნუქის გადახურვა 2. ფრაგმენტულად შავი ლაქები (ბიოდაზიანება) 3. დამტვრეული/ნაკლული კარნიზის ფრაგმენტები 	ფოტოდოკუმენტაცია
2016 დეკემბერი	<ol style="list-style-type: none"> 1. თუნუქის გადახურვა 2. ფასადი ჩასმულია ხარაჩოში 3. მიმდინარეობს კარნიზის ქვების აღდგენა. დასავლეთი ფერდი აღდგენილია, ხოლო აღმოსავლეთი ფერდის კარნიზების აღდგენა პროცესშია. 	ფოტოდოკუმენტაცია
2017 წლის მაისი	<ol style="list-style-type: none"> 1. დასავლეთ ფერდზე მოწყობილია კრამიტის გადახურვა, ხოლო აღმოსავლეთზე კვლავ თუნუქის გადახურვა ფიქსირდება 2. ფასადი ჩასმულია ხარაჩოში. 3. დასრულებულია კარნიზის ქვების აღდგენა 4. დასრულებულია ბიოდაზიანების ბიოციდით დამუშავება/ შავი ლაქების მოცილება. 	ფოტოდოკუმენტაცია
2018 წლის აგვისტო	<ol style="list-style-type: none"> 1. კრამიტის გადახურვა სრულადაა მოწყობილი 2. სამხრეთი მკლავის სამხრეთ კედელზე კუთხის კარნიზებთან შეიმჩნევა თეთრი ნადები და ფასადის ფერის სახეცვლა/შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა . 3. ხარაჩო მოხსნილია. 	ფოტოდოკუმენტაცია
2019 აპრილი	<ol style="list-style-type: none"> 1. სამხრეთი მკლავის სამხრეთ კედელზე კუთხის კარნიზთან კვლავ შეიმჩნევა თეთრი ნადები და ფასადის ფერის სახეცვლა/შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა . 	ფოტოდოკუმენტაცია
2020 წელი	<p>მონიტორინგისას დაზიანების აქტივიზაციის ხარისხი განისაზღვრა:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ქვისა და შეკეთებების ფერის სახეცვლა/შემუქება (ტენის შემცველობა) შენარჩუნებულია (არ იცვლება ფორმა). 2. მარილის კრისტალიზაცია-გახსნის პროცესი არ არის აქტიური. 	ფოტოდოკუმენტაცია

სამხრეთი მკლავი, ექსტერიერი - ფიზიკური ისტორია

გადახურვა და ფასადი




- 2007 წლიდან 2016 წლის ჩათვლით თუნუქის გადახურვა. ფასადზე შინიშნება შავი ლაქები (ბიოდაზიანება), დამტვრეულია კარნიზის ქვები.
- 2016 წლის დეკემბერი - ხარაჩო. მიმდინარეობს კარნიზის ქვების აღდგენა. დასავლეთი ფერდი აღდგენილია, მიმდინარეობს აღმოსავლეთი ფერდის კარნიზების აღდგენა.
- 2017 წლის მაისში ხარაჩო კვლავ აღმართულია. დასრულებულია კარნიზების აღდგენა და ბიოდაზიანების შეწამვლა. დასავლეთ ფერდზე მოწყობილია კრამიტის გადახურვა. აღმოსავლეთ ფერდზე კვლავ თუნუქის გადახურვაა.


მაისი 2017 წელი



აგვისტო 2018 წელი



აპრილი 2019 წელი






- 2018 წლის აგვისტოს ფოტოზე, სამხრეთი მკლავის სამხრეთ კედელზე კუთხის კარნიზებთან შეიმჩნევა თეთრი ნადები და ფასადის ფერის სახეცვლა/შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა (იხ წითელი ჩარჩო) . ხარაჩო მოხსნილია.
- 2019 წლის აპრილის ფოტოზე, სამხრეთი მკლავის სამხრეთ კედელზე კუთხის კარნიზებთან კვლავ შეიმჩნევა თეთრი ნადები და ფასადის ფერის სახეცვლა/შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა (იხ წითელი ჩარჩო).

სამხრეთი მკლავი, ექსტერიერი - მდგომარეობის შედარება

სამხრეთი კედელი

დაზიანების ტიპი: გამომარილება, შეკეთებისა და ქვის ფერი სახეცვლა/შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა

2020 წლის 16 ივნისის მდგომარეობით დაზიანების აქტივიზაცია: არ ფიქსირდება. დაზიანება სტაბილურია.





სამხრეთი მკლავი, ექსტერიერი - მდგომარეობის შედარება

სამხრეთი კედელი

დაზიანების ტიპი: გამომარილება, შეკეთებისა და ქვის ფერი სახეცვლა/შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა

2020 წლის 16 ივნისის მდგომარეობით დაზიანების აქტივიზაცია: არ ფიქსირდება. დაზიანება სტაბილურია.



სამხრეთი მკლავი, გადახურვა - მდგომარეობის აღწერა

2020 წლის 17 ივნისის მდგომარეობა:


ლოკაცია:

კრამიტსა და ტრომპების კედლებს შორის შეპრაპირების ადგილები:

დაზიანების ტიპი:

შევსებებზე შეინიშნება ბზარები.
(იხ წითელი ჩარჩოები).

კრამიტებს შორის შევსებებზე დაზიანების გარჩევა დისტანციიდან რთულია, მით უფრო რომ შევსებები საკმაოდ უხეშად არის შესრულებული.



სამხრეთი მკლავი - ინტერიერისა და ექსტერიერის მდგომარეობის შედარება

ფასადის მხრიდან არსებული დაზიანების ლოკაცია ინტერიერში არსებულ დაზიანების არეებს ემთხვევა

ფასადი - სამხრეთი მკლავის დასავლეთი

კედელი:

დაზიანების ტიპი: ქვა და შეკეთებები: 1.

ფერის სახეცვლა/შემუქება (ტენის შემხველობა) 2. შავი ლაქები (ბიოაქტივობა)

3. გამომარილება

დაზიანების ლოკაცია:

კარნიზი

ინტერიერი - სამხრეთი მკლავის

დასავლეთი კედელი:

კედლის მხატვრობა და

შეკეთებები:

დაზიანების ტიპი:

დანაკარგი, განშრევა

გამომარილება

გადახურვა:

კრამიტისა და გადახმის ადგილებზე დაზიანებები ვიზუალურად არ განიჩევა. კრამიტებს შორის შევსებებზე დაზიანების გარჩევა დისტანციიდან რთულია, მით უფრო რომ შევსებები საკმაოდ უხეშად არის შესრულებული.

ფასადი - სამხრეთი მკლავის აღმოსავლეთი

კედელი:



დაზიანების ტიპი: ქვა და შეკეთებები: 1. ფერის

სახეცვლა/შემუქება (ტენის შემხველობა) 2. შავი ლაქები (ბიოაქტივობა თუ გუდრონი?) 3.

გამომარილება

დაზიანების ლოკაცია:

კარნიზი და კედელი




სამხრეთი მკლავი, ინტერიერი - მდგომარეობის შედარება

კამარის ცენტრალური ნაწილი


დაზიანების ტიპი:
გამომარილება

2020 წლის 16 ივნისის
მდგომარეობით დაზიანების
აქტივიზაცია: ერთგან
ფიქსირდება (მარილის
გამოკრისტალება), ხოლო
მეორეგან სტაბილურია

2017 წელსა და 2020 წლის
მაისის მდგომარეობის
ვიზუალური
დაკვირვებით თვალით
ხილული ძლიერი
განსხვავება შეიმჩნევა. 22
მაისის მერე
მდგომარეობის მკვეთრი
ცვლილება არ აღინიშნება.
2020 წლის 18 ივნისის
მდგომარეობით
დაზიანება სტაბილურია.



გეგმა



გამომარილება, შესაძლოა ფერის დანაკარგიც


ცვლილება არ შეინიშნება

სამხრეთი მკლავი, ინტერიერი - მდგომარეობის შედარება


კამარის ცენტრალური ნაწილი

დაზიანების ტიპი: გამომარილება
(მყარი კრისტალური ნადები).

2020 წლის 18 ივნისის მდგომარეობით
დაზიანების აქტივიზაცია: არ ფიქსირდება



გეგმა




სამხრეთი მკლავი, ინტერიერი - მდგომარეობის შედარება

კამარის დასავლეთი მხარე

დაზიანების ტიპი: გამომარილება (მყარი კრისტალური ნადები). გვხვდება ქვაზე, ფერწერულ და ნაღესობის ფენაზე და შეკეთებებზე.

2020 წლის 18 ივნისის მდგომარეობით დაზიანების აქტივიზაცია: არ ფიქსირდება

2017 წელსა და 2020 წლის მაისის მდგომარეობის ვიზუალური დაკვირვებით თვალთ ხილული ძლიერი განსხვავება შეიმჩნევა. 22 მაისის მერე მდგომარეობის მკვეთრი ცვლილება არ აღინიშნება. 2020 წლის 18 ივნისის მდგომარეობით დაზიანება სტაბილურია.



დას. ჭრილი



გამომარილება. ერთ ადგილას მარილის დანაკარგი

განსხვავება არ შეინიშნება

სამხრეთი მკლავი, ინტერიერი - მდგომარეობის შედარება

კამარის დასავლეთი მხარე



დაზიანების ტიპი: 1. გამომარილება (მყარი კრისტალური ნადები). გვხვდება ქვაზე, ფერწერულ და ნალესობის ფენაზე და შეკეთებებზე. 2. შეკეთების ფერის სახეცვლა/შემუქება (ტენის შემცველობა)

2020 წლის 18 ივნისის მდგომარეობით დაზიანების აქტივიზაცია: არ ფიქსირდება

ქიმზე არსებული გამომარილება



ფერწერაზე არსებული გამომარილება



მარლის მყარი კრისტალური მასა ჩამოცვენილია

ქიმის/ შეკეთების ფერის სახეცვლა/ ტენის შემცველობა

დასავლეთი მკლავი

2017 წლის შემდგომი პერიოდიდან დაზიანება აქტიურია
დასავლეთი მკლავის დასავლეთ კედელსა და სამხრეთ კედელზე

დეტალური ინფორმაცია იხილეთ 19 ივნისის დასავლეთი მკლავის
ანგარიშში

დასავლეთი მკლავი - ფიზიკური ისტორია


თარიღი	მოვლენა/დაზიანებათა აღწერა	წყარო
2007-2016	<ol style="list-style-type: none"> 1. თუნუქის გადახურვა 2. შავი ლაქები (ბიოდაზიანება) 3. დამტვრეული/ნაკლული კარნიზის ფრაგმენტები 	ფოტოდოკუმენტაცია
2015 წელი	<ol style="list-style-type: none"> 1. თუნუქის გადახურვა 2. ფასადი ჩასმულია ხარაჩოში 	ფოტოდოკუმენტაცია
2016 წელი	<ol style="list-style-type: none"> 1. კრამიტის გადახურვა 2. კარნიზის ქვების აღდგენის პროცესი 3. ფასადის ნაკლული ადგილების შევსებები 4. ფასადის ბიოციდით დამუშავება 	ფოტოდოკუმენტაცია
2016 წლის აგვისტო	<ol style="list-style-type: none"> 1. კრამიტით გადახურვა დასრულებულია 2. ფასადის კონსერვაციის პროცესი დასრულებულია 3. ხარაჩო მოხსნილია 	ფოტოდოკუმენტაცია
2016 წლის დეკემბერი	<ol style="list-style-type: none"> 1. დასავლეთ კედელზე ფრაგმენტულად ფასადის ქვის ფერის სახეცვლა/შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა) 	ფოტოდოკუმენტაცია
2017 წლის მაისი	<ol style="list-style-type: none"> 1. დასავლეთი კედლის სამხრეთი კუთხის კარნიზთან კვლავ შეიმჩნევა ფასადის ფერის სახეცვლა/შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა). 	ფოტოდოკუმენტაცია
2018-19	ფოტოს რაკურსიდან გამომდინარე დაზიანების გარჩევა რთულია	ფოტოდოკუმენტაცია
2020	<p>ფასადის მონიტორინგისას დაზიანების აქტივიზაციის ხარისხი განისაზღვრა:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ქვისა და შეკეთებების ფერის სახეცვალა/შემუქება (ტენის შემცველობა) კვლავ განირჩევა და მისი მასშტაბი პროგრესირებს. ტენის ლაქები გაზრდილია. 2. მარილის კრისტალიზაცია-გახსნის პროცესი აქტიურია. <p>კედლის მხატვრობის მონიტორინგისას დაზიანების აქტივიზაციის ხარისხი:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დასავლეთი მკლავის დასავლეთ და სამხრეთ კედლებზე დაზიანება აქტიურია 2. ჩრდილოეთ კედელზე აღინიშნება ისტორიული (2017 წლამდე არსებული) დაზიანებები, რომლებიც ამჟამად აქტიური არაა. 	ფოტოდოკუმენტაცია

დასავლეთი მკლავი, ექსტერიერი - ფიზიკური ისტორია


სამხრეთ-დასავლეთი, გადახურვა და ფასადი



2007-8 წელი



2010 წელი



2012-13




2015

- 2007 წლიდან 2016 წლის წლამდე თუნუქის გადახურვა, შავი ლაქები (ბიოდაზიანება), კარნიზის დამტვრეული ქვები.
- 2015 წელს დადგმულია ხარაჩო
- 2016 წელს მიმდინარეობს საკონსერვაციო სამუშაოები (კრამიტით გადახურვა, კარნიზის ქვების აღდგენა, შევსებები, ბიოციდით დამუშავება)
- 2016 წლის აგვისტოში ხარაჩო მოხსნილია და საკონსერვაციო სამუშაოები დასრულებულია
- 2016 წლის დეკემბერში ფიქსირდება ფასადის ქვის ფერის სახეცვლა/შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა)



2016 ჩარევის პროცესში



2016 აგვისტო ჩარევის შემდგომ






2016 დეკემბერი

დასავლეთი მკლავი, ექსტერიერი - ფიზიკური ისტორია

სამხრეთი და დასავლეთი მხარე, გადახურვა და ფასადი





- 2016 წლის დეკემბერში ფიქსირდება ფასადის ქვის ფერის სახეცვლა/შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა)



დასავლეთი მკლავი, ექსტერიერი - ფიზიკური ისტორია

დასავლეთი კედელი

- 2017 წლის მაისში სამხრეთ-დასავლეთი კუთხის კარნიზზე ქვისა და შეკეთების ფერის სახეცვლა/შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა) შეინიშნება.
- 2018 და 2019 წლის ფოტოებზე რაკურსიდან გამომდინარე დაზიანება ნათლად ვერ განირჩევა
- 2020 წლის 11 მარტს კი დაფიქსირდა დაზიანება, რომელიც უფრო დიდ მასშტაბზეა წარმოდგენილი ვიდრე ეს 2017 წლის მაისში იყო. დაზიანება მოიცავს შეკეთებისა და ქვის ფერის სახეცვლას/შემუქებას (სავარაუდო ტენის შემცველობასა და გამომარილებას).



დაზიანების გარჩევა 2018 წლის ფოტოზე რთულია



დაზიანების გარჩევა 2019 წლის ფოტოზე რთულია

ქვისა და შეკეთების ფერის სახეცვლა/შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა) და გამომარილება შესამჩნევია

დასავლეთი მკლავი, ექსტერიერი - ფიზიკური ისტორია

სამხრეთი კედელი

- 2017 წლის მაისში სამხრეთ კედელზე კვლავ შეიმჩნევა შეკეთებებისა და ქვის სახეცვლა/შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა).
- 2018 წლის ფოტოზე 2017 წელს შემჩნეული ტენის შემცველ ადგილებში მარილის თეთრი ნადები განირჩევა.
- 2019 წლის ფოტოებზე თეთრი მარილის ნადები აღარ განირჩევა, თუმცა ფიქსირდება შეკეთებებისა და ქვის სახეცვლა/შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა).
- 2020 წლის 11 მარტს გაზრდილია ტენის შემცველი არე და კვლავ შეინიშნება თეთრი მარილის ნადები.



2017-ში დაფიქსირებული შეკეთებებისა და ქვის სახეცვლა/შემუქების (სავარაუდო ტენის შემცველობა) ფორმა შეცვლილია, შეინიშნება გამომარილებაც

2018 წლის აგვისტოში შემჩნეული გამომარილება 2019 წელს აღარ ფიქსირდება, თუმცა ტენი შენარჩუნებულია.

ქვისა და შეკეთების ფერის სახეცვლა/შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა)/ტენის შემცველობის არე გაზრდილია, ასევესახეზეა გამომარილებაც.

დასავლეთი მკლავი, ექსტერიერი - ფიზიკური ისტორია

სამხრეთი კედელი

- 2020 წლის 11 მარტი - ქვისა და შეკეთებების ფერის სახეცვლა (ტენის შემცველობა), გამომარილება
- 2020 წლის 30 აპრილი - 2020 წლის 11 მარტისგან განსხვავებით მარილის ნადები მკვეთრად შემცირებულია
- 2020 წლის 22 მაისი - 30 აპრილთან შედარებით მარილის ნადების აღარ გვხვდება, გაზრდილია ტენის ლაქა
- 2020 წლის 16 ივნისი - 22 მაისთან შედარებით ტენის ლაქა შენარჩუნებულია.

2020 წლის 11 მარტი



2020 წლის 30 აპრილი



2020 წლის 22 მაისი



2020 წლის 17 ივნისი



სისველე კვლავ შესამჩნევია, თუმცა 30 აპრილს აღარ ფიქსირდება 11 მარტს შეკეთებაზე არსებული მარილის ნადები.



შეინიშნება მხოლოდ სისველე და მნიშვნელოვნად გაზრდილია ტენის შემცველი ლაქა.




შეინიშნება მხოლოდ სისველე.

დასავლეთი მკლავი, ექსტერიერი - მდგომარეობის შედარება


დასავლეთი კედელი

- 2020 წლის 11 მარტი - ქვისა და შეკეთებების ფერის სახეცვლა (ტენის შემცველობა), გამომარილება
- 2020 წლის 30 აპრილი - 2020 წლის 11 მარტისგან განსხვავებით მარილის ნადები მკვეთრად შემცირებულია
- 2020 წლის 22 მაისი - 30 აპრილთან შედარებით მარილის ნადების აღარ გვხვდება, გაზრდილია ტენის ლაქა
- 2020 წლის 16 ივნისი - 22 მაისთან შედარებით ტენის ლაქა შენარჩუნებულია.


2020 წლის 11 მარტი




2020 წლის 30 აპრილი



2020 წლის 22 მაისი



2020 წლის 17 ივნისი



11 მარტის მსგავსად სისველე კვლავ შესამჩნევია, თუმცა 30 აპრილს ფიქსირდება ნაკლები რაოდენობის მარილის ნადები, ვიდრე წინა მონიტორინგის დროს.



მარილის კრისტალები არ ფიქსირდება. შეინიშნება მხოლოდ სისველე.



კვლავ შეინიშნება მხოლოდ სისველე.

დასავლეთ მკლავი, ექსტერიერი - ფიზიკური ისტორია


ჩრდილოეთის მხარე, გადახურვა და ფასადი




2010 წელი



2012-13



2016 წელი



2017 წელი



2018 წელი



2019 წელი

- 2010 წლიდან 2015 წლის ჩათვლით თუნუქის გადახურვა.
- 2010-2015 დამტვრეული კარნიზები, შავი ლაქები
- 2016 წლის დეკემბერი - კრამიდით გადახურვა და ქვის საკონსერვაციო სამუშაოები დასრულებულია;
- 2016 წლის დეკემბერში შეინიშნება ფასადის ქვის ფერის სახეცვლა/შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა) (იხ. წითელი ჩარჩოები)
- 2017 წელს ხარაჩო კვლავ აღმართულია. ფასადის ქვის ფერის სახეცვლა/შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა) კვლავ შეიმჩნევა (იხ. წითელი ჩარჩოები)
- 2018-19 წლებში ფასადის ქვაზე სიმშრალე შეინიშნება

დასავლეთ მკლავი, ექსტერიერი - ფიზიკური ისტორია


ჩრდილოეთის კედელი

- 2020 წლის 11 მარტი - მდგომარეობა სტაბილურია
- 2020 წლის 30 აპრილი - მდგომარეობა სტაბილურია
- 2020 წლის 16 ივნისი - ლოკალურად შეინიშნება მცირედი გამომარჩილება (იხ. წილეთი ჩარჩოები).

11 მარტი 2020



30 აპრილი 2020





16-19 ივნისი 2020



11 მარტი 2020



30 აპრილი 2020



16-19 ივნისი 2020



მდგომარეობა სტაბილურია


შეინიშნება გამომარჩილება

დასავლეთი მკლავი, გადახურვა - მდგომარეობის აღწერა

სამხრეთი მკლავის გადახურვის ჩრდილოეთი და სამხრეთი ფერდები

2020 წლის 17 ივნისის მდგომარეობა:

კრამიტის გადახურვასა და შეპირაპირების ადგილებზე, დრონით გადაღებულ ფოტოებზე, განათებისა და ფოტოგადაღების მანძილის გათვალისწინებით, თვალისათვის ხილული დაზიანებები ვერ დაფიქსირდა.





დასავლეთი მკლავი - ინტერიერისა და ექსტერიერის მდგომარეობის შედარება

ვასადის მხრიდან
არსებული დაზიანების
ლოკაცია ინტერიერში
არსებულ დაზიანების
არეებს ემთხვევა

დასავლეთი მკლავის
დასავლეთი კედელი

2020 წლის 30 აპრილის ფოტოზე წითელ ჩარჩოში ქვის გამუქებული ზედაპირი შენარჩუნებულია. სიმუქე გამოწვეულია ტენის დიდი რაოდენობით. კედლის სისველე სარკისებურად აისახება ინტერიერშიც.

2020 წლის 17-19 ივნისის ფოტოებზე ქვის გამუქებული ლაქა გაზრდილია (ლურჯი ისარი). ინტერიერში ლურჯი ისრით მითითებულ ადგილას სისველის ზუსტი გავრცელების დადგენა გართულებულია, ვინაიდან ხარჩოს პლადფორმები ხელს უშლის ზოგადი სურათის ხილვადობას.



დასავლეთი მკლავი, ინტერიერი - მდგომარეობის აღწერა

კამარის სამხრეთი მხარე, მარცხენა სცენა

დაზიანების ტიპი:

1. შეღესილობის, ფერის და შეკეთების დანაკარგი.
2. გამომარილება (მყარი კრისტალური ნადები და ნაფიფქი). გვხვდება ფერწერულ და ნალესობის ფენაზე, ასევე შეკეთებებზე.
3. ნალესობისა და ფერის ფენის ადჰიზიური და კოჰიზიური კავშირის დარღვევა

2020 წლის 18 ივნისის მდგომარეობით დაზიანების აქტივიზაცია: ფიქსირდება

დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დასავლეთ მკლავის ანგარიში.

2017-18 წლის მდგომარეობა 2020 წელს მკვეთრად გაუარესებულია. ვიზუალური დაკვირვებით თვალთ ხილული ძლიერი განსხვავება შეინიშნება.



დასავლეთი მკლავი, ინტერიერი - მდგომარეობის აღწერა

კამარის სამხრეთი მხარე, მარჯვენა სვენი


დაზიანების ტიპი:

1. შელესილობის, ფერის და შეკეთების დანაკარგი.
2. გამომარილება (მყარი კრისტალური ნადები და ნაფიფქი). გვხვდება ფერწერულ და ნალესობის ფენაზე, ასევე შეკეთებებზე.
3. ნალესობისა და ფერის ფენის ადჰიზიური და კოჰიზიური კავშირის დარღვევა

2020 წლის 18 ივნისის მდგომარეობით დაზიანების აქტივიზაცია: ფიქსირდება

დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დასავლეთ მკლავის ანგარიში.

2017-18 წელს მდგომარეობა 2020 წელს მკვეთრად გაუარესებულია. ვიზუალური დაკვირვებით თვალისათვის ხილული ძლიერი განსხვავება შეინიშნება.



S8 TEST_DSC_0115 - Copy_c_RGB



22 მაისი 2020

დასავლეთი მკლავი, ინტერიერი - ფიზიკური ისტორია

კამარის ცენტრალური ნაწილი

დაზიანების ტიპი: 1. გამომარილება


(მყარი კრისტალური ნადები). გვხვდება ფერწერულ და ნალესობის ფენაზე, ასევე შეკეთებებზე. 2. ნალესობისა და ფერის ფენის ადჰიზიური და კოჰიზიური კავშირის დარღვევა და მათი დანაკარგი

2020 წლის 18 ივნისის მდგომარეობით დაზიანების

აქტივიზაცია: ფიქსირდება

ყოველდღიურია მარილის კრისტალების ცვენის პროცესი (წყარო: მონასტერის პერსონალი)

გეგმა



2017-18 წლის მიჯნა



ჭერის გეგმა 14_DSC_0232_c_RGB

22 მაისი 2020



18 ივნისი 2020



ფოტოზე ნათლად ჩანს მარილის კრისტალების განაწილება და მათ მიერ გამოწვეული ორიგინალისა და შეკეთებების მასალის დაზიანებები.




დასავლეთი მკლავი - ინტერიერისა და ექსტერიერის მდგომარეობის შედარება

დასავლეთი კედელი

2020 წლის 30 აპრილის ფოტოზე წითელ ჩარჩოში ქვის გამუქებული ზედაპირი შენარჩუნებულია. სიმუქე გამოწვეულია ტენის დიდი რაოდენობით. კედლის სისველე სარკისებურად აისახება ინტერიერშიც.

2020 წლის 17-19 ივნისის ფოტოებზე ქვის გამუქებული ლაქა გაზრდილია. ინტერიერშიც ფიქსირდება სველი მხატვრობის გაზრდილი მოცულობა.

დასავლეთი მკლავის დასავლეთი კედლის ფასადზე აღინიშნება ქვის სველი მონაკვეთი, რომელიც 17 ივნისის მონაცემებით, მნიშვნელოვნად გაზრდილია.



ინტერიერში კედლის მხატვრობის დასველების პროცესი კვლავ მიმდინარეობს. 30 აპრილის მერე მნიშვნელოვნად მოატებულია ნესტის დაფარვის არე, რაც ნათლად აისახა 19 ივნისის ფოტოზე.

დასავლეთი მკლავი - ინტერიერისა და ექსტერიერის მდგომარეობის შედარება

დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელი:
დაზიანების ტიპი:


ფასადი

ქვა და შეკეთებები: 1. ფერის სახეცვლა/შემუქება
(ტენის შემხველობა) 2. შავი ლაქები
(ბიოაქტივობა) 3. გამომარილება

დაზიანების ლოკაცია:

კარნიზი, კედლის სიბრტყეები

ექსტერიერში დაფიქსირებული დაზიანება
ინტერიერის კედლის მხატვრობაზე დისტანციური
დაკვრვებით ჯერ-ჯერობით არ ასახულა.
ჩრდილოეთი კედლის მხატვრობის დაზიანებები
ისტორიულია.



ინტერიერი: გამომარილება

დასავლეთი მკლავი, გადახურვა - მდგომარეობის აღწერა

კამარის ჩრდილოეთი მხარე, მარჯვენა სცენა

დაზიანების ტიპი: 1. გამომარილება (მყარი კრისტალური ნადები). გვხვდება ქვაზე, ფერწერულ და ნალესობის ფენაზე და შეკეთებებზე. 2. შეკეთების ფერის სახეცვლა/შემუქება (ტენის შემცველობა)

2020 წლის 18 ივნისის მდგომარეობით დაზიანების აქტივიზაცია: არ ფიქსირდება

ვიზუალური დაკვირვებით 2017 წლის დეკემბრის, 2020 წლის 22 მაისისა და 18 ივნისის მდგომარეობით თვალით ხილული განსხვავება არ შეინიშნება



ჩრდ. ჭრილი



განსხვავება არ შეინიშნება

განსხვავება არ შეინიშნება

დასავლეთი მკლავი, ინტერიერი - ფიზიკური ისტორია

კამარის ჩრდილოეთი მხარე, მარცხენა სვენი

2020 წლის 18 ივნისის მდგომარეობით
დაზიანების აქტივიზაცია: არ ფიქსირდება




ვიზუალური დაკვირვებით 2017 წლის დეკემბრის, 2020 წლის 22 მაისისა და 18 ივნისის მდგომარეობით თვალთ ხილული განსხვავება არ შეინიშნება




განსხვავება არ შეინიშნება

აფრები

ვიზუალური დაკვირვებით 2017 წლის დეკემბრის, 2020 წლის 22 მაისისა და 18 ივნისის მდგომარეობით თვალის
ხილული განსხვავება არ შეინიშნება




გეგმა



2017-18 წლის მიჯნა

აფრა 7_DSC_0744 - Copy_c_RGB



22 მაისი 2020

სამხრეთ-დასავლეთი აფრა - ინტერიერისა და ექსტერიერის მდგომარეობის შედარება

ფასადის დაზიანების ტიპი:

შეპირაპირების ადგილას გამოყენებული ხსნარი დაზარულია. (იხ. დასავლეთ მკლავის ნაწილი)

კრამიტი: შეეთეთრება (მარილი ან დანაკარგი)

(იხ ყვითელი ჩარჩო)

დაზიანების ლოკაცია:

სამხრეთ-დასავლეთი ტრომპის კედელსა და

კრამიტის გადაბმის ადგილებში .



კრამიტი დასავლეთი მხარე ფარდა.

დასავლეთი მკლავის ფოტო. სამხრეთ-დასავლეთი ტრომპის კედელსა და კრამიტის გადაბმის ადგილებში ხსნარზე გამოვლენილი ბზარები წითელ მოჩარჩოებაშია მოქცეული.

ინტერიერი:


აქტიური დაზიანება არ ვლინდება

სამხრეთ-დასავლეთი ტრომპის ინტერიერში არსებული აფრის კედლის მხატვრობის აქტიური დაზიანება აფრასა და დასავლეთ მკლავის სამხრეთი კედლის კიდეში ფიქსირდება (იხ წითელი ჩარჩო). სამხრეთი მკლავის კედლის მხატვრობაზე გამომარჩილების კრისტალიზაციის ხარისხის მიხედვით დაზიანება არახალია (იხ. ლურჯი ჩარჩო).




სამხრეთ-დასავლეთი აფრა, ინტერიერი - ფიზიკური ისტორია

ვიზუალური დაკვირვებით 2017 წლის დეკემბრის, 2020 წლის 22 მაისისა და 18 ივნისის მდგომარეობით თვალით ხილული განსხვავება არ შეინიშნება



გეგმა

2017-18 წლის მიჯნა



22 მაისი 2020



სამხრეთ-აღმოსავლეთი აფრა - ინტერიერისა და ექსტერიერის მდგომარეობის შედარება

ფასადის დაზიანების ტიპი:

ქვა და შეკეთებები: 1. ფერის სახეცვლა/შემუქება (ტენის შემხველობა) (იხ წითელი ისარი)

დაზიანების ლოკაცია:

კარნიზი

გადახურვა:

შეპირაპირების ადგილას გამოყენებული ხსნარი დაზარულია. (იხ. აღმოსავლეთი მკლავის ნაწილი)

კრამიტი:

დაფიქსირებულია მხოლოდ ერთი კუთხის კრამიტის დანაკარგი (იხ ყვითელი ჩარჩო).

კრამიტებს შორის შევსებებზე დაზიანების გარჩევა დისტანციიდან რთულია, მით უფრო რომ შევსებები საკმაოდ უხესად არის შესრულებული.

ინტერიერი:



აქტიური დაზიანება არ ვლინდება



ვიზუალური დაკვირვებით 2017 წლის დეკემბრის, 2020 წლის 22 მაისისა და 18 ივნისის მდგომარეობით თვალით ხილული განსხვავება არ შეინიშნება

ჩრდილო-აღმოსავლეთი აფრა, ინტერიერი - ფიზიკური ისტორია

ვიზუალური დაკვირვებით 2017 წლის დეკემბრის, 2020 წლის 22 მაისისა და 18 ივნისის მდგომარეობით თვალით ხილული განსხვავება არ შეინიშნება



ჩრდილო-აღმოსავლეთი აფრა - ინტერიერისა და ექსტერიერის მდგომარეობის შედარება

დაზიანების ტიპი:
ფასადი:

შეპირაპირების ადგილას გამოყენებული ხსნარი დაზიანებულია. (იხ. აღმოსავლეთი მკლავის ნაწილი)

კრამიტი:
კრამიტებს შორის შევსებებზე დაზიანების გარჩევა დისტანციიდან რთულია, მით უფრო რომ შევსებები საკმაოდ უხეშად არის შესრულებული.

ინტერიერი:
აქტიური დაზიანება არ ვლინდება




ვიზუალური დაკვირვებით 2017 წლის დეკემბრის, 2020 წლის 22 მაისისა და 18 ივნისის მდგომარეობით ინტერიერში თვალით ხილული განსხვავება არ შეინიშნება

ჩრდილო-დასავლეთი აფრა, ინტერიერი - ფიზიკური ისტორია

დაზიანების ტიპი: 1. განშრევა (ნალესობის ფენასა და საფუძვლის ფენას შორის კავშირის დაკარგვა)
2. ნალესობის დანაკარგი

2020 წლის 18 ივნისის მდგომარეობით დაზიანების აქტივიზაცია: არ ფიქსირდება



გეგმა



2017-18 წლის მიჯნა



22 მაისი 2020



18 ივნისი 2020

აფრა 4(2)_DSC_0741_c_RGB

ფოტოდეფექტი

ნალესობის განშრევა და დანაკარგი

ვიზუალური დაკვირვებით თვალით ხილული ძლიერი განსხვავება შეინიშნება 2017 წლისა და 2020 წლის 22 მაისის მდგომარეობას შორის, თუმცა 22 მაისიდან 18 ივნისამდე არაფერი შეცვლილა.



18 ივნისი 2020

ჩრდილო-დასავლეთი აფრა - ინტერიერისა და ექსტერიერის მდგომარეობის შედარება

დაზიანების ტიპი:

ფასადი

ქვა და შეკეთებები: 1. გამომარილება (იხ წითელი ისარი)

დაზიანების ლოკაცია:

ტრომპის კედლებზე


გადახურვა:

კრამიტისა და გადაბმის ადგილებზე დაზიანებები ვიზუალურად ნათლად არ განირჩევა.

დაფიქსირებულია მხოლოდ ერთი კუთხის კრამიტის დანაკარგი (იხ ყვითელი ჩარჩო).

შეპირაპირების ადგილას გამოყენებული ხსნარი დაზარულია. (იხ. ჩრდილოეთი მკლავის ნაწილი)

კრამიტებს შორის შევსებებზე დაზიანების გარჩევა დისტანციიდან რთულია, მით უფრო რომ შევსებები საკმაოდ უხეშად არის შესრულებული.



ვიზუალური დაკვირვებით 2017 წლის დეკემბრისა და 2020 წლის 22 მაისის მდგომარეობით ინტერიერში თვალით ხილული განსხვავება შეინიშნება. დაკარგულია შელესილობის ფენა, ვხვდებით განშრევენასაც.

დამატებითი მასალა

ღვთისმშობლის ტაძრის მთავარი სივრცის ზედა რეგისტრების სცენების კედლის მხატვრობა, რომლის ვიზუალურმა დაკვირვებამ და ფოტოდოკუმენტაციის შედარებითმა ანალიზმა თვალით ხილული განსხვავება ვერ დააფიქსირა

აღმოსავლეთი მკლავი, ინტერიერი - ფიზიკური ისტორია

ბემა

ვიზუალური დაკვირვებით 2015 წლის, 2020 წლის 22 მაისისა და 18 ივნისის მდგომარეობით თვალთ ხილული განსხვავება არ შეინიშნება



2015



22 მაისი 2020



16-19 ივნისი 2020



წყარო: უნისკოს და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

აღმოსავლეთი მკლავი, ინტერიერი - ფიზიკური ისტორია

ბემა, ჩრდილოეთ კედელი

ვიზუალური დაკვირვებით თვალით ხილული განსხვავება არ შეინიშნება



2017-18 წლის მიჯნა



22 მაისი 2020



16-19 ივნისი 2020




აღმოსავლეთი მკლავი, ინტერიერი - ფიზიკური ისტორია

ბემა, სამხრეთი კედელი

ვიზუალური დაკვირვებით თვალით ხილული განსხვავება არ შეინიშნება



2017-18 წლის მიჯნა



22 მაისი 2020




16-19 ივნისი 2020



ჩრდილოეთ მკლავი, ინტერიერი - ფიზიკური ისტორია

აღმოსავლეთი კედელი
ჯვარცმა

ვიზუალური დაკვირვებით თვალით ხილული განსხვავება არ შეინიშნება



აღმ. ჭრილი

E7_DSC_0667_c_RGB
2017-18 წლის მიჯნა



22 მაისი 2020



18 ივნისი 2020



ჩრდილოეთ მკლავი, ინტერიერი - ფიზიკური ისტორია

აღმოსავლეთი კედელი
მეორე რეგისტრი

ვიზუალური დაკვირვებით თვალით ხილული განსხვავება არ შეინიშნება




აღმ. ქრილი

ჩრდილოეთ მკლავი, ინტერიერი - ფიზიკური ისტორია

აღმოსავლეთი კედელი
მეორე რეგისტრი

ვიზუალური დაკვირვებით თვალით ხილული განსხვავება არ შეინიშნება



აღმ. ქრილი

22 მაისი 2020



17 ივნისი 2020



ჩრდილოეთ მკლავი, ინტერიერი - ფიზიკური ისტორია

აღმოსავლეთი კედელი
მეორე რეგისტრი

17 ივნისი 2020



17 ივნისი 2020




17 ივნისი 2020



დაზიანების ტიპი:
ნალესობის დანაკარგი/
ფერის სახეცვლა

2020 წლის 17 ივნისის
მდგომარეობით
დაზიანების აქტივიზაცია:
(არ ფიქსირდება)



17 ივნისი 2020



ვიზუალური დაკვირვებით 22 მაისისა და 18 ივნისის მდგომარეობით თვალთ
ხილული განსხვავება არ შეინიშნება

სამხრეთი მკლავი, ინტერიერი - ფიზიკური ისტორია

აღმოსავლეთი კედელი

ვიზუალური დაკვირვებით თვალთ ხილული განსხვავება არ შეინიშნება



აღმ. კრილი

2017-18 წლის მიჯნა



E6_DSC_0267_c_RGB

22 მაისი 2020



18 ივნისი 2020



სამხრეთი მკლავი, ინტერიერი - ფიზიკური ისტორია

აღმოსავლეთი კედელი

ვიზუალური დაკვირვებით თვალით ხილული განსხვავება არ შეინიშნება



აღმ. ქრილი



E8_DSC_0279_c_RGB



სამხრეთი მკლავი, ინტერიერი - ფიზიკური ისტორია

აღმოსავლეთი კედელი

ვიზუალური დაკვირვებით 2017 წლის დეკემბრის, 2020 წლის 22 მაისისა და 18 ივნისის მდგომარეობით თვალით ხილული განსხვავება არ შეინიშნება



2017-18 წლის მიჯნა



E15_DSC_0226_c_RGB


22 მაისი 2020



აღ. ქრილი

სამხრეთი მკლავი, ინტერიერი - ფიზიკური ისტორია

დასავლეთი კედელი




დას. ჭრილი


ვიზუალური დაკვირვებით 2017 წლის დეკემბრის, 2020 წლის 22 მაისისა და 18 ივნისის მდგომარეობით თვალით ხილული განსხვავება არ შეინიშნება



ჭერის
ბეგმა
1_DSC_00
41_c_RGB



ვიზუალური დაკვირვებით 2017 წლის დეკემბრის, 2020 წლის 22 მაისისა და 18 ივნისის მდგომარეობით თვალით ხილული განსხვავება არ შეინიშნება




გეგმა


ვიზუალური დაკვირვებით 2017 წლის დეკემბრის, 2020 წლის 22 მაისისა და 18 ივნისის მდგომარეობით თვალით ხილული განსხვავება არ შეინიშნება



ვიზუალური დაკვირვებით 2017 წლის დეკემბრის, 2020 წლის 22 მაისისა და 18 ივნისის მდგომარეობით თვალით ხილული განსხვავება არ შეინიშნება



ვიზუალური დაკვირვებით 2017 წლის დეკემბრის, 2020 წლის 22 მაისისა და 18 ივნისის მდგომარეობით თვალით ხილული განსხვავება არ შეინიშნება





16-19 ივნისის მისიის
ანგარიში

ანგარიში N2

გელათის ღვთისმშობლის
შობის სახელობის ტაძარი

დასავლეთ მკლავის
მხატვრობის
მდგომარეობის
მონიტორინგი და
მარილების ნაწილობრივი
მოხსნა

საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY FOR
CULTURAL HERITAGE
PRESERVATION OF GEORGIA

1. N2 ანგარიში - მიზანი - გვ. 3
2. N2 ანგარიში - წინაპირობა - გვ. 4
3. მონიტორინგის მეთოდოლოგია - გვ. 5
4. კედლის მხატვრობის ფრაგმენტების ცვენა - ორიგინალი ტექნოლოგიის დანაკარგი - გვ. 6
5. ფასადისა და გადახურვის მდგომარეობის აღწერა - გვ. 7
6. ინტერიერისა და ექსტერიერის მდგომარეობის შედარება - გვ. 8
7. კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგი - გვ. 12
8. გადაუდებელი საკონსერვაციო პირდაპირი ჩარევა: მხატვრობის ზედაპირიდან მარილის ნაწილობრივი მოხსნა - გვ. 17
9. მარილის იონებისა და pH-ის ანალიზი - გვ. 20
10. კედლის მხატვრობის დაზიანების გამომწვევი მიზეზები და აქტივიზაციის მექანიზმი - გვ. 22
11. შეჯამება და რეკომენდაციები - გვ. 23
12. დამატებითი მასალა - გვ. 24

ვიზიტი

2020 წლის 16-19 ივნისის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სამუშაო ჯგუფის მივლინების ერთ-ერთი მთავარი მიზანი გელათის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის დასავლეთ მკლავში არსებული კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგი, გადაუდებელი პირდაპირ ჩარევა (მარილების მექანიკურად მოხსნა) და მარილების იონების ტესტირება იყო.

აღნიშნული სამუშაოები განხორციელდა შემდეგი სპეციალისტების მიერ:

მარიამ საღარაძე - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, მეგლთა რეაბილიტაციის სამსახური (კედლის მხატვრობის კონსერვაციის სპეციალისტი)

გვანცა (ტასო) ფოცხიშვილი - კედლის მხატვრობის კონსერვაციის მოწვეული სპეციალისტი.

ანგარიშის მიზანია

- დასავლეთ მკლავის კამარის სამხრეთი ნაწილის კედლის მხატვრობისა და ფასადის მდგომარეობის მონიტორინგი, რომლის მიზანია დაზიანების აქტივიზაციის ხარისხისა და მახასიათებლების განსაზღვრა. კერძოდ, მარილის კრისტალიზაციის პროცესსა და მის მიერ გამოწვეული მხატვრობის ფენის ცვენის ხარისხზე დაკვირვება და შედეგების წარმოდგენა.
- სამონიტორინგო კედლის მხატვრობის არეებში ახლადგამოკრისტალეებული მარილის მექანიკური მოხსნის რეპორტირება.
- ზედაპირზე გამოკრისტალეებული მარილის იონების ხარისხობრივი ანალიზის მეთოდოლოგიისა და შედეგების წარდგენა.

წინაპირობა

2020 წლის 11 მარტი

11 მარტს ხარაჩოს მეშვეობით დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედლის მხატვრობის ვიზუალური დაკვირვება მოხდა. ემპირიულ დაკვირვებაზე დაყრდნობით კედლის მხატვრობის მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო. გამოვლინდა დაზიანებათა მრავალი სახე. დაკვირვების დროს დაზიანებათა კატეგორიზაცია სტრატეგრაფიისა და სახეობების მიხედვით მოხდა.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 11 მარტს, კედლის მხატვრობის ფენები სველი იყო. ინდენტიფიკაციის მიზნით შეირჩა ადგილები, რათა დადგენილიყო კედლის მხატვრობაზე ტენის შემცველობა. სველი ზედაპირი არამხოლოდ ხელის შეხებით განირჩეოდა, არამედ ორიგინალი ტექნოლოგიისა და მოგვიანო დანამატების ფერის ცვლილებით. განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ნალესობის ფენაში არსებული მაღალი ტენიანობა, რომელიც ასევე გამოიხატა თეთრი ორიგინალი ტექნოლოგიის სიყვითლეში გარდასვლით. წინა სარესტავრაციო ჩარევისას გაკეთებული ქიმებისა და შევსებების ფერი სისველისგან მნიშვნელოვნად გამოუქებულია.

დამაზიანებელი ფაქტორების განსაზღვრის მიზნით ამავე თარიღში დასავლეთი მკლავის დასავლეთი და სამხრეთი კედლების ფასადების მონიტორინგი დაიწყო. ფასადებზე გამოვლენილი დაზიანება (ტენის ლაქები, გამომაროლება) სარკისებურად აღიბეჭდა ინტერიერში.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ 2020 წლის 11 მარტის ანგარიშში.

2020 წლის 30 აპრილი

2020 წლის 30 აპრილს კედლის მხატვრობის ვიზუალურმა შესწავლამ გამოავლინა ახალი დაკვირვებები და მდგომარეობის სახეცვლის ტიპები/ხარისხი.

აღსანიშნავია, რომ კედლის ნალესობის ფენა 11 მარტთან შედარებით 30 აპრილს უფრო მშრალი იყო, რასაც მარილები გამოკრისტალეზაც ადასტურებს. საყურადღებოა, რომ ფასადზეც გამომაროლება აღარ შეიმჩნევა, რაც შესაძლოა მიუთითებდეს იმაზე, რომ მარილის კრისტალები ჩამოცვივდა ან წყალში გაიხსნა.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ 2020 წლის 30 აპრილის ანგარიშში.

2020 წლის 22 მაისი (არა სამონიტორინგე თარიღი)

2020 წლის 22 მაისს კედლის მხატვრობის ვიზუალურმა დაკვირვებამ ანახა, რომ მხატვრობის სტრატეგრაფიული ფენები კვლავ სველი იყო. სამონიტორინგე არეებში არ შეიმჩნეოდა მარილის ზედაპირზე დიდი რაოდენობით გამოკრისტალეზის პროცესი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ დაზიანების წყარო ჯერაც არ არის აღმოფხვრილი, ამას ფასადზე არსებული მდგომარეობაც მოწმობს, სადაც მხოლოდ სისველე შეინიშნება.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ მოცემულ ანგარიშში.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგი მიზნად ისახავს დაზიანების აქტივიზაციის ხარისხისა და მახასიათებლების განსაზღვრას. კერძოდ, მარილის კრისტალიზაციის პროცესსა და მის მიერ გამოწვეული ფერწერული ფენის ცვენის ხარისხზე დაკვირვებას. მონიტორინგის გასახორციელებლად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განსაზღვრა სამონიტორინგე სტრატეგია, რომელიც მოიცავს რეგულარულ ვიზიტებსა და საკვლევი მონაკვეთების გრაფიკულ და ტექსტუალურ დოკუმენტირებას.

კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგის მიზნით:

1. დასავლეთ მკლავის სამხრეთ კედლის ზედა რეგისტრის კედლის მხატვრობის ფრაგმენტები შეირჩა.

2. განისაზღვრა შერჩეული მონაკვეთების რეგულარული ფოტოფიქსაციის პროტოკოლი:

კამერის მონაცემები: Shutter speed 1/100; F stop 8; ISO 100; Flash light: ¼ დიფუზორით (შესაძლოა შეიცვალოს დისტანციის მიხედვით)

სურათი: იმეორებდეს თავდაპირველი ფოტოს მოჩარჩოებას. ფოტო გადაღებული იყოს ფიქსირებული პირდაპირი და გვერდითი განათებით/ მიმართულებით.

3. ფოტოფიქსაციის შორის ინტერვალად განისაზღვრა მაქსიმუმ 50 დღე (თვენახვერიდან 50 დღემდე).

პირველი გადაღება: 11.03.2020

მეორე გადაღება: 30.04.2020

მესამე გადაღება: 19.06.2020

მეოთხე გადაღება: 08.08.2020 (ჯერ არ განხორციელებულა)

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 22 მაისს განხორციელდა კედლის მხატვრობის მდგომარეობის არაგეგმიური შეფასება და მისი დოკუმენტირება.

კედლის მხატვრობის ფრაგმენტების ცვენა - ორიგინალი ტექნოლოგიის დანაკარგი

2020 წლის 16-19 ივნისის მდგომარეობა - ფრაგმენტების დანაკარგი

მთავარი ტაძრის დასავლეთ მკლავში აგებული ხარაჩოს პლადფორმებზე დაფიქსირდა დიდი რაოდენობის ორიგინალი მხატვრობის მქონე შელესილობის ჩამოცვენილი ფრაგმენტები. აღნიშნული ფრაგმენტების ჩამოცვენა მოხდა 2020 წლის 22 მაისსა და 17 ივნისს შორის დასავლეთი მკლავის კამარის სამხრეთი კედლიდან (მარცხენა სცენა, ზედა რეგისტრი). გარდა ფრაგმენტებისა, პლადფორმაზე დიდ რაოდენობის მარილის კრისტალებია ჩამოცვენილი.

აღნიშნული ფრაგმენტები შეინახა და შეიფუთა.



ფასადისა და გადახურვის მდგომარეობის აღწერა

დაზიანების წყაროს დადგენის მიზნით 16-19 ივნისის მისიის დროს დრონის საშუალებით განხორციელდა გადახურვის ფოტოდოკუმენტაცია. ფოტომასალაზე დაკვირვების საფუძველზე გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- კრამიტის გადახურვაზე დისტანციური დაკვირვებით თვალთ ხილული დაზიანება ვერ დაფიქსირდა
- სამხრეთ დასავლეთი ტრომპთან კრამიტისა და კედლის შეპირაპირების ადგილზე ხსნარის შევსება დაბზარულია (იხ ფოტო)

დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი:
დაზიანების ტიპი:

ფასადი

ქვა და შეკეთებები: 1. ფერის სახეცვლა/შემუქება (ტენის შემხველობა) 2. გამომარილება

დაზიანების ლოკაცია:

კარნიზი, კედლის სიბრტყეები

დასავლეთი მკლავის ფოტო. სამხრეთ-დასავლეთი ტრომპის კედლისა და სამხრეთი მკლავის კრამიტის შეპირაპირების/გადაბმის ადგილას ხსნარის შევსებაზე გამოვლინდა ბზარები, იხ წითელი ჩარჩო.





ინტერიერისა და ექსტერიერის მდგომარეობის შედარება

დასავლეთი მკლავის
სამხრეთი კედელი

2020 წლის 30 აპრილის ფოტოზე წითელ ჩარჩოში ქვის გამუქებული ზედაპირი შენარჩუნებულია. სიმუქე გამოწვეულია ტენის დიდ რაოდენობით. კედლის სისველე სარკისებურად აისახება ინტერიერშიც.

2020 წლის 17-19 ივნისის ფოტოებზე ქვის გამუქებული ლაქა გაზრდილია (ლურჯი ისარი). ინტერიერში ლურჯი ისრით მითითებულ ადგილას სისველის ზუსტი გავრცელების დადგენა გართულებულია, ვინაიდან ხარჩოს პლადფორმები ხელს უშლის ზოგადი სურათის ხილვადობას.




ინტერიერისა და ექსტერიერის მდგომარეობის შედარება

დასავლეთი მკლავის
დასავლეთი კედელი

ინტერიერში ტენის
შემცველობისა და
დისტრიბუციის
განსასაზღვრად
გამოყენებულ იქნა
ინფრაწითელი
თერმოგრაფია, რომლის
მეშვეობითაც მოხდა
ტემპერატურული
სხვაობების დაფიქსირება.


ექტერიერში
დაფიქსირებული ტენი,
ინტერიერის მხრიდან
შემდეგნაირად ხასიათდება
(იხ წითელ ჩარჩოებში
მოცემული ფოტოები).
კედლის სტრუქტურაში
ფიქსირდება 25-დან 27
ცელსიუს გრადუსამდე
ტემპერატურა. ლურჯ ფერში
მოცემული არეები 25 გრადუს
ცელსიუსს ესაბამება, სადაც
ვიზუალურადაც განირჩევა
სისველე.

2020 წლის 17 ივნისი



აღსანიშნავია, რომ ინფრაწითელი თერმოგრაფის აპარატის
ტექნიკური მონაცემების მიხედვით, მისი სიზუსტე +/- 2°C,
შესაბამისად, აღნიშნული მონაცემების სანდოობა დაბალია.

ინფრაწითელი თერმოგრაფიით
დაფიქსირებული ტემპერატურული სხვაობა
მერყეობს 25-27°C შორის. ყველაზე ცივ
არეებად (ლურჯ ფრად) სამხრეთი და
დასავლეთი კედლების კუთხის
ფრაგმენტებია დაფიქსირებული.





ინტერიერისა და ექსტერიერის მდგომარეობის შედარება

დასავლეთი კედელი

2020 წლის 30 აპრილის ფოტოზე წითელ ჩარჩოში ქვის გამუქებული ზედაპირი შენარჩუნებულია. სიმუქე გამოწვეულია ტენის დიდი რაოდენობით. კედლის სისველე სარკისებურად აისახება ინტერიერშიც.

2020 წლის 17-19 ივნისის ფოტოებზე ქვის გამუქებული ლაქა გაზრდილია. ინტერიერშიც ფიქსირდება სველი მხატვრობის გაზრდილი მოცულობა.

დასავლეთი მკლავის დასავლეთი კედლის ვასაღზე აღინიშნება ქვის სველი მონაკვეთი, რომელიც 17 ივნისის მონაცემებით, მნიშვნელოვნად გაზრდილია.



ინტერიერში კედლის მხატვრობის დასველების პროცესი კვლავ მიმდინარეობს. 30 აპრილის მერე მნიშვნელოვნად მოატებულია ნესტრის დაფარვის არე, რაც ნათლად აისახა 19 ივნისის ფოტოზე.


ინტერიერისა და ექსტერიერის მდგომარეობის შედარება

დასავლეთი კედელი

ინტერიერში ტენის შემცველობისა და დისტრიბუციის განსასაზღვრად გამოყენებულ იქნა ინფრაწითელი თერმოგრაფია, რომლის მეშვეობითაც მოხდა ტემპერატურული სხვაობების დაფიქსირება.


ექტერიერში დაფიქსირებული ტენი, ინტერიერის მხრიდან შემდეგნაირად ხასიათდება (იხ წითელ ჩარჩოებში მოცემული ფოტოები). კედლის სტრუქტურაში ფიქსირდება 25-დან 27 ცელსიუს გრადუსამდე ტემპერატურა. ლურჯ ფერში მოცემული არეები 25 გრადუს ცელსიუსს ესაბამება, სადაც ვიზუალურადაც განირჩევა სისველე.

აღსანიშნავია, რომ ინფრაწითელი თერმოგრაფის აპარატის ტექნიკური მონაცემების მიხედვით, მისი სიზუსტე +/- 2°C შესაბამისად, აღნიშნული მონაცემების სანდოობა დაბალია.



დასავლეთი მკლავის დასავლეთი კედლის ფასადზე აღინიშნება ქვის სველი მონაკვეთი, რომელიც 17 ივნისის მონაცემებით, მნიშვნელოვნად გაზრდილია.

ინფრაწითელი თერმოგრაფიით დაფიქსირებული ტემპერატურული სხვაობა მერყეობს 25-27°C შორის. ყველაზე ცივ არეებად (ლურჯ ფრად) სამხრეთი და დასავლეთი კედლების კუთხის ფრაგმენტებია დაფიქსირებული.



კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგი

ფერის ფენის დაზიანების გავრცელებული ტიპებია დანაკარი, კოჭიზიური და ადჭიზიური კავშირის დარღვევა.

ფერის ფენის აქერცვლა, გაფხვიერება შემდგომ დანაკარგი აქტიურად მიდის. 2020 წლის 11 მარტისა და 30 აპრილის მდგომარეობის შედარებისას ფერწერული ფენის მნიშვნელოვანი დანაკარგი აღინიშნა. 2020 წლის 19 ივნისის მდგომარეობით გაუარესება არ შეინიშნება.



2020 წლის 11 მარტის მდგომარეობა



2020 წლის 30 აპრილის მდგომარეობა



2020 წლის 19 ივნისის მდგომარეობა



შეინიშნება ფერწერული ფენის დანაკარგი



გაუარესება არ შეინიშნება

კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგი

ფერის ფენის დაზიანების გავრცელებული ტიპებია დანაკარი, კოჭიური და ადჭიური კავშირის დარღვევა.

ფერის ფენის აქერცვლა, გაფხვიერება შემდგომ დანაკარგი აქტიურად მიდის. 2020 წლის 11 მარტისა და 30 აპრლის მდგომარეობის შედარებისას ფერწერული ფენის მნიშვნელოვანი დანაკარგი აღინიშნა.

ძირითადად ფერის დაზიანება მარლის კრისტალიზაციის მუდმივი ციკლითაა გამოწვეული.

ამ კუთხით, 30 აპრის დაფიქსირებული გამომარელება 19 ივნისს აღარ შეინიშნება, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს:

1. მარლის კრისტალების ცვენასთან
2. კედლის სტრუქტურის დასველებასთან და მარლის იონებად დაშლასთან.



30 აპრლის ფოტოზე ფიქსირდება გამომარელება, რომელიც 19 ივნისის ფოტოზე ნაკლებ შესამჩნევია

კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგი

ფერის ფენის დაზიანების გავრცელებული ტიპებია დანაკარი, კოჭიზიური და ადჭიზიური კავშირის დარღვევა.

ფერის ფენის დანაკარგი სამონიტორინგე ადგილას არ შეინიშნება

თუმცა 30 აპრილს დაფიქსირებული გამომარილება 17 ვნისის ფოტოზე აღარ შეიმჩნევა.

გამომარილებასთან დაკავშირებული ცვლილება შესაძლოა დაკავშირებული იყოს:

1. მარლის კრისტალების ცვენასთან
2. კედლის სტრუქტურის დასველებასთან და მარილის იონებად დაშლასთან.



30 აპრილის ფოტოზე ფიქსირდება გამომარილება, რომელიც 19 ივნისის ფოტოზე ნაკლებ შესამჩნევია

კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგი

მონიტორინგის მიხედვით 50 დღიანი ინტერვალის თანახმად 30 აპრილის შემდგომ 19 ივნისს გამომარჩელების პროცესის აქტივობა ფიქსირდება.

2020 წლის 11 მარტის მდგომარეობა

2020 წლის 30 აპრილის მდგომარეობა მარილის ნაწილობრივ მოხსნამდე.

2020 წლის 30 აპრილის მდგომარეობა მარილის ნაწილობრივი მოხსნის შემდგომ.

2020 წლის 19 ივნისის მდგომარეობა მარილის ნაწილობრივ მოხსნამდე



პირდაპირი განათებით



პირდაპირი განათებით



პირდაპირი განათებით



პირდაპირი განათებით



გვერდითი განათებით



გვერდითი განათებით



გვერდითი განათებით



გვერდითი განათებით




მეტი გამომარჩელება



მეტი გამომარჩელება, შეცვლილია გამომარჩელების გავრცელების ფორმა/გადანაწილება

კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგი

მონიტორინგის მიხედვით 50 დღიანი ინტერვალის თანახმად 30 აპრილის შემდგომ 19 ივნისს გამომარილების პროცესის აქტივობა ფიქსირდება.



გადაუდებელი საკონსერვაციო პირდაპირი ჩარევა: მხატვრობის ზედაპირიდან მარილის ნაწილობრივი მოხსნა

მონიტორინგის მიხედვით 50 დღიანი ინტერვალის თანახმად 30 აპრილის შემდგომ 19 ივნისს გამომარილების პროცესის აქტივობა ფიქსირდება.

2020 წლის 11 მარტის მდგომარეობა



2020 წლის 30 აპრილის მდგომარეობა მარილის ნაწილობრივი მოხსნამდე.



2020 წლის 30 აპრილის მდგომარეობა მარილის ნაწილობრივი მოხსნის შემდგომ.



2020 წლის 19 ივნისის მდგომარეობა მარილის ნაწილობრივი მოხსნამდე



მეტი გამომარილება

ფერის ფენის დანაკარგი. ფიქსირდება ახალი მარილის კრისტალები

გადაუდებელი საკონსერვაციო პირდაპირი ჩარევა: მხატვრობის ზედაპირიდან მარილის ნაწილობრივი მოხსნა

მარილის კრისტალიზაციის პროცესით გამოწვეული ფერწერული ფენის დაზიანების შესანელებლად განხორციელდა გადაუდებელი პირდაპირი ჩარევა. ჩარევის მეთოდოლოგია ადგილზე ტესტირებების საფუძველზე შეირჩა (2020 წლის 30 აპრილს). მხატვრობის ზედაპირიდან მარილის ნაწილობრივი მოხსნის მეთოდოლოგია: მექანიკურად, რბილი ფუნჯის საშუალებით ზედაპირზე არსებული ახლად ფორმირებული კრისტალების/ნაფიფქის მოხსნა. მარილის მოხსნის პროცესი მიმდინარეობდა ზედა რეგისტრიდან ქვემოთ, რათა თავიდან აცილებულიყო მოხსნილი მარილის კრისტალების მხატვრობის ზედაპირზე მოხვედრა. მოხსნილი მარილის კრისტალები გროვდებოდა დასველებულ ქაღალდზე.

2020 წლის 19 ივნისის მდგომარეობა მარილის ნაწილობრივ მოხსნამდე



2020 წლის 19 ივნისის მდგომარეობა მარილის ნაწილობრივი მოხსნის შემდგომ



ახლადგამოკრისტალებული მარილი სამონიტორინგე არეებიდან ნაწილობრივ მოიხსნა.



გადაუდებელი საკონსერვაციო პირდაპირი ჩარევა: მხატვრობის ზედაპირიდან მარილის ნაწილობრივი მოხსნა

2020 წლის 19 ივნისის მდგომარეობა
მარილის ნაწილობრივ მოხსნამდე

2020 წლის 19 ივნისის მდგომარეობა მარილის
ნაწილობრივი მოხსნის შემდგომ

მარილის კრისტალიზაციის პროცესით გამოწვეული ფერწერული ფენის დაზიანების შესანელებლად განხორციელდა გადაუდებელი პირდაპირი ჩარევა. ჩარევის მეთოდოლოგია ადგილზე ტესტირებების საფუძველზე შეირჩა (2020 წლის 30 აპრილს). მხატვრობის ზედაპირიდან მარილის ნაწილობრივი მოხსნის მეთოდოლოგია: მექანიკურად, რბილი ფუნჯის საშუალებით ზედაპირზე არსებული ახლად ფორმირებული კრისტალების/ნაფიფქის მოხსნა. მარილის მოხსნის პროცესი მიმდინარეობდა ზედა რეგისტრიდან ქვემოთ, რათა თავიდან აცილებულიყო მოხსნილი მარილის კრისტალების მხატვრობის ზედაპირზე მოხვედრა. მოხსნილი მარილის კრისტალები გროვდებოდა დასველებულ ქაღალდზე.

ახლადგამოკრისტალებული მარილი სამონიტორინგე არეებიდან ნაწილობრივ მოიხსნა.



პირდაპირი განათებით



პირდაპირი განათებით



გვერდითი განათებით



გვერდითი განათებით

მარილის იონებისა და pH-ის ანალიზი

მიზანი: ხსნადი მარილის იონების ხარისხობრივი იდენტიფიკაცია; pH-ის (მჟავიანობის) შემოწმება


ტესტირების მეთოდი: ხარისხობრივი ინდიკაცია ხსნადი მარილებისა და pH-ის ინდიკატორების გამოყენებით (Merck®-ის ფირმის სულფატის $SO_4(2-)$ და ქლორიდის Cl^- ინდიკატორები; Quantofix®-ის ფირმის ნიტრატისა $NO_3(1-)$ და ნიტრიტის $NO_2(1-)$ ინდიკატორი).

ტესტირების მეთოდოლოგია:

- ლოკაციების განსაზღვრა (2 სხვადასხვა ფერწერული ფენიდან და 1 შეკეთებიდან)
- მარილის ნიმუშის სტერილიზებული ლანცეტის საშუალებით სტერილიზებულ კონტეინერში მოთავსება
- ნიმუშის გამოხდილ წყალში განზავება
- pH-ის შემოწმება
- იონების ინდიკატორების ხსნარში ინსტრუქციის მიხედვით მოთავსება და სახეცვლილი ინდიკატორის შეფასება.

მარილის ნიმუშების ლოკაციები:

- ნიმუში 1** - შარავანდელი, ყვითელი ფერწერული ფენიდან
- ნიმუში 2** - დრაპირება, წითელი ფერწერული ფენიდან
- ნიმუში 3** - წინა რესტავრაციის დროს გაკეთებული შევსებიდან




მარილის იონებისა და pH-ის ანალიზი

მარილისა და pH-ის ტესტირებს შედეგები

ნიმუში	pH	სულფატი SO ₄ (2-)	ქლორიდი Cl ⁻	ნიტრატი NO ₃ (1-)	ნიტრიტი NO ₂ (1-)
ნიმუში 1	7.5	>800- >1200	0	>500	10
ნიმუში 2	7.5	>1600	0	>250- >500	0
ნიმუში 3	7.5	>1600	0	>250- >500	0

ზოგადი ინტერპრეტაცია: ნიმუშებში დაფიქსირებული სულფატებისა და ნიტრატების წარმოშობა შესაძლოა დაკავშირებული იყოს 1. საკონსერვაციო სამუშაოების დროს გამოყენებულ მასალასთან (სახურავში გამოყენებული ან/და კედლის მხატვრობის სტაბილიზაციის დროს) 2. ბიოაქტივობასთან (ნიტრატების არსებობა).



კედლის მხატვრობის დაზიანების გამომწვევი მიზეზები და აქტივიზაციის მექანიზმი

კედლის მხატვრობისა და ფასადის ემპირიულ დაკვირვებაზე დაყრნობით შესაძლოა ითქვას, რომ მხატვრობის დაზიანებების პროცესი აქტიურია.

დაზიანების ძირითადი მიზეზი სახურავიდან ჩადინებული წყლის ზემოქმედებაა, რაც უკავშირდება გაუმართავ გადახურვას. მდგომარეობის შესწავლამ ანახა, რომ ინტერიერსა და ფასადებზე დაზიანების აქტიური დეგრადაცია 2017 წლის შემდგომ დაიწყო, მაშინ, როდესაც ეტაპობრივად გამოიცვალა სახურავი და დაიფარა მოჭიქული კრამიტით.

პრობლემა: შელესილობის ფენის, ფერწერული ფენისა და საკონსერვაციო ხსნარის დანაკარგი, განშრევა, გაფხვიერება. შელესილობის სისველე.

დამაზიანების მიზეზი: წყლის/ტენის სტრატეგიაში აკუმულირება. წყლის სავარაუდო წყაროდ შეიძლება გაუმართავი სახურავი განვიხილოთ. სავარაუდოდ, წყლის ინფილტრაცია კრამიტსა და ქვის კედელს შორის ბმებიდან ხდება. ასევე, წყლის დამატებით წყაროდ შესაძლოა გადახურვის დროს გამოყენებული/აკუმულირებული წყლის მიგრაციის პროცესი განვიხილოთ. წყლის მიგრაცია ინტერიერში არსებული მხატვრობის ზედა ფენებისკენაა მიმართული.

დაზიანების მიზეზია მარილების არსებობაც. წყალის ტაძრის სტრუქტურაში არსებობა იწვევს ადვილად ხსნადი მარილის იონების მობილობას ზედაპირისკენ. ჰეტეროგენულ ფორიან მასალაში, მარილის იონების მქონე წყლის (ორთქლის ან სითხის სახით) მიგრაციის პროცესი ორიგინალი ტექნოლოგიის მასალის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლოა ნელა მიმდინარეობდეს.

დაზიანების აქტივიზაციის მექანიზმი: ინტერიერში და ექტერიერში არსებული არასტაბილური გარემო. გარემოში ტენიანობის ცვალებადობა ხსნადი მარილების კრისტალიზაციაზე მოქმედებს. კრიტალის მოცულობაში ცვლილება (გამყარება და დნობა) შელესილობისა და ფერწერული ფენის შიდა კოჰიზიის რღვევას და/ან ადჰიზიური კავშირის დაკარგვას იწვევს.

ჰიპოთეზა საჭიროებს რელევანტური კვლევების გახორციელებას და თეორიის დამტკიცებას ან უარყოფას.

შეჯამება

მონიტორინგისას 2020 წლის 11 მარტის, 30 აპრილისა და 19 ივნისის ფოტოები შედარდა. ჩრდილოეთი მკლავის სამხრეთი კედლის მხატვრობის ზედა რეგისტრზე კვლავ ფიქსირდება გამომარილება. გამოვლინდა ახალი და/ან მეტი რაოდენობის მარილის ორი ტიპი: მყარი კრისტალური ნადები და ნაფიფქი. გარდა ამისა, ხარაჩოზე დაფიქსირდა ჩამოცვენილი ფერის ფენისა და ნალესობის ფრაგმენტები.

აღნიშნული დაკვირვებები ადასტურებს დაზიანების აქტივობას.

ფერის ფენისა და ნალესობის ფრაგმენტების ცვენა გამოწვეულია მარილების ფორმირების ციკლით. მარილის კრისტალების მოცულობაში მუდმივი ცვლა, რაც გამოწვეულია მარილის დისოციაცია/იონებად დაშლითა და შემდეგ დაგკრისტალდება/გამყარებით, ხელს უწყობს ორიგინალი ტექნოლოგიის დაზიანებას.

ამჟამინდელი მდგომარეობით, გამოკრისტალებული მარილის სიუხვე შეიძლება გამოწვეული იყოს ინტერიერში ტემპერატურის მომატებითა და ტენიანობის დაკლებით. გარემო, როგორც აქტივიზაციის მექანიზმი, საჭიროებს მონიტორინგს, რათა ზუსტად განისაზღვროს ციკლის ფაზები და მოხდეს მათი დარეგულირება.

ვიზიტის შედეგად მოხდა გამომარილების ნაწილობრივი მოხსნა, რაც დაზიანების შენელებასა და გამომარილების მონიტორინგს უწყობს ხელს.

მარილების ინდიკატორებმა სამხრეთი კედლის ზედა რეგისტრის აღმოსავლეთი სცენის 3 ლოკაციაზე (2 ფერწერული ფენა და 1 შეკეთება) გამოავლინა სულფატებისა და ნიტრატების არსებობა. წინასწარული ვარაუდით მათი არსებობა შესაძლოა უკავშირდებოდეს საკონსერვაციო მასალასა და ბიოაქტიურობას.

რეკომენდაცია:

- 2020 წლის 11 მარტის ანგარიშში არსებული რეკომენდაციების შესრულება.
- სააგენტოს მიერ განხორციელებული მონიტორინგის გაგრძელება. ფოტო-მონიტორინგის საშუალებით და ფიზიკური ისტორიის შესწავლით დაზიანების აქტივიზაციის ხარისხის დადგენის გაგრძელება
- საჭიროების შემთხვევაში კედლის მხატვრობაზე გამოკრისტალებული მარილის მექანიკურად, მშრალი წესით მოხსნა, თანდართული რელევანტური დოკუმენტაციით. ჩარევა უნდა მოხდეს კედლის მხატვრობის კონსერვატორის მიერ. (სასურველია ზემოთ აღნიშნული მონიტორინგი და მარილის მოხსნითი სამუშაოები ჩატარდეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ).

დამატებითი მასალა

ინტერიერის მდგომარეობის შედარებითი ანალიზი: კედლის მხატვრობა, დასავლეთ მკლავის სამხრეთ კედელი

2020 წლის 30 აპრილის
მდგომარეობა მარილის
ნაწილობრივი მოხსნის შემდგომ.

არაგეგმიური მონიტორინგის თარიღი

2020 წლის მაისი მდგომარეობა

2020 წლის 19 ივნისის მდგომარეობა
მარილის ნაწილობრივ მოხსნამდე



პირდაპირი განათებით



პირდაპირი განათებით



პირდაპირი განათებით



გვერდითი განათებით



გვერდითი განათებით



გვერდითი განათებით

მარილის ზედაპირზე გამოკრისტალების პროცესი აქტიურია. შინიშნება მარილის მცირედი ზრდა

მეტი გამომარილება

გელათის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარის

ჩრდილოეთის ეკვდერებისა და კარიბჭის მდგომარეობის შედარებითი ანალიზი

მოცემულ დოკუმენტში ასახულია ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე განხორციელებული ფასადისა და ინტერიერის მდგომარეობების შედარებითი ანალიზი. დოკუმენტაციის ფორმა მოიცავს ფოტოგრაფიასა და ტექტუალურ განმარტებებს. ანგარიში ფოკუსირებულია ჩრდილოეთი ეკვდერების ფასადებსა და ინტერიერის კედლის მხატვრობაზე მათი დაზიანების სახეობების გამოვლენაზე, დაზიანების ხარისხისა და აქტივიზაციის დადგენასა და დამაზიანებელი ფაქტორების განსაზღვრაზე.

სპეციალისტები:

თამარ მელივა - იუნესკოსა და საერთაშორისო
ურთიერთობის სამსახური (არქიტექტურის
კონსერვაციის სპეციალისტი)

მარიამ საღარაძე - ძეგლთა რეაბილიტაციის სამსახური
(კედლის მხატვრობის კონსერვაციის სპეციალისტი)

გვანცა (ტასო) ფოცხიშვილი - კედლის მხატვრობის
კონსერვაციის მოწვეული სპეციალისტი

ანგარიში N3

2020 წლის 16-19 ივნისის მისია

1. N3 ანგარიში - შეჯამება - გვ. 2
2. ჩრდილო-აღმოსავლეთი ეკვდერი - გვ. 4
3. ჩრდილოეთის კარიბჭე - გვ. 14
4. ჩრდილო-დასავლეთი ეკვდერი - გვ. 21

გადახურვისა და ფასადების შესწავლამ დააფიქსირა დაზიანების ძირითადი ტიპები, რომელთა აქტიური გამოვლინებაც ეკვდერების გადახურვის შემდგომ ეტაპს უკავშირდება. დაზიანებები ძირითადად კარნიზებთანაა ლოკალიზებული, თუმცა ვხვდებით კედლის ქვის წყობასა და შეკეთებებზეც. დაზიანების მხრივ გვხვდება ქვისა და შეკეთებების ფერის სახეცვლა (ტენის შემცველობა), შავი ლაქები (ბიოაქტივობა) და გამომარილება. აღსანიშნავია, ჩრდილო-აღმოსავლეთი ეკვდერის საკურთხევლის აფსიდის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე, რომლის ფასადზეც შეიმჩნევა ისტორიული ბიოაქტივობის ხელახალი ატივიზაცია.

მდგომარეობის შესწავლამ გამოავლინა, რომ დაზიანება აქტიურია, თუმცა ინეტიერში გაუარესება გარდა ჩრდილო-დასავლეთი ეკვდერისა არ შეიმჩნევა. 2017 წლისა და 2020 წლის შედარებითა ანალიზმა ცხადყო, რომ მხატვრობის ზედა რეგისტრებში დეგრადაციის პროცესი არ ვლინდება. ჩრდილო-დასავლეთი ეკვდერის დასავლეთ ნაწილში 2017 წლის შემდგომი პერიოდის ნალესობის ფრაგმენტული დანაკარგი დაფიქსირდა, თუმცა 2020 წლის მონიტორინგის ფარგლებში ახალი ნაკლული ადგილები არ შეიმჩნეულა.

ასევე, გადახურვებზე გამოყენებული მეთოდოლოგიის (მეთოდებისა და მასალების) იდენტიფიცირების მიზნით, მისიის ფარგლებში გადახურვების რეაბილიტაციაზე მომუშავე ტექნიკური პერსონალთან ჩატარდა ინტერვიუ. რის შედეგადაც ჩანს, რომ გადახურვები განსხვავებული მეთოდებითა და მასალითაა შესრულებული.

არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით საჭიროა გაგრძელდეს ეკვდერების ფასადებისა და ინტერიერის მონიტორინგი, რათა გადამოწმდეს დაზიანება ნამდვილად დასტაბილურდა თუ არა.

N3 ანგარიში - შეჯამება

ჩრდილო-აღმოსავლეთი ეკვდერის გადახურვა მოწყობილია შემდეგნაირად:

- თუნუქის გადახურვის მოხსნის შემდეგ, მის ქვეშ არსებული სივრცე გასუფთავდა სამშენებლო ნაგვისგან;
- კამარის გარე გარსზე არსებული ბზარები შეივსო კირის დულაბით;
- კამარის გარე გარსზე, გადახურვის სივრცეზე შევსებულია 10-40 სმ სისქის პემზის ფენით;
- პემზის ფენაზე მოწყობილია კირის 6-7 სანტიმეტრის სისქის ფენა (არმირების გარეშე);
- კირის პირველი ფენის ზემოდან მოწყობილია თხევადი იზოლაციის ფენა;
- იზოლაციის ფენის ზემოდან მოწყობილია 12-13 სანტიმეტრის სისქის არმირებული (მინაბოქკოვანი არმატურა) კირის ფენა;
- არმირებული კირის ფენის ზემოდან მოწყობილია თხევადი იზოლაციის ფენა;
- იზოლაციის ფენის ზემოდან მოწყობილია თეთრი კერამიკისგან დამზადებული კრამიტის ბურული ასევე კირის დულაბით; კრამიტები დამატებით ჩამაგრებულია სამსჭვალეებით;

2018-2019 წელს გადახურვაზე ხარვეზები გამოვლინდა(დაიმტვრა კრამიტი), რის გამოც მთელი ერთი ხელახლა დაიგო.

ჩრდილოეთის კარიბჭის გადახურვა მოწყობილია შემდეგნაირად:

- თუნუქის გადახურვის მოხსნის შემდეგ, მის ქვეშ არსებული სივრცე გასუფთავდა სამშენებლო ნაგვისგან;
- კამარის გარე გარსზე არსებული ბზარები შეივსო კირის დულაბით;
- მოეწყო შედგენილი ხის კოჭები;
- ხის კოჭები შეიფიცრა;
- პემზის ფენაზე მოწყობილია კირის 6-7 სანტიმეტრის სისქის ფენა (არმირების გარეშე);
- კირის პირველი ფენის ზემოდან მოწყობილია თხევადი იზოლაციის ფენა;
- იზოლაციის ფენის ზემოდან მოწყობილია 12-13 სანტიმეტრის სისქის არმირებული (მინაბოჭკოვანი არმატურა) კირის ფენა;
- არმირებული კირის ფენის ზემოდან მოწყობილია თხევადი იზოლაციის ფენა;
- იზოლაციის ფენის ზემოდან მოწყობილია თეთრი კერამიკისგან დამზადებული კრამიტის ბურული ასევე კირის დუღაბით; კრამიტები დამატებით ჩამაგრებულია სამსჭვალეებით;

სამხრეთი კარიბჭე
ფასადები
2007-2020 წლები


სამხრეთი კარიბჭე, ექსტერიერი - ფიზიკური ისტორია



- 2007-18 წლებში სამხრეთ -ადმოსავლეთ ეკვდერზე ფიქსირდება 1) თუნუქის გადახურვა; 2) დამტვრეული კარნიზისა და ფასადის ქვები; 3) შავი ლაქები (ბიოაქტივობა).
- 2018 წელს ფიქსირდება თუნუქის გადახურვის მოხსნა და კარნიზის ქვების დამუშავება.
- 2019 წლის აპრილში სამხრეთ კარიბჭის გადახურვის პროცესი კვლავ მიმდინარეა. ხსნარით შევსებულია კარნიზის ნაკლებად ადგილები და კამარის გადახურვა.
- 2019 წლის აპრილის შემდგომ პერიოდში ეკვდერი მოჭიქული კრამიტით გადაიხურა (2019 წლის 5 ივლისამდე წყარო: NAT190010584_ მოხსენებითი).

სამხრეთი კარიბჭე, ექსტერიერი - მონიტორინგი

2020 წლის 11 მარტი



2020 წლის 30 აპრილი



2020 წლის მარტის მდგომარეობის შეფასებამ და 2019 წლის აპრილის ფოტოსთან შედარებამ გვიჩვენებს, რომ ახლად დამუშავებული ადგილები დაზიანებულია:

გამომარილებას ვხვდებით კარიბჭის დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებზე:


- კარნიზის შევსებებზე
- ორიგინალ ქვაზე
- კრამიტზე.

გამომარილების განაწილებიდან გამომდინარე სავარაუდოა, რომ კრამიტის გადახურვა ხელს უწყობს მარილის სტრუქტურაზე ზემოქმედებას.

2020 წლის 22 მაისი



2020 წლის 17 ივნისი





2020 წლის მონიტორინგით, სამხრეთ კარიბჭის სამხრეთ კედელზე არ შეინიშნება მდგომარეობის ცვლილება. თუმცა საჭიროა სამხრეთ კარიბჭის დეტალური მდგომარეობის აღწერა მაკრო ფოტოგრაფიის დახმარებით. (იხ შემდეგი სლაიდები).

სამხრეთი კარიბჭე, ექსტერიერი - მონიტორინგი

დაზიანების ტიპი: გამომარილება და ქვისა და შეკეთების ფერის სახეცვლა, განშრევა

სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ კუთხეში დაფიქსირებული *გამომარილების ციკლი აქტიურია.*



ქვისა და შეკეთების ფერის სახეცვლა/ ტენიანობის შემცველობა შენარჩუნებულია. თუმცა მარილის კრისტალები 30 აპრილს აღარ შეიმჩნევა

ცვლილება არ შეინიშნება. ქვისა და შეკეთების სიმუქე შენარჩუნებულია

სამხრეთი კარიბჭე, ექსტერიერი - მდგომარეობის აღწერა

კრამიტის მთლიან გადახურვაზე
ფიქსირდება:

1. დანაკარგი;
2. ბზარები;
3. მიკრობზარები;
4. განშრევაბა;
5. გამომარილება.




სამხრეთი კარიბჭე, ექსტერიერი - მდგომარეობის აღწერა

დაზიანების ტიპი: გამომარილება

ლოკაცია: დასავლეთი კედლის ფრაგმენტი

თარიღი: 2020 წლის 17 ივნისი



გამომარილების ტიპი: მყარი კრისტალური მასა ფუფხვით, ქერქისებრი შედარებით სქელი კრისტალური მასა, რომელიც ნადებივით ედება ზედაპირს. აღნიშნული ტიპის გამომარილება კრისტალის სტრუქტურულიდან/სიმტკიცეიდან გამომდინარე შედარებით ძველია. ამგვარი დაზიანება გვხვდება დასავლეთი ფასადის კედლის შელესილობასა და ქვის წყობაზე.

მარილის ნადების კედლის ზედაპირზე განაწილება ემთხვევა მოჭიქული კრამიტის ბმებს. , მარილი ვერტიკალურად მოყვება კედელს და ბოლოსკენ ფართოვდება. გამომარილება შეინიშნება ფარდებზე და მათ ქვეშ. აღნიშნული დაკვირვება მიუთითებს კრამიტის დაგების ტექნიკურ გამოუმართაობასა და მისი ფიზიკური მახასიათებლების ნაკლოვანებაზე.

ფასადზე გამოვლენილი წყლის ზემოქმედებით გამოწვეული დაზიანებები/ ინტერიერში შემდეგნაირად აისახება:

ლურჯი ისრებით მითითებულია კრამიტის ბმების ადგილი და მათთან ასოცირებული დაზიანება - მარილები

სამხრეთი კარიბჭე, ექსტერიერი - მდგომარეობის აღწერა

დაზიანების ტიპი: შემუქებული/ტენიანი შეკეთება და მისი განშრევა


ლოკაცია: დასავლეთი კედლის ფრაგმენტი

თარიღი: 2020 წლის 17 ივნისი

16-19 ივნისი 2020



16-19 ივნისი 2020



წითელი ისრით მითითებულია ქვის საკონსერვაციო ჩარევის დროს ნახმარი ხნარის დაზიანება:

- განშრევა
- ფერის სახეცვლა/ტენიანობა.

წყლის ზემოქმედების კვლავი ნათლად განიჩევა შეკეთებაზე, მაშინ როდესაც შეკეთების მარჯვენა მხარე მშრალია (იხ ლურჯი ისარი), ხოლო მარცხენა მხარეს ტენიანი (იხ წითელი ისარი).

16-19 ივნისი 2020



16-19 ივნისი 2020





სამხრეთი კარიბჭე, დასავლეთი კედელი - ინტერიერისა და ექსტერიერის მდგომარეობის შედარება



ლოკაცია: დასავლეთი კედელი

ფასადზე გამოვლენილი დაზიანების ტიპები (გამომარილება, ფერის სახეცვლა/ნესტი) მიუთითებს წყლის ზემოქმედებაზე. ფასადზე იდენტიფიცირებული დაზიანების ადგილები დათვალიერდა ინტერიერის მხრიდან. ინტერიერში გამოავლინდა ქვის ზედაპირის შემუქება (სავარაუდოდ ტენის კვალი), რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს გადახურვებსა და ფასადზე არსებულ დაზიანებებს (დაზიანების წყაროსა და მაქანიზმს).



სამხრეთი კარიბჭე, ინტერიერი, დასავლეთი კედელი - ფიზიკური ისტორია

დაზიანების გამოვლენის დათარიღებისა, დაზიანების აქტიურობისა და შესაძლო წყაროს დადგენის მიზნით განხორციელდა საარქივო მასალის შედარებითი ანალიზი.

2013 წლის კედლის მხატვრობის საკონსერვაციო პროექტის განხორციელებისას დასავლეთ კედელზე სიმუქე მსუბუქად შეიმჩნევა ხოლო 2020 წლის 22 მაისს დასავლეთი კედლის ქვის წყობის მნიშვნელოვანი არე სახეცვლილია - აღენიშნება მუქი შეფერილობა. ივნისში გადაღებულ ფოტოზე მდგომარეობის გაუარესება არ ფიქსირდება.

ფასადის დაზიანება 2019 წლის აპრილის შემდგომი პერიოდით თარიღდება, მას შემდეგ რაც სახურავი გამოიცვალა. ფოტომედარებითი ანალიზით დადგენილი ქრონოლოგია ესადაგება დაზიანების წყაროს შესაძლო გაჩენის თარიღსა და ახალ გადახურვაში წყლის მიგრაციის პრობლემას.

დაზიანების ტიპი: ქვის შემუქება

ლოკაცია: დასავლეთი კედელი



მარტი 2013



22 მაისი 2020



16-19 ივნისი 2020

მარტი 2013

წყარო: გელათის ღვთისმშობლის ტაძრის წმ. მარინეს აგვტერის და სამხრეთ კარიბჭის კედლის მხატვრობის გადაუდებელი კონსერვაცია (ანგარიში)

22 მაისი 2020

16-19 ივნისი 2020

ვიზუალური დაკვირვებით თვალით ხილული განსხვავება შეინიშნება 2013 და 2020 წლების ფოტოებში


სამხრეთი კარიბჭე, ექსტერიერი - მდგომარეობის აღწერა

დაზიანების ტიპი: გამომარილება და ქვისა და შეკეთების ფერის სახეცვლა, განშრევა ლოკაცია: დასავლეთი კედლის ფრაგმენტი თარიღი: 2020 წლის 17 ივნისი

16-19 ივნისი 2020



16-19 ივნისი 2020



16-19 ივნისი 2020



გამომარილების სქელი ფენა ფიქსირდება სამხრეთი კედლის ზედა კუთხეში. შემუქებულია სამხრეთი კედლის მარჯვენა კიდის ფრაგმენტი, რომელიც მოიცავს ქვისა და შეკეთებას. შემუქება განიჭევა აღმოსავლეთ კედელზეც, ნარინის ეკვდერის გადახურვის მიჯნაზე. კედლისა და გადახურვის ბმის ადგილას ნახმარია ხსნარი.


გამომარილების განაწილება ესადაგება დასავლეთ კედელზე აღნიშნულ პრინციპს- თეთრი ნადები ლოკალიზებულია კრამიტის ბმებთან, მარილი ვერტიკალურად მოყვება კედელს და ბოლოსკენ ფართოვდება.

ფასადზე გამოვლენილი დაზიანებები ინტერიერში შემდეგნაირად აისახება:


სამხრეთი კარიბჭე, აღმოსავლეთი კედელი - ინტერიერისა და ექსტერიერის მდგომარეობის შედარება

ლოკაცია: *აღმოსავლეთი კედელი*

16-19 ივნისი 2020



16-19 ივნისი 2020



16-19 ივნისი 2020



გადახურვებსა და ფასადზე გამოვლენილი დაზიანების ტიპები (გამომარილება, ფერის სახეცვლა/ნესტი) მიუთითებს წყლის ზემოქმედებაზე. ფასადზე იდენტიფიცირებული დაზიანების ადგილები დათვალა ინტერიერის მხრიდან. ინტერიერში გამოავლინდა ქვის ზედაპირის შემუქება (სავარაუდო ტენის კვალი) და ბიოაქტივობა 2018-2020 წლებს შორის, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს გადახურვებსა და ფასადზე არსებულ დაზიანებებს (დაზიანების წყაროს და აქტივიზაციის მექანიზმს).

სამხრეთი კარიბჭე, ინტერიერი, აღმოსავლეთი კედელი - ფიზიკური ისტორია

დაზიანების გამოვლენის დათარიღებისა, დაზიანების აქტიურობისა და შესაძლო წყაროს დადგენის მიზნით განხორციელდა საარქივო მასალის შედარებითი ანალიზი.

- 2012 წლის ფოტოზე, კარიბჭის აღმოსავლეთ კედელზე არ ფიქსირდება მნიშვნელოვანი დაზიანებები, თუმცა 2017 წელს გამოვლინდა ქვის შემუქებები (ლურჯი ჩარჩო) და ბიოაქტივობა (წითელი ჩარჩო).
- მწვანე ფერის ბიოლოგიური აგენტი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში ორიგინალ ქვაზე, შელესილობაზე, მხატვრობასა და შეკეთებაზე დაფიქსირდა.

- 2018 წელს მოხდა მისი შეწამვლა, რამაც მოაცილა მწვანე პატინა და დაუბრუნა ზედაპირს ორიგინალი სახე.
- 2020 წლის 22 მაისს ბიოაქტივობა კვლავ შეინიშნება თუმცა ძალიან მცირე მასშტაბზე. ძირითადად კედლის სიბრტყეების ბმებთან.
- 2020 წლის 17 ივნისს ქვის შემუქებული არე გაფართოებული და გამკვეთებულია, მაშინ როდესაც 17 ივნისის ფოტოზე თითქოს აღნიშნული სიმუქის კლება შეიმჩნევა (იხ ლურჯო ჩარჩო).

დაზიანების ტიპი: ქვის შემუქება და ბიოაქტივობა



ლოკაცია: აღმოსავლეთი კედელი



2018 წელს ბიოციდით შეწამვლის მერე ბიოლოგიური დაზიანების კვლავ გააქტიურება და ქვის ლაქების ქრობა გამუქება, შესაძლოა უკავშირდებოდეს დაზიანების წყაროსა ან აქტივიზაციის მექანიზმის კვლავ არსებობას. ამ ჰიპოთეზას ამყარებს ფასადზე არსებული დაზიანებებიც, რომლებიც თანხვედრაში მოდიან შიდა დაზიანებათა ლოკაციასთან.

სამხრეთი კარიბჭე, ინტერიერი, აღმოსავლეთი კედელი - მდგომარეობის აღწერა

დაზიანების ტიპი:
ბიოაქტივობა

ლოკაცია:
აღმოსავლეთი კედელი

თარიღი: 2020 წლის
17 ივნისი



დამატებითი ინფორმაცია

სამხრეთი კარიბჭე, ინტერიერი - ფიზიკური ისტორია

კარიბჭის კუმბათში თვალით ხილული განსხვავება არ შეინიშნება

2005 სექტემბერი ფოტო: ნანა კუპრაშვილი



22 მაისი 2020



16-19 ივნისი 2020



გელათის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის

ნართექსის

გადახურვის, ფასადებისა და კედლის
მხატვრობის მდგომარეობის შეფასება

2020 წლის 16-19 ივნისის მისია

სპეციალისტები:

თამარ მელივა - იუნესკოსა და საერთაშორისო
ურთიერთობის სამსახური (არქიტექტურის
კონსერვაციის სპეციალისტი)

მარიამ საღარაძე - ძეგლთა რეაბილიტაციის სამსახური
(კედლის მხატვრობის კონსერვაციის სპეციალისტი)

გვანცა (ტასო) ფოცხიშვილი - კედლის მხატვრობის
კონსერვაციის მოწვეული სპეციალისტი

ანგარიში N7

N7 ანგარიში - შეჯამება

ნართექსში დასავლეთ და სამხრეთ ფასადებზე ძირითადად გამოვლინდა შემდეგი სახის დაზიანებები: შეკეთებებისა და ქვის ფერის სახევეცლა (სავარაუაოდო ტენის შემცველობა), კრამიტის გამომარილებები. ინტერიერის შემოწმებისას 2017 წლის შემდგომი ცვლილება არ დაფიქსირებულა. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება მიექცეს ინტერიერში სამხრეთ კედელს, ვინაიდან აქვს გამჭოლი ბზარი. ბზარიდან ტენის შემოსვლა გაადვილდება და გამოიწვევს მხატვრობის დაზიანებას.

აღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით უმჯობესია განხორციელდეს დაზიანებული არეებს მონიტორინგი, რათა ფასადზე განისაზღვროს აქტივიზაციის ხარისხი, ხოლო ინტერიერში გაკონტროლდეს დაზიანების შესაძლო არეები.

ნართექსის გადახურვა შერეული მეთოდოლოგიითაა მოწყობილი. მისი დიდი ნაწილი კირის დულაბზეა, ხოლო უკიდურესი ჩრდილოეთი მხარე დაგებულია ხის კოჭებზე.

კირის დულაბზე მოწყობილი გადახურვა:

- თუნუქის გადახურვის მოხსნის შემდეგ, მის ქვეშ არსებული სივრცე გასუფთავდა სამშენებლო ნაგვისგან;
- კამარის გარე გარსზე არსებული ბზარები შეივსო კირის დულაბით;
- კამარის გარე გარსზე, გადახურვის სივრცეზე შევსებულია 10-40 სმ სისქის პემზის ფენით;
- პემზის ფენაზე მოწყობილია კირის 6-7 სანტიმეტრის სისქის ფენა (არმირების გარეშე);
- კირის პირველი ფენის ზემოდან მოწყობილია თხევადი იზოლაციის ფენა;
- იზოლაციის ფენის ზემოდან მოწყობილია 12-13 სანტიმეტრის სისქის არმირებული (მინაბოჭკოვანი არმატურა) კირის ფენა;
- არმირებული კირის ფენის ზემოდან მოწყობილია თხევადი იზოლაციის ფენა;
- იზოლაციის ფენის ზემოდან მოწყობილია თეთრი კერამიკისგან დამზადებული კრამიტის ბურული ასევე კირის დულაბით; კრამიტები დამატებით ჩამაგრებულია სამსჭვალეებით;

ხის კოჭებზე მოწყობილი გადახურვა:

- თუნუქის გადახურვის მოხსნის შემდეგ, მის ქვეშ არსებული სივრცე გასუფთავდა სამშენებლო ნაგვისგან;
- კამარის გარე გარსზე არსებული ბზარები შეივსო კირის დულაბით;
- მოეწყო შედგენილი ხის კოჭები;
- ხის კოჭები შეიფიცრა;
- შეფიცვრაზე მოეწყო ფურცლოვანი ჰიდროიზოლაციის 2 ფენა (ბიკროსტი);
- ზემოდან მოეწყო თეთრი კერამიკისგან დამზადებული კრამიტის ბურული - კრამიტები ჩამაგრებულია უჟანგავი ლითონის სამსჭვალეებით;

კამარის გარე გარსსა და ხის კოჭებს შორის სივრცეზე, რაც ჰაერის იზოლაციის შრეს ქმნის.




ნართექსი, ექსტერიერი - ფიზიკური ისტორია

2017 მაისი



2018 აგვისტო



2019 აპრილი



ნართექსი, თუნუქის გადახურვა

ნართექსი, თუნუქის გადახურვის ახდა სამხრეთი მხრიდან დაწყებულია


ნართექსი მთლიანად ჩასმულია ხარაჩოში, კრამიტის გადახურვა სამხრეთ ნაწილში დასრულებული ჩანს.

ნართექსი, ექსტერიერი - მდგომარეობის აღწერა

ივნისი 2020



ივნისი 2020



ივნისი 2020



ლოკაცია: დასალეთი ფასადი, შესასვლელი თაღის მალა არსებული კარნიზი

დაზიანების ტიპი: გამომარილება, ორიგინალი ქვისა და შეკეთებების ფერის სახეცვლა/შემუქება

თარიღი: 2020 წლის 17 ივნისი

კომენტარი: 2016 წლის ფოტოზე აღნიშნული დაზიანება არ ფიქსირდება

ნართექსი, ინტერიერი - ფიზიკური ისტორია

ლოკაცია: დასავლეთი კედელი, კამარა

კომენტარი: თვალით ხილული დაზიანება ან/და 2017 წლის მდგომარეობასთან განსხვავება არ შეინიშნება

თარიღი: 2020 წლის 17 ივნისი



2017 დეკემბერი



2020 ივნისი






ნართექსი, ინტერიერი - ფიზიკური ისტორია

ლოკაცია: დასავლეთი მხარე შესასვლელის კამარა

კომენტარი: თვალთ ხილული განსხვავება არ შეინიშნება

თარიღი: 2020 წლის 17 ივნისი



ნართექსი, ექსტერიერი - მდგომარეობის აღწერა

ლოკაცია: ჩრდილოეთი ფასადის კედელი

თარიღი: 2020 წლის 17 ივნისი

კომენტარი: თვალით ხილული მნიშვნელოვანი დაზიანება არ შეიმჩნევა



ნართექსი, ექსტერიერი - მდგომარეობის აღწერა

ლოკაცია: *ნართექსისკრამიტის გადახურვა*

თარიღი: *2020 წლის 17 ივნისი*

დაზიანების ტიპი: კრამიტის მთლიან გადახურვაზე
ფიქსირდება: 1. ჭიქურის ფენის დანაკარგი; (წითელი ისარი) 2.
თეთრი ჩამონადენები (ხსნარი/მარილი?) (ყვითელი ისარი)

2020 ივნისი



2020 ივნისი



2020 ივნისი




2020 ივნისი



ნართექსი, ექსტერიერი - მდგომარეობის აღწერა

2020 ივნისი



2020 ივნისი




ლოკაცია: სამხრეთ ფასადი კარნიზი

დაზიანების ტიპი: გამომარიღება, ორიგინალი ქვისა და შეკეთებების ფერის სახეცვლა/შემუქება

თარიღი: 2020 წლის 17 ივნისი


2020 ივნისი




ნართექსი, ექსტერიერი - მდგომარეობის აღწერა

ლოკაცია: სამხრეთი კედელი

2020 ივნისი



2020 ივნისი



დაზიანების ტიპი: *ფერწერული ფენის ფერის სახეცვლა (წითელი ისარი) ქვებს შორის ბზარი (ლურჯი ისარი)*

თარიღი: *2020 წლის 17 ივნისი*

კომენტარი: *გვერდითი განათებით ახალი დაზიანება არ შეინიშნება*

2020 ივნისი



გელათის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია

ფასადებისა და ეკლესიის მთავარ სივრცეში
წარმოდგენილი კედლის მხატვრობის
მდგომარეობის შედარებითი ანალიზი

ანგარიში N8

2020 წლის 16-19 ივნისის მისია

სპეციალისტები:

თამარ მელივა - იუნესკოსა და საერთაშორისო
ურთიერთობის სამსახური (არქიტექტურის
კონსერვაციის სპეციალისტი)

მარიამ საღარაძე - ძეგლთა რეაბილიტაციის სამსახური
(კედლის მხატვრობის კონსერვაციის სპეციალისტი)

გვანცა (ტასო) ფოცხიშვილი - კედლის მხატვრობის
კონსერვაციის მოწვეული სპეციალისტი

კედლის მხატვრობის მდგომარეობის შედარებითი ანალიზი: გელათის წმინდა გიორგის ეკლესია

გელათში, 2020 წლის 16-19 ივნისს განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში, ჩატარდა წმინდა გიორგის ეკლესიის ფასადებისა და კედლის მხატვრობების მდგომარეობის მონიტორინგი. ასევე, იმაზე დაკვირვება, არის თუ არა შესაძლებელი, ეკლესიის ინტერიერში არსებული დაზიანებების დაკავშირება ეკლესიის ფასადებზე არსებულ მდგომარეობასთან და შესაბამისად, დაზიანების წყაროსა და აქტივიზაციის მექანიზმის შესახებ ჰიპოთეზების გამოთქმა.

ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ინტერიერის მონაკვეთები, სადაც აღინიშნება კედლის მხატვრობის მდგომარეობის გაუარესება (2017-2018 წლების მიჯნაზე გადაღებულ ფოტოებზე ასახულ მდგომარეობასთან შედარებით) შეიძლება დაუკავშიროთ ფასადებზე არსებულ დაზიანებულ მონაკვეთებს, გარე და შიდა ლოკაციების დამთხვევის საფუძველზე. თუმცა, წმინდა გიორგის ეკლესიის ფასადებზე არ გაკეთებულა მდგომარეობის სისტემატური მონიტორინგი, რის გამოც არსებული მოსაზრებების განსამტკიცებლად, აუცილებელია დაკვირვების გაგრძელება.

მოცემული მოსაზრების განხილვისას, ასევე, აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ მდგომარეობის მონიტორინგი განხორციელდა ვიზუალური დაკვირვებისა (მიწიდან) და საარქივო ფოტოების შედარების საფუძველზე, რის დროსაც, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ფოტოების გადაღების დროს გამოყენებული ტექნიკის პარამეტრები, განათება, რაკურსი, დისტანცია და ა.შ.

კედლის მხატვრობის მდგომარეობაზე დაკვირვების პროცესში გამოყენებულ იქნა კიდევ ერთი, კვლევის არა-ინვეზიური მეთოდი- ინფრაწითელი თერმოგრაფიის ტექნიკით ფოტო გადაღება, რამაც ამ ეტაპზე არ გამოავლინა რაიმე ახალი სახის ინფორმაცია და შესაბამისად მოცემული მასალა არ არის წარმოდგენილი ქვემოთ.



კედლის მხატვრობის მდგომარეობის შედარებითი ანალიზი: გელათის წმინდა გიორგის ეკლესია


2020 წლის 22 მაისის მიხედვით, კედლის მხატვრობის მდგომარეობის ცვლილება (2017-2018 წლების მიჯნაზე გადაღებულ ფოტოებთან შედარების საფუძველზე) აღინიშნა ეკლესიის ექვს მონაკვეთში (მოცემული მონაკვეთები აღნიშნულია გეგმაზე, მარჯვნივ):

1. აღმოსავლეთ მკლავი, ბემა (ჩრდილოეთის მხარე), ამაღლება
2. ჩრდილოეთი მკლავის აღმოსავლეთ კედელი, ჯვარცმა
3. ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთი კედელი, იერუსალიმში შესვლა
4. სამხრეთი კედელი, ქტიტორის გამოსახულება
5. სამხრეთ-დასავლეთ კამარა, სამხრეთის მხარე, წმ. გიორგის წამება ურმის თვალზე
6. დასავლეთ მკლავი, სამხრეთი კედელი (კამარა), ნათლისღება

დამატებით, მონასტრის წევრებისა და დამხმარეების თქმით, გუმბათქვეშა სივრცეში, **სამხრეთ-დასავლეთ ბურჯთან** და **ჩრდილოეთ კედლის აღმოსავლეთ ნაწილში**, იატაკზე მუდმივად აღინიშნება, ძალიან წვრილი, ჩამოცვენილი ნაწილაკები.

მოცემულ მონაკვეთში აღმართული ხარაჩოს დამხარებით, მოხდა გუმბათის ყელის ქვედა ნაწილისა და აფრების უფრო ახლოდან დათვალიერება, პირდაპირი და გვერდითი განათების დახმარებით და გამოითქვა ვარაუდი, თუ საიდან შეიძლება ხდებოდეს მოცემული ნაწილაკების ჩამოცვენა.




კიდევ ერთი მონაკვეთი, სადაც კედლის მხატვრობის ზედაპირზე, სავარაუდოდ, აღინიშნება გამომარჩილება, არის **სამხრეთ კედლის პილასტრი 4**. ტაძრის სამხრეთი კედელი (მონაკვეთი მკლავის დასავლეთით) ქტიტორის გამოსახულების გვერდით), თუმცა ამ მონაკვეთის საარქივო ფოტოების არ ქონის გამო, დაზიანების განვითარების დინამიკის განსაზღვრა ამ ეტაპზე შეუძლებელია.



ექსტერიერი - ჩრდილო-დასავლეთი კუთხე

ქვემოთ მოცემულ ფოტოებზე წარმოდგენილია წმინდა გიორგის ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე. 2010 წლიდან- დღემდე გადაღებულ ფოტოებზე ნათლად ჩანს, როგორც გადახურვის შეცვლის ეტაპები, ასევე გარკვეული მონაკვეთების მდგომარეობის რადიკალური ცვლილება. განსაკუთრებით, აღსანიშნავია, თუ როგორ იცვლება წითელი მართკუთხედით აღნიშნული მონაკვეთის მდგომარეობა წლების განმავლობაში.

1. მოცემულ მონაკვეთზე ყველაზე მძიმე მდგომარეობა ფიქსირდება 2012-2013 წლების ფოტოზე და 2016 წლის მარტისა და დეკემბრის ფოტოებზე (როდესაც გადახურვაზე დროებითი სახურავია მოწყობილი) მდგომარეობა გაუმჯობესებულია;
2. 2010 წლის ფოტოზე, აღინიშნება შავი ფერის, ვიწრო, ჰორიზონტალური ლაქა, რომელიც მკლავების გადაბმის ადგილს მიუყვება და ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე, სავარაუდოდ, 2020 წლის ფოტოზე ლაქის ფართობი გაზრდილია ვერტიკალური ღერძის მიმართულებით;
3. ჩრდილოეთ ფასადზე არსებული ორი, მუქი ფერის „ლაქა“ (აღნიშნულია 2020 წლის 17 ივნისის ფოტოზე, ყვითელი მართკუთხედებით) შედარებით ინტენსიური სახით აღინიშნება 2012-2013 წლებისა და 2016 წლის დეკემბრის ფოტოებზე;
4. 2016 წლის მარტისა და 2016 წლის დეკემბრის ფოტოებზე, რადიკალური ცვლილება აღინიშნება ჩრდილოეთ კედლის აღმოსავლეთ ნაწილის ქვედა მონაკვეთსა და ცენტრალური ნაწილის, მარცხენა ქანობის კარნიზის ქვემოთ (მონაკვეთები აღნიშნულია ლურჯი ფერის მართკუთხედით) მუქი ფერის „ლაქების“ სახით.




ფოტოების წყარო:

- თამარ მელივას პირადი არქივი
- იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო)

ექსტერიერი - ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე

ქვემოთ მოცემულ ფოტოებზე, წითელი მართკუთხედით მონიშნულია მონაკვეთი, სადაც, ვიზუალური დაკვირვებით, განირჩევა განსხვავება (მოცემული მონაკვეთი ასევე განხილულია პირველ გვერდზე).

2016 წლის დეკემბერი



2020 წლის 17 ივნისი




დასავლეთი ფასადი

სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, ფასადსა და გუმბათზე, ყვითელი ფერის მარტკუთხედებით მონიშნულია ის მონაკვეთები, სადაც ვიზუალურად განირჩევა განსხვავება, თითქოს, შავი ფერის „ლაქები“-ს ფართობი მომატებულია 2020 წლის 17 ივნისს გადაღებულ ფოტოზე.

2010 წ.



2020 წლის 17 ივნისი



აღმოსავლეთი ფასადი

აღმოსავლეთი ფასადის ზედა ნაწილსა და გუმბათის აღმოსავლეთ წახნაგებზე თვალით ხილული ცვლილება არ აღინიშნება.

2019 წლის აპრილი



2020 წლის 17 ივნისი




სამხრეთი ფასადი

სამხრეთ ფასადის საარქივო ფოტოების არ არსებობის გამო, შეუძლებელი იყო მდგომარეობის შედარებითი მონიტორინგის წარმოება, თუმცა 2020 წლის 17 ივნისის მდგომარეობით, ფასადის ცენტრალურ ნაწილში (და ლოკალურად სხვადასხვა მონაკვეთში) აღინიშნება:

1. შავი ფერის, დიდი ზომის „ლაქა“ კედლის ქვედა ნაწილში (ფოტოებზე აღნიშნულია ლურჯად)
2. ქვის წყობაზე არსებული ბზარები და ნაკერის გახსნილობები (ფოტოებზე აღნიშნულია წითლად)
3. ქვების შეერთების ადგილებში გაზრდილი მცენარე (ფოტოებზე აღნიშნულია ყვითლად)
4. კარნიზებზე არსებული თეთრი ნადები და გამუქებული ადგილები (აღნიშნულია წითელი ისრებით)

სამომავლოდ, აუცილებელია, სამხრეთ ფასადის მდგომარეობის მონიტორინგის წარმოება.




სამხრეთი და აღმოსავლეთი ფასადები

ქვემოთ (მაგალითის სახით) წარმოდგენილია სამხრეთი და აღმოსავლეთი ფასადების კარნიზებზე არსებული თეთრი ნადები და გამუქებული ადგილები (აღნიშნულია წითელი ისრებით)

სამომავლოდ, აუცილებელია, ყველა ფასადის კარნიზების მდგომარეობის მონიტორინგის წარმოება.


17 ივნისი 2020



17 ივნისი 2020




17 ივნისი 2020



17 ივნისი 2020



ზემოთ წარმოდგენილია აღმოსავლეთ ფასადის ფოტო. მარცხნივ წარმოდგენილია აღმოსავლეთ ფასადის დეტალები.



მარცხნივ წარმოდგენილია სამხრეთ ფასადის ზოგადი ფოტო (მარცხნივ) და დეტალი (მარჯვნივ).

აღმოსავლეთი ფასადი

აღმოსავლეთ ფასადის საარქივო ფოტოების არ არსებობის გამო, შეუძლებელი იყო მდგომარეობის შედარებითი მონიტორინგის წარმოება, თუმცა **სამომავლოდ, აუცილებელია, აღმოსავლეთ კედლის, ჩრდილოეთ და სამხრეთ მკლავებსა და სამკვეთლო-სადიაკვნესთან შეერთების ადგილების მდგომარეობის მონიტორინგის წარმოება.**

17 ივნისი 2020



17 ივნისი 2020



17 ივნისი 2020



17 ივნისი 2020




17 ივნისი 2020




აღმოსავლეთი მკლავი

წმ. გიორგის ეკლესია
აღმოსავლეთი ხედი
Church of St. George
East View scale 1:75



სტადია	გეგმა	მასშტაბი	1:75
პროექტი	საქ. არქიტექტორი	საქ. არქიტექტორი	საქ. არქიტექტორი
საქ. არქიტექტორი	საქ. არქიტექტორი	საქ. არქიტექტორი	საქ. არქიტექტორი
საქ. არქიტექტორი	საქ. არქიტექტორი	საქ. არქიტექტორი	საქ. არქიტექტორი



ვიზუალური დაკვირვებით თვალით ხილული შესაძლო განსხვავება შეინიშნება

2017-18 წლის მიჯნა



22 მაისი 2020



17 ივნისი 2020




ალმოსავლეთი მკლავი, ბემა (ჩრდილოეთის მხარე)


იმის დასადგენად, არის თუ ინტერიერში არსებული კედლის მხატვრობის დაზიანების გამომწვევი მიზეზი ეკლესიის ექსტერიერის მხრიდან წარმოდგენილი დაზიანების პროცესის სავარაუდო მონაკვეთები, აუცილებელია, ფასადების მდგომარეობის მონიტორინგის წარმოება.



წმ.გიორგის ეკლესია
ალმოსავლეთი ხედი
Church of St. George
East View scale 1:75



ჩრდილოეთ მკლავი



ჩრდილოეთი მკლავის აღმოსავლეთი კედელი

ვიზუალური დაკვირვებით თვალით ხილული შესაძლო განსხვავება შეინიშნება

2017-18 წლის მიჯნა



22 მაისი 2020




17 ივნისი 2020





ჩრდილოეთი მკლავის აღმოსავლეთი კედელი

ჯვარცმის სცენაზე წარმოდგენილი დაზიანების ორი მონაკვეთის მაკრო ფოტოები, გადაღებული 2020 წლის 17 ივნისს.



ჩრდილოეთი მკლავის აღმოსავლეთ კედელი

იმის დასადგენად, არის თუ ინტერიერში არსებული კედლის მხატვრობის დაზიანების გამომწვევი მიზეზი ეკლესიის ექსტერიერის მხრიდან წარმოდგენილი დაზიანების პროცესის სავარაუდო მონაკვეთები, აუცილებელია, ფასადების მდგომარეობის მონიტორინგის წარმოება.




ვიზუალური დაკვირვებით თვალით ხილული განსხვავება შეინიშნება

2017-18 წლის მიჯნა



22 მაისი 2020




17 ივნისი 2020



ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთი კედელი

იმის დასადგენად, არის თუ ინტერიერში არსებული კედლის მხატვრობის დაზიანების გამომწვევი მიზეზი ეკლესიის ექსტერიერის მხრიდან წარმოდგენილი დაზიანების პროცესის სავარაუდო მონაკვეთები, აუცილებელია, ფასადების მდგომარეობის მონიტორინგის წარმოება.



2017-18 წლის მიჯნა



22 მაისი 2020



17 ივნისი 2020



სამხრეთი მკლავის სამხრეთი კედელი




ქტიტორის ფიგურა, ფოტოები გადაღებულია პირდაპირი (მარცხნივ) და გვერდითი განათების (შუაში და მარჯვნივ) დახმარებით, 2020 წლის 18 ივნისს.



სამხრეთი მკლავის სამხრეთი კედელი

ფასადზე მონიშნულია დაზიანების გამომწვევი სავარაუდო წყარო: დაზიანებული კედლის მხატვრობის მოპირდაპირე მხარეს, ფასადის მხრიდან, კედლის თითქმის მთელ სიმაღლეზე შეინიშნება წყობის ნაკერების გახსნილობა, ხოლო კედლის შუაწელზე ერთი ქვა დაძრულია და გადმოწეულია ფასადის სიბრტყიდან დაახლოებით 5-10სმ. სავარაუდებელია, რომ სახურავიდან გადმოსული წყალი ხვდება გამოწეულ ქვაზე და მიუყვება გახსნილ ნაკერებს, საიდანაც შესაძლოა ხდებოდეს წყლის ინფილტრაცია ინტერიერში.

იმის დასადგენად, არის თუ ინტერიერში არსებული კედლის მხატვრობის დაზიანების გამომწვევი მიზეზი ეკლესიის ექსტერიერის მხრიდან წარმოდგენილი დაზიანების პროცესის სავარაუდო მონაკვეთები, აუცილებელია, ფასადების მდგომარეობის მონიტორინგის წარმოება.



ვიზუალური დაკვირვებით თვალით ხილული მცირე განსხვავება შეინიშნება

2017-18 წლის მიჯნა



22 მაისი 2020



17 ივნისი 2020



სამხრეთ-დასავლეთი კამარა, სამხრეთი მხარე

22 მაისი 2020



17 ივნისი 2020





წმ. გიორგის წამება ურმის თვალზე, ფოტოები გადაღებულია პირდაპირი განათების დახმარებით, 2020 წლის 17 ივნისს. სავარაუდოა, რომ მოცემულ მონაკვეთში თეთრი ფერის მონაკვეთს გარშემო ჰქონდა მუქი ფერის ქიმი, რომელიც დღეს ჩამოვარდნილია.

17 ივნისი 2020



დასავლეთი მკლავი

წმ. გიორგის ეკლესიის
სამხრეთი ხედი
Church of St. George
South View scale 1:75



2017-18 წლის მიჯნა



22 მაისი 2020





17 ივნისი 2020



დასავლეთი მკლავი, სამხრეთი კედელი (კამარა)

იმის დასადგენად, არის თუ ინტერიერში არსებული კედლის მხატვრობის დაზიანების გამომწვევი მიზეზი ეკლესიის ექსტერიერის მხრიდან წარმოდგენილი დაზიანების პროცესის სავარაუდო მონაკვეთები, აუცილებელია, ფასადების მდგომარეობის მონიტორინგის წარმოება.



ხარაჩოდან, ვიზუალური დაკვირვებით, მხატვრობის ზედაპირი დაფარული სხვადასხვა სისქის მარილის კრისტალებით. ფოტოები გადაღებულია 2020 წლის 19 ივნისს.



მონასტრის წევრებისა და დამხმარეების თქმით, გუმბათქვეშა სივრცეში, სამხრეთ-დასავლეთ ბურჯთან და ჩრდილოეთ კედლის აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკზე მუდმივად აღინიშნება, ძალიან წვრილი, ჩამოცვენილი ნაწილაკები.

მოცემულ მონაკვეთში აღმართული ხარაჩოს დამხარებით, მოხდა გუმბათის ყელის ქვედა ნაწილისა და აფრების უფრო ახლოდან დათვალიერება, პირდაპირი და გვერდითი განათების დახმარებით და გამოითქვა ვარაუდი, თუ საიდან შეიძლება ხდებოდეს მოცემული ნაწილაკების ჩამოცვენა.



სამხრეთ-დასავლეთი აფრა

ხარაჩოვან, ვიზუალური დაკვირვებით, სამხრეთ დასავლეთ აფრის ქვედა ნაწილში, წითელი ფერის არშიაზე, აღინიშნება ნალესობის ორი დანაკარგი, რომელთა მდგომარეობა არასტაბილურია. ფოტოები გადაღებულია 2020 წლის 19 ივნისს.



ზემოთ: სამხრეთ-დასავლეთი აფრა.

მარჯვნივ და შუაში: სამხრეთ-დასავლეთი აფრის ქვედა ნაწილი, რომელზეც აღნიშნულია მარჯვნივ წარმოდგენილი მაკრო ფოტოს მდებარეობა.



ხარაჩოვან, ვიზუალური დაკვირვებით, მხატვრობის ზედაპირი დაფარული სხვადასხვა სისქის მარილის კრისტალებით. ფოტოები გადაღებულია 2020 წლის 19 ივნისს.



ზემოთ: ჩრდილო-დასავლეთ აფრა.

მარჯვნივ და შუაში: ჩრდილო-დასავლეთ აფრის დეტალები, სადაც აღინიშნება მარილის კრისტალები (აღნიშნულია ყვითელი ფერის მართკუთხედებით).



სამხრეთ-დასავლეთი აფრა

ხარაჩოდან, ვიზუალური დაკვირვებით, მხატვრობის ზედაპირი დაფარული სხვადასხვა სისქის მარილის კრისტალებით (აღნიშნულია ყვითელი ფერის მარტკუთხედებით). ფოტოები გადაღებულია 2020 წლის 19 ივნისს.



გელათის დაავითის კარიბჭე

კედლის მხატვრობის მდგომარეობის
შედარებითი ანალიზი

ანგარიში N9

სპეციალისტები:

თამარ მელივა - იუნესკოსა და საერთაშორისო
ურთიერთობის სამსახური (არქიტექტურის
კონსერვაციის სპეციალისტი)

მარიამ საღარაძე - ძეგლთა რეაბილიტაციის სამსახური
(კედლის მხატვრობის კონსერვაციის სპეციალისტი)

გვანცა (ტასო) ფოცხიშვილი - კედლის მხატვრობის
კონსერვაციის მოწვეული სპეციალისტი

16-19 ივნისის მისია

საპარტოველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY FOR
CULTURAL HERITAGE
PRESERVATION OF GEORGIA

დავითის კარიბჭე - შეჯამება

დავითის კარიბჭის მოხატულობის შესწავლამ, რომელიც ითვალისწინებდა შედარებითი ანალიზის განხორციელებასა და ადგილზე დაკვირვებებს, გამოავლინა, რომ 2017 წლის შემდგომ მხატვრობის მდგომარეობა არ გაუარესებულა, რაც მიუთითებს დაზიანების სტაბილურობაზე.

აღსანიშნავია, რომ დავითის კარიბჭის აღმოსავლეთი კედლის ქვედა დონეზე დიდი რაოდენობით გამომარჩილება შეინიშნება, რაც 2020 წლის 30 აპრილის ანგარისში აღინუსხა.

(დეტალური ინფორმაცია იხილეთ 20200430 მისიის ანგარისში).

გამომარჩილება მიუთითებს დამაზიანებელი წყაროს არსებობასა და მხატვრობის დაზიანების სამომავლო რისკებზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით აუცილებელია გაგრძელდეს მონიტორინგი.



დავითის კარიბჭე, სამხრეთი ხედი
17 ივნისი, 2020 წ.



დავითის კარიბჭე, ჩრდილოეთი ხედი
17 ივნისი, 2020 წ.



2017-18 წლის მიჯნა



17 ფებრისი 2020



2017-18 წლის მიჯნა



17 ივნისი 2020

დაილაპარაკე



2017-18 წლის მიჯნა



17 ივნისი 2020



2017-18 წლის მიჯნა



17 ივნისი 2020



2017-18 წლის მიჯნა



17 ივნისი 2020



2017-18 წლის მიჯნა



17 ივნისი 2020



2017-18 წლის მიჯნა



17 ივნისი 2020



2017-18 წლის მიჯნა



17 თებერვალი 2020



2017-18 წლის მიჯნა

17 ივნისი 2020

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სამუშაო
ჯგუფის მივლინება მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე „გელათის მონასტერი“,
ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ გამოვლენილი ხარვეზების
შესაფასებლად

11 მარტი, 2020 წელი



საველე დათვალიერების ანგარიში

საპარტოვიდოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY FOR
CULTURAL HERITAGE
PRESERVATION OF GEORGIA

შინაარსი

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა	3
კონტექსტი	4
საველე დათვალიერების შედეგები	5
გადახურვა	5
დასავლეთ მკლავის კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეფასება	14
ხარაჩო	15
არქეოლოგია	16
კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს ადრექრისტიანული და შუასაუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სექციის წევრების შეფასებები	17
კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს ადრექრისტიანული და შუასაუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სექციის დასკვნა	20
რეკომენდაციები	22
დანართი	25
დასავლეთ მკლავის კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეფასება 2020 წ. 11 მარტის მდგომარეობით	25

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა

ეროვნული სააგენტოს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა:

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები:

ნიკოლოზ ანთიძე - გენერალური დირექტორი;

პაატა გაფრინდაშვილი - გენერალური დირექტორის მოადგილე;

დავით ტყეშელაშვილი - კულტურული მემკვიდრეობის ინსპექცია;

ნიკოლოზ ზაზუნაშვილი - კულტურული მემკვიდრეობის ინსპექცია;

გიორგი გაგოშიძე - კულტურული მემკვიდრეობის კვლევის სამსახური;

ბექა ბარამიძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;

მანანა ვარმელაშვილი - UNESCO-სა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;

თამარ მელივა - UNESCO-სა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;

ანა გვენეტაძე - UNESCO-სა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;

თინათინ ცისკარიძე - ნებართვებისა და ექსპერტიზის სამსახური;

მარიამ საღარაძე - ძეგლთა რეაბილიტაციის სამსახური;

როლანდ ისაკაძე - ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი;

შალვა ბუაძე - ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი.

- კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს წევრები:

მიხეილ გელაშვილი, არქიტექტორ-რესტავრატორი;

ნანა ინჭვირველი, არქიტექტორ-რესტავრატორი;

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს შემდეგი ინსტიტუციების წარმომადგენლებმა:

- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი - სამუშაოების ნაწილის დამფინანსებელი;
- ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი - სამუშაოების შემსრულებელი;
- საქართველოს მემკვიდრეობა - პროექტის შემსრულებელი;



კონტექსტი

2020 წლის ზამთარში, მცირე ყინვის შემდეგ, გელათის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის გადახურვა, კერძოდ კი თეთრი კერამიკით დამზადებული მოჭიქული კრამიტი, დაზიანდა. ამასთან, მიმდინარე წლის თებერვალში ეროვნულ სააგენტოში შემოვიდა ინფორმაცია, რომ გარდა დაზიანებული გადახურვისა, ტაძარში, კონკრეტულად კი დასავლეთ მკლავში წყალი ჩადის და ზიანდება კედლის მხატვრობა. ეროვნული სააგენტოს მოთხოვნით ა(ა)იპ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა ხარაჩო მოაწყო ტაძრის ინტერიერში - დასავლეთ მკლავის სამხრეთ მხარეს, და ასევე, სეგმენტურად ექსტერიერში სამხრეთ ფასადზე.

მდგომარეობის შეფასების მიზნით, 2020 წლის 11 მარტს მოეწყო, ეროვნული სააგენტოს სამუშაო ჯგუფის გასვლითი მისია გელათის მონასტერში, ღვთისმშობლის სახელობის ტაძარზე ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ გამოვლენილი ხარვეზების შესაფასებლად და განსახილველად. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორმა, გენერალური დირექტორის მოადგილემ, შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა და ასევე, კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს ადრექრისტიანული და შუასაუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სექციის წევრებმა, პროექტის საავტორო ჯგუფმა, შემსრულებელი კომპანიის, და მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლებმა.

2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით ა(ა)იპ საქართველოს მემკვიდრეობამ შეიმუშავა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის, გელათის მონასტერის კონსერვაციის მართვის გეგმა და შესაბამისი პროექტები კომპლექსში შემავალი შენობებისა და არქეოლოგიის რეაბილიტაცია-კონსერვაციისათვის. 2015 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ა(ა)იპ საქართველოს მემკვიდრეობის თანამშრომლობით განახლდა აღნიშნული კონსერვაციის მართვის გეგმა და პროექტების ნაწილი. პროექტები 2010 და 2015წ.წ. მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის აღსრულების სახელმძღვანელო პრინციპების 172-ე პარაგრაფის შესაბამისად შეთანხმებულ იქნა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრსა და იკომოსთან.

თანმდევად, 2010 წლიდან, სხვადასხვა დონორის დახმარებით, პროექტის ეტაპობრივი განხორციელება დაიწყო. მათ შორისაა ის სამუშაოები, რომელიც დაკავშირებულია კომპლექსის აღნიშნულ პრობლემურ საკითხებთან, კერძოდ: ა(ა)იპ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა 2013-2018 წ.წ. აშშ-ს ელჩის ფონდის დაფინანსებით (გრანტის ნომერი S-LMAQM-13-GR-038) განახორციელა გელათის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის გადახურვების და კარნიზების რეაბილიტაცია, ამასთან, 2018-2019 წ.წ. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით (ხელშეკრულების N IDA/RDPII/CW/NCB/18-2017) განახორციელა გელათის ღვთისმშობლის ტაძრის ეკვდერების გადახურვის, ცოკოლის და სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაცია, და ტაძრის ჩრდილოეთ მკლავში არსებული კედლის მხატვრობის გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოები.

შენიშვნა: მდგომარეობის პირველადი შეფასების მიზნით, ეროვნული სააგენტოს სამუშაო ჯგუფის საველე გასვლამდე, ა(ა)იპ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა

თებერვალშივე უზრუნველყო ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ექსტერიერის გადაღება დრონის საშუალებით. გადაღებული მასალა გამოყენებულ იქნა წინამდებარე ანგარიშის მომზადების პროცესში.


საველე დათვალიერების შედეგები

გადახურვა

➤ კრამიტის დაზიანება

პროექტების ფარგლებში, კომპლექსში შემავალ ღვთისმშობლის სახელობის ტაძარზე არსებული თუნუქის გადახურვა მთლიანად შეიცვალა მოჭიქული კრამიტით, გარდა ჩრდილოეთ მინაშენის დასავლეთ ნაწილისა, სადაც თუნუქის გადახურვის მოხსნის შემდეგ ლორფინის გადახურვა დადასტურდა.

სამუშაოების მიმდინარეობისას, კერძოდ 2018 წელს შემსრულებელმა შეცვალა კრამიტის მწარმოებელი, რომელმაც კრამიტი განსხვავებული მასალით - თეთრი კერამიკით დაამზადა. აღნიშნული კრამიტები ძირითადად გამოყენებულია მთავარი ტაძრის გარსშემოსავლელებისა და ეკვდერების გადახურვებზე. საველე დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ სწორედ აღნიშნული კრამიტია დაზიანებული იანვარ-თებერვალში დაფიქსირებული მცირე ყინვისა (მინიმალური ნიშნული 10-11 თებერვალი -5°C) და დღე-ღამის მანძილზე ტემპერატურული სხვაობის შემდეგ.



2020 წლის თებერვლის ტემპერატურული გრაფიკი

წყარო: <https://www.accuweather.com/en/ge/gelati/169056/february-weather/169056?year=2020>

ადგილზე მოხდა გადახურვების ახლოდან დათვალიერება (სამხრეთ ფასადის დასავლეთ მონაკვეთში). კრამიტის მდგომარეობა ძალიან მძიმეა: აქერცლილი და ზოგან

მოშორებულია ჭიქური ფენა; დაზარალი და დატეხილია კრამიტები; გაშიშვლებულია გადახურვის კირის დულაბი.



აღნიშნული დაზიანებები ძირითადად გავრცელებულია ზედა, ღარიან კრამიტებზე, ანტეფიქსებზე და ლავგარდანზე მოსაწყობ, ე.წ. ფარდისებრ კრამიტებზე.




მართალია ხარაჩოს არქონის გამო სამუშაო ჯგუფს არ მიეცა გადახურვის ახლოდან სრულად დათვალიერების შესაძლებლობა, თუმცა შორიდან დაკვირვებითაც ჩანს რომ აღნიშნული დაზიანებები ვრცელდება ტაძრის ყველა მხარეს, სადაც გამოყენებულია თეთრი კერამიკით დამზადებული კრამიტი. თუმცა, ყველაზე მძლავრად დაზიანებულია სამხრეთი მხარე, სადაც ტემპერატურული სხვაობა უფრო დიდია.



იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მიუხედავად გადახურვის მოწყობის იდენტური ტექნიკისა, მსგავსი დაზიანებები არ აღინიშნება წითელი კერამიკით დამზადებულ კრამიტებზე, სავარაუდებელია, რომ თეთრი კერამიკით დამზადებული ფიზიკო-მექანიკური მახასიათებლები განსხვავებულია, რამაც გამოიწვია აღნიშნული დაზიანებები. საჭიროა ლაბორატორიულად მოხდეს კრამიტების შედარება და მათი ფიზიკო-მექანიკური მახასიათებლების შედარება, რათა სამომავლოდ თავიდან იქნეს არიდებული შეცვლილი კრამიტების შემდგომი დაზიანება.

➤ **გადახურვის ტექნიკური ხარვეზები**

- კრამიტების გადაბმის ადგილას წარმოქმნილი ნაკერები შევსებულია კირის დულაბით, რომელიც ზოგ ადგილას უკვე ამოცვენილია, საიდანაც დროთა განმავლობაში შესაძლებელია შეიქმნას წყლის ინფილტრაციის პრობლემა. შესაბამისად, საჭიროა ნაკერების ალტერნატიული მეთოდით/მასალით შევსების განხილვა და შემდეგ შევსება;



- ზოგ ადგილას კრამიტების გადაბმის ადგილას წარმოქმნილი ნაკერები შევსებული არ არის. რამაც შეიძლება შემდგომში წყლის ინფილტრაციის პრობლემა შექმნას.



წყარო: თებერვალში ა(ა)იპ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მიერ დრონით გადაღებული მასალა

- კრამიტების გადაბმის ადგილას წარმოქმნილი ნაკერები შევსებულია კირის დულაბით. ზოგ ადგილას სამუშაო სუფთად არ არის შესრულებული და დასვრილია კრამიტები.



წყარო: თებერვალში ა(ა)იპ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მიერ დრონით გადაღებული მასალა

- ზოგან, კრამიტების გადაბმის ადგილას წარმოქმნილი ნაკერებზე კირის დულაბი დაფერილია მკვეთრი მწვანე ფერის საღებავით. აუცილებელია ამ შევსებების მოხსნა და ხელახლა შევსება კირის დულაბით;




წყარო: თებერვალში ა(ა)იპ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მიერ დრონით გადაღებული მასალა

- კრამიტები დულაბში ჩამაგრებულია უჟანგავი ლითონის სამსჭვალეებით, თუმცა უმეტეს შემთხვევაში სამსჭვალეები უკვე დაჟანგულია. ჟანგვის პროცესის პროგრესირებამ შესაძლოა გამოიწვიოს კრამიტების შემდგომი დაზიანება. შესაბამისად, საჭიროა დაჟანგული სამსჭვალეების შეცვლა.



- პროექტის მიხედვით, ლავგარდანზე მოსაწყობ, ე.წ. ფარდისებრ კრამიტსა და ზედა, ბრტყელ კრამიტს შორის საცრემლე უნდა მოწყობილიყო იმგვარად, რომ უკანასკნელი, ბრტყელ კრამიტიდან უნდა იყოს გამოცდენილი რამდენიმე სანტიმეტრით.



თუმცა ადგილზე დათვალიერებისას ჩანს, რომ უმეტეს შემთხვევაში საცრემლე მოწყობილია ბრტყელი კრამიტის პირის შიგნით, ხოლო ზოგ ადგილას საერთოდ არაა მოწყობილი.



- ვიზუალური დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ კედელისა და გადახურვის შეპირაპირების ზოგ ადგილას ბზარია გაჩენილი, რაც ხშირ შემთხვევაში არასათანადოდ დამუშავებული შევსებების გამო უნდა იყოს. ამ ბზარებიდან შესაძლებელია შეიქმნას წყლის ინფილტრაციის პრობლემა. ეს მონაკვეთები არც სპეციალური ჰიდროსაიზოლაციო მასალითაა დამუშავებული.




წყარო: თებერვალში ა(ა)იპ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მიერ დრონით გადაღებული მასალა

- აფსიდების გადახურვებზე, ნაცვლად სპეციალური გადამყვანების როგორც ეს გუმბათზეა, კრამიტების შეპირაპირების ადგილას გამოყენებულია გადაჭრილი კრამიტები.



წყარო: თებერვალში ა(ა)იპ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მიერ დრონით გადაღებული მასალა

- ვიზუალურ დათვალიერებით ჩანს, რომ ზოგ ადგილას კედლები და კარნიზები სველდება. შედეგად, ეს ადგილები ფერშეცვლილია, ზოგან კი გამომარილების კვალიც ჩანს. სავარაუდოდ, წყლის ინფილტრაცია გაუმართავი გადახურვიდან უნდა ხდებოდეს. პრობლემის მიზეზის დასადგენად აუცილებელია შესაბამისი კვლევების ჩატარება და შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრა.



დასავლეთ მკლავის კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეფასება

მთავარი ტაძრის დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედლის მხატვრობის ზედა რეგისტრის შესწავლის მიზნით აიგო ხარაჩო. ხარაჩოს მეშვეობით მხატვრობის ვიზუალური დაკვირვება ახლოდან მოხდა. ვიზუალურ დაკვირვებაზე დაყრდნობით კედლის მხატვრობის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. გამოვლენილია დაზიანებათა მრავალი სახე. დაკვირვების შედეგად, დაზიანების ხარისხზე დაყრდნობით, მოხდა დაზიანებათა კატეგორიზაცია მათი სტრატეგრაფიისა და სახეობების მიხედვით და მნიშვნელოვანი დაზიანებების ანგარიში წარმოდგენა (იხ. დანართი).

კედლის მხატვრობის დაზიანებები მოიცავს: **საფუძვლის ფენის** გაფხვიერებას; **ნალესობის ფენის** დანაკარგს, ამოტეხვებს, განშრევენებს და გაფხვიერებას; **ფერწერული ფენის** დანაკარგს, აქერცვლასა და გაფხვიერებას; **წინა პერიოდის სარესტავრაციო ჩარევის დაზიანების მაგალითია** შევსებებისა და ქიმის დანაკარგი, განშრევენა, გაფხვიერება. აღსანიშნავია **დაზიანების ყველაზე მწვავე და გავრცელებული ტიპი - გამომარილება.**

თეთრი ფერის ნადები სტრატეგრაფიის ყველა ფენასა და წინა პერიოდის საკონსერვაციო ჩარევაზე გვხვდება. თეთრი ფერის ნადები სავარაუდოდ მარილის კრისტალებია. ძირითადად ორი ტიპის გამომარილებას ვხვდებით.

1. ნაფიფქი - ფაფუკი მასა, რომელიც ახლად გამომარილებულია. ამგვარ გამოკრისტალებას ვხვდებით საკვლევი მოცულობის აღმოსავლეთ კიდეში, მცირე რაოდენობით ლოკალურად.
2. მყარი კრისტალური ფენა - ფუფხვიით, ქერქისებრი შედარებით სქელი კრისტალური მასა, რომელიც ნადებივით ედება ზედაპირს. აღნიშნული ტიპის გამომარილება კრისტალის სტრუქტურულიდან/სიმტკიცეიდან გამომდინარე შედარებით ძველია.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 11 მარტს, **კედლის მხატვრობის ფენები სველი იყო.** იდენტიფიკაციის მიზნით შეირჩა ადგილები, რათა დადგენილიყო კედლის მხატვრობაზე ტენის შემცველობა. სველი ზედაპირი არამხოლოდ ხელის შეხებით განირჩეოდა, არამედ ორიგინალი ტექნოლოგიისა და მოგვიანო დანამატების ფერის ცვლილებით. განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ნალესობის ფენაში არსებული მაღალი ტენიანობა, რომელიც ასევე გამოხატა თეთრი ორიგინალი ტექნოლოგიის სიყვითლეში გადასვლით. წინა პერიოდის სარესტავრაციო ჩარევისას გაკეთებული ქიმებისა და შევსებების ფერი სისველისგან მნიშვნელოვნად გამუქებულია. დაზიანებათა ვიზუალური დოკუმენტაცია მოცემულია დანართის სახით.

კედლის მხატვრობისა და ფასადის ვიზუალურ დაკვირვებაზე დაყრდნობით (მარილის ნაფიფქისა და მყარი ნადების არსებობით) შესაძლოა ითქვას რომ მხატვრობის დაზიანებების პროცესი აქტიურია. შესაბამისად, პირველ რიგში, აუცილებელია გაირკვეს დაზიანების მიზეზი და აქტივიზაციის მექანიზმი.

ძეგლის ვიზუალური შესწავლის საფუძველზე მხატვრობის დამაზიანებელ ფაქტორთან და აქტივიზაციის მექანიზმთან დაკავშირებით შესაძლოა შემდეგი წინასწარული ვარაუდის გამოთქმა:

პრობლემა: შელესილობის ფენის, ფერწერული ფენისა და საკონსერვაციო ხსნარის დანაკარგი, განშრევა, გაფხვიერება. შელესილობის სისველე.

დაზიანების მიზეზი: წყლის/ტენის სტრატეგიაში აკუმულირება. წყლის სავარაუდო წყაროდ შეიძლება გაუმართავი სახურავი განვიხილოთ. სავარაუდოდ, კრამიტსა და ქვის კედელს შორის ბმებიდან წყლის ინფილტრაცია ხდება. ასევე წყლის წყაროდ შესაძლოა გადახურვის დროს გამოყენებული/აკუმულირებული წყლის მიგრაციის პროცესი განვიხილოთ. წყლის მიგრაცია ინტერიერში არსებული მხატვრობის ზედა ფენებისკენაა მიმართული.

დაზიანების მიზეზია მარილების არსებობაც. წყლის ტაძრის სტრუქტურაში არსებობა იწვევს ადვილად ხსნადი მარილის იონების მობილობას ზედაპირისკენ. ჰეტეროგენიულ ფორიან მასალაში, მარილის იონების მქონე წყლის (ორთქლის ან სითხის სახით) მიგრაციის პროცესი ორიგინალი ტექნოლოგიის მასალის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლოა ნელა მიმდინარეობდეს.

დაზიანების აქტივიზაციის მექანიზმი: ინტერიერში არსებული არასტაბილური გარემო. გარემოში ტენიანობის ცვალებადობა ხსნადი მარილების კრისტალიზაციაზე მოქმედებს. კრისტალის მოცულობაში ცვლილება (გამყარება და დნობა) შელესილობისა და ფერწერული ფენის შიდა კოჰიზიის რღვევას და/ან ადჰიზიური კავშირის დაკარგვას იწვევს.

ჰიპოთეზა საჭიროებს რელევანტური კვლევების გახორციელებას და თეორიის დამტკიცებას ან უარყოფას.

ხარაჩო

ტაძარზე მოწყობილი დროებითი სეგმენტური ხარაჩო არამყარ და არასაიმედოა, არ არის საკმარისი ფენილები, მოაჯირები, საყრდენები მტვრისგან დამცავი ბადეები. ის არ შეესაბამება შრომის უსაფრთხოების სტანდარტებს.



არქეოლოგია

გელათის მონასტრის კომპლექსის ტერიტორიაზე სხვადასხვა პერიოდში ჩატარდა არქეოლოგიური კვლევა, რომლის ნაწილის კონსერვაცია დასრულდა, ნაწილი კი ჯერჯერობით იწმინდება და საჭიროებს გადაუდებელ საკონსერვაციო ქმედებებს. წმ. გიორგის ტაძრის მიმდებარედ ამჟამად მიმდინარეობს სადრენაჟე სისტემის მოწყობის პროცესში გამოვლენილი მრავალფენიანი არქეოლოგიური ობიექტის შესწავლა. ამ ეტაპზე დაგეგმილია არქეოლოგიური კვლევის გაგრძელება. მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის დაცვის უზრუნველსაყოფად, შემდგომი არქეოლოგიური კვლევისთვის აუცილებელია გადაისინჯოს და განახლდეს 2008-2009 წლებში დამუშავებული გელათის არქეოლოგიურად პერსპექტიული ზონების რუკა, შემუშავდეს დეტალური პროექტი, გეგმა და გრაფიკი, რომელიც მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის აღსრულების სახელმძღვანელო პრინციპების 172-ე პარაგრაფის შესაბამისად წინმსწრებად განსახილველად უნდა წარედგინოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრსა და იკომოსს.



კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს ადრექრისტიანული და შუასაუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სექციის წევრების შეფასებები

სექციის წევრი

2020 წლის 11 მარტს დაგეგმილი გასვლითი საბჭო მოწვეულ ექსპერტებთან და სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად იმყოფებოდა ტყიბულის მუნიციპალიტეტში, გელათის სამონასტრო კომპლექსში, მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის შესრულებული და მიმდინარე სარეაბილიტაციო ფიზიკური სამუშაოების შესაფასებლად, პრობლემური კვანძების გადაწყვეტისა და ტრადიციული თუ ახალი მეთოდების დასაწერად.

ზოგადი შენიშვნები და გასათვალისწინებელი გარემოებები:


1. პრობლემატურია კრამიტით გადახურვის (საბურველის) საკითხი, ტაძრის კალთები დახურულია უხარისხო კრამიტით, რომელთაც დაწყებული აქვთ განშრევა და შესაბამისად აქერცვლა (იხ. სურ. N1).



სურ. 1. დაზიანებული კრამიტის ფრაგმენტი

სასურველია შეიცვალოს დაზიანებული ნაწილი, რაც ვფიქრობ უფრო მასშტაბურ სამუშაოს გულისხმობს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს;

2. ასევე პრობლემატურია გარკვეულ ლოკაციებზე წყლის ჩადინების საკითხი, რაც, ვფიქრობ გამოიწვია გადახურვასა და კედლებს შორის კავშირის დარღვევამ, ჩვენი სპეციალისტების მიერ მოხდა ადგილზე დათვალიერება და „ნაკერების“ შემოწმება, რაც არასწორადაა შესრულებული (სურ. N2-3);



სურ. 2 გადახურვების პრობლემური ადგილები



სურ. 3. სპეციალისტები ადგილზე შესწავლის დროს

3. სასურველია გაჩნდეს ჟოლობები, რაც დაეხმარება წყალს მიმართულების მიღებაში, შესაბამისად ზედმეტი წყალი არიდებულ იქნება კედლებიდან, სადაც ამოგოზვა შესრულებულია კედლებისკენ დახრით - რაც შეცდომაა;
4. წარმოების დროს დაშვებულმა შეცდომებმა მიგვიყვანა კიდევ უფრო სიღრმისეულ პრობლემებამდე, დასველებული კედლებიდან წყალი ჟონავს ინტერიერში და დაზიანებულია მხატვრობა (იხ. სურ. N4).



სურ. 4. დაზიანებული კედლის მხატვრობა

დასკვნა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწვეული ადგილობრივი თუ საერთაშორისო ექსპერტთა საექსპერტო დასკვნების საფუძველზე, განხორციელდეს სარეაბილიტაციო ფიზიკური სამუშაოების წარმოება და აუცილებელ პირობად განისაზღვროს მუდმივი საავტორო და საექსპერტო მეთვალყურეობა;

სექციის წევრი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თხოვნით ა.წ. 11 მარტს ამავე უწყების კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს ადრექრისტიანული და შუასაუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სექციის წევრები ვიმყოფებოდით გელათის მონასტერში; საკითხი ეხებოდა ტაძრსა და მთლიანად კომპლექსზე ბოლო დროს განხორციელებულ სამუშაოებს, ძირითადად აქცენტი იყო ტაძრის დასავლეთ კამარაში წყლის ჩამოდინება და ნესტის სავარაუდო არსებობა.

უშუალოდ ადგილზე დათვალიერებისას ინტერიერში აღმოჩნდა დაახლოებით 10-15 კვმ-ზე სინესტე და გამომარილება, ზოგიერთ ადგილებში ნალესობა მხატვრობასთან ერთად დაცილებულია კამარის ზედაპირს. გუმბათის ყელის მიდამოებში დასავლეთი ფსადის მხრიდან აფრებს შორის ვერტიკალურ კედელსა და კამარის კალთებთან შეერთების ადგილებში ბზარებია, საიდანაც სავარაუდოდ იჟონებოდა წყალი ან გამდნარი თოვლი.

ჩემი აზრით ზემოთ აღნიშნულ ადგილებში ყველა მხრიდან უნდა მოეწყოს თუნუქი და მისი ტონირება მოხდეს არსებული ქვის შესაბამისად.

რაც შეეხება კრამიტის საფარს, ბოლო ეტაპზე შესრულებული მოჭიქული კრამიტების გარკვეული რაოდენობა გატეხილია, განსაკუთრებით პირველი - ჯვრიანი კრამიტები. კრამიტების უმრავლესობა დასვრილია კირის ხსნარით. ფსადის ზედაპირების ნალექებიდან დასაცავად ჩემი აზრით გამოსავალი იქნებოდა წყალსაწრეტების (ჟოლობების) მონტაჟი წინასწარ შედგენილი პროექტის მიხედვით. ამასთან, ზოგიერთ პრობლემურ ადგილში ჰიდროფობული ხსნარის გამოყენება.

სექციის წევრი

2020 წლის 11 მარტს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს ადრექრისტიანული და შუასაუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სექციის წევრები ვიმყოფებოდით გელათის მონასტერში უკანასკნელ ხანებში წარმოებული სარეაბილიტაციო სამუშაოს შესაფასებლად:

1. გელათის მთავარი ტაძრის ინტერიერში, დასავლეთი მკლავის კამარის სამხრეთ კალთაზე შეინიშნება სინესტე და გამომარილება, რაც დაკავშირებულია გუმბათის ყელთან, აფრებს შორის ვერტიკალური კედლისა და კამარის შეერთების ადგილას არსებულ ღრეჩოებთან, საიდანაც, როგორც ჩანს დაუბრკოლებლად ჩაედინება წყალი ინტერიერში;
ვფიქრობ ეს ადგილები უნდა ამოივსოს და დაიფაროს თუნუქის ზოლით, რომელიც დაიცავს ვერტიკალური და ჰორიზონტალური წყობის მიჯნას წყლის ჩადინებისგან;
2. მთავარი ტაძრის გარსშემოსავლებებისა და ეკვდერების სახურავების მოჭიქული კრამიტის საბურველი დაზიანებულია: ატეხილია ჭიქური, დამტვრეულია კრამიტები, ანტეფიქსებზე მომძვრალია ტოლმკლავა ჯვრების გამოსახულებები;
ვფიქრობ ტაძრის ამ ზონის საბურველი სრულადაა გამოსაცვლელი;

3. შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად სასურველია წყალსაწრეტი სისტემის დამონტაჟება; როგორი იქნება ეს სისტემა: თუნუქის მილებით, თუ კერამიკული სიმებით გამართული, ამას სათანადო კვლევა და პროექტირება დასჭირდება.

სექციის წევრი

ნატურაში ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი ხარვეზები:

1. ტაძრის გადახურვის ქვედა ქანობებზე, ახლად მოწყობილი „მვირფასი“ მოჭიქული კრამიტის საბურველი მთლიანად ამორტიზებულია. ახლად დამზადებული მოჭიქული კრამიტები დაბზარული, დამსკდარი, დამტვრეული და დაშლილია;
2. ნართექსის გარდა, ახლად მოწყობილი კრამიტები კარნიზებიდან [სათანადოდ] არ არის გადმოწეული, რაც ხელს უწყობს წყლის კედელზე ჩამოდინებას;
3. სამკვეთლოს სამხრეთი და სადიაკვნეს ჩრდილოეთი გადახურვები მიმართულია ცენტრალური აფსიდის, შესაბამისად გვერდით კედლებზე, რის გამოც ატმოსფერული ნალექების დროს წყალი ასველებს;
4. ტაძრის კრამიტის საბურველსა და შვეულ კედლებს შორის არე უნდა შეივსოს ტექნოლოგის რეკომენდაციით დამზადებული შესაბამისი დუღაბით;
5. სპეციალისტების მიერ შესასწავლი და აღსადგენია დაზიანებული კედლის მხატვრობა.

კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს ადრექრისტიანული და შუასაუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სექციის დასკვნა

2020 წლის 11 მარტს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს ადრექრისტიანული და შუასაუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სექციის წევრები ხარვეზებისა და დაზიანების შეფასების მიზნით ადგილზე გაეცნენ გელათის მონასტერის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარზე ჩატარებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს. საბჭომ გამოავლინა შემდეგი ძირითადი ხარვეზები:

1. მთავარი ტაძარზე სახურავების ნაწილი (ძირითადად ბოლო ეტაპზე შესრულებული ნაწილი) დაბალი ხარისხის კრამიტითაა შესრულებული. სახურავი ამორტიზებულია და კრამიტები მძიმედაა დაზიანებული: ატეხილია ჭიქური, კრამიტების ნაწილი დაბზარული, დამსკდარი, დამტვრეული და დაშლილია; ანტეფიქსებზე მომძვრალია ტოლმკლავა ჯვრების გამოსახულებები;
2. კრამიტების დიდი ნაწილი დასვრილია კირის ხსნარით;
3. ტაძრის ზოგიერთ მონაკვეთზე პრობლემურია წყლის ინფილტრაცია, რისი მიზეზიც გადახურვასა და კედლების შეერთების ადგილას არასათანადოდ შესრულებული შევსებები უნდა იყოს. ვიზუალური დაკვირვებით გამოვლინდა რომ აღნიშნული შევსებები დაბზარულია;

